

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტი
კავკასიოლოგიის ინსტიტუტი

ცირა ბარამიძე

ენობრივი სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში
(ისტორია და თანამედროვეობა)

2013
თბილისი

ნაშრომში განხილულია ჩრდილოეთ კავკასიის მულტილინგვიზმისა და პოლიკულტურული სივრცის ვითარება, როგორც ლინგვისტური, სოციალური და კულტურული კონტექსტების ხანგრძლივი ისტორიული ცვლილების შედეგი. არსებული სოციოლინგვისტური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, საკითხთა კომპლექსური შესწავლის მცდელობით, განსაზღვრულია ჩრდილოეთ კავკასიის ენათა სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტი, ამ ენათა წინაშე არსებული საფრთხეები. კომპლექსურად არის გამოკვეთილი ჩრდილოეთ კავკასიის ენობრივი სიტუაციის პრობლემატიკა. განხილულია რუსეთის ენობრივი პოლიტიკის დინამიკა და ამ პოლიტიკის შედეგები ნაციონალური ენებისა და ეთნოსთა შორის საურთიერთო ენის ფუნქციონირების სფეროებთან მიმართებით.

ნაშრომი განკუთვნილია კავკასიოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ფუნქციონირების საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი

ფილოლოგიის დოქტორი ლევან აზმაიფარაშვილი

რეცენზენტები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

როსტომ ფარეულიძე

ფილოლოგიის დოქტორი რევაზ აბაშია

© Ts. Baramidze, 2013

ISBN

შესავალი

ჩრდილოეთ კავკასიის მულტილინგვიზში და პოლიკულტურული სივრცის დღევანდელი სახე წარმოადგენს ლინგვისტური, სოციალური და კულტურული კონტექსტების ხანგრძლივი ისტორიული ცვლილებების შედეგს. რეგიონის სოციოკულტურული პორტრეტის შექმნა, არსებულ სოციოლინგვისტურ სტატისტიკურ მონაცემთა საფუძველზე, ამ მონაცემთა რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი შესაძლებელს ხდის განისაზღვროს: 1. ენის ფუნქციონირების მოცულობა, 2. ენის ფუნქციონირების სახეები, 3. ენის ფუნქციონირების დონეები (სფეროები), 4. ენის არსებობის ფორმები (სამწერლობო, უმწერლობო) და 5. ენის გამოყენების სფეროები.

ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, გამოვთვალოთ და განვსაზღვროთ ენის სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტი (მონაცემთა ბაზად გამოყენებულია სოციოლინგვისტური ენციკლოპედია „Письменные языки мира, // Языки Российской Федерации.“ кн. 1. Москва, 2000).

ამგვარი მიდგომა კმნის საფუძველს, დეტალურად შევისწავლოთ ენობრივი ცვლილებები დემოგრაფიული, ფსიქოლინგვისტური და სხვა პარამეტრების მიხედვით.

დემოგრაფიული ცვლილებების შესწავლა ადასტურებს, რომ ენის სიცოცხლისუნარიანობა დაკავშირებულია სწორედ ნებისმიერი დემოგრაფიული ცვლილების რაოდენობასთან; ამ მხრივ საინტერესოა მშობლიური ენის მდგომარეობა ბილინგუთა რაოდენობის ფონზე; მეორე ენის როლი და სხვ. ამგვარ ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ რაც უფრო მაღალია ორენოვანთა პროცენტი, მით უფრო დაბალია ვიტალურობა (სიცოცხლისუნარიანობა) მათი მშობლიური ენისა. მტკიცება სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ არ არის უნივერსალური. ამა თუ იმ ენის ვიტალურობის ხარისხი, გარდა ამისა, დამოკიდებულია კონკრეტული ენობრივი არეალის თავისებურებაზე კონკრეტულ ქვეყანასა და რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მსოფლიოში დღეს არსებულ ენათა ფუნქციონირების ტიპოლოგიის იდეალური განსაზღვრა, ჩვენ ამგვარი სოციოლინგვისტური კვლევით შეგვიძლია სრულყოთ ტიპოლოგია.

ხანგრძლივი დროის მანძილზე საბჭოთა სოციოლინგვისტიკა ენის ფუნქციონალურ ასპექტს განიხილავდა ენის სოციოლოგიის საფუძვლად; თანამედროვე სოციოლინგვისტიკაში კი ენის ფუნქციონირების საკითხები კლასიფიცირდება და მისი გამოყენება იზომება საერთაშორისო მასშტაბებით, ენის ვიტალურობის ან მისი გამოყენების კატეგორიზაციის თვალსაზრისით, რაც ხორციელდება სანდო სტატისტიკური მონაცემების

საფუძველზე. სოციოლინგვისტურ და დემოლინგვისტურ მონაცემთა ბაზა, რომელიც საერთაშორისო კვლევითი ცენტრების მიერაა შექმნილი უკანასკნელი წლების მანძილზე, მუდმივ განახლებას, შევსებასა და დაზუსტებას საჭიროებს, რათა ამ მონაცემების მიხედვით ჩატარებული სოციოლინგვისტური ანალიზი იყოს ზუსტი. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ შეიქმნას საერთაშორისო ენობრივ მონაცემთა ბანკი ან ლოგოსფერო, დაარსდეს ისეთი საერთაშორისო ცენტრი, რომელიც სპეციალურად იმუშავებდა სოციოლინგვისტური კვლევების უზრუნველყოფაზე, აგრეთვე საკითხზე იმის შესახებ, რომ კონკრეტული ენობრივი არეალის სოციოლინგვისტური პრობლემები არ წარმოადგენდეს მხოლოდ ამ რეგიონის ან სახელმწიფოს პრობლემას, არამედ გახდეს საერთაშორისო თანამეგობრობის, საერთაშორისო ლინგვისტური კვლევების ცენტრის ზრუნვის საგანიც. ამგვარი მიდგომით მონაცემთა ბაზასა და სოციოლინგვისტურ ანალიზს ექმნება არა მხოლოდ წმინდა სამეცნიერო და აკადემიური, არამედ – ინფორმაციული, ინტერაქტიური, ასევე სოციალური და ჰუმანური ღირებულებაც. ყოველი გამჭრადი ენა – ეს არის დაკარგული ცოდნა სამყაროს შესახებ, რომლის აღდგენაც ვეღარ ხერხდება.

მსოფლიოში მრავალი ენა დგას გაქრობის საფრთხის წინაშე. ანალოგიური პრობლემები აქვთ ჩრდილოეთ კავკასიის ენებსაც. დიდი ზღვარი არსებობს დეკლარირებულ ენობრივ უფლებებსა და

ამ უფლებათა რეალიზაციას შორის. ჩრდილოკავკასიელ ხალხებში თანამედროვე დონეზე შესუსტებულია მშობლიური ენისადმი ესტიმაციური (შეფასებითი) მომენტი, რომელიც, რაოდენობრივ და თვისობრივ მახასიათებლებთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს ენის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფაში.

არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვედინა ჩრდილოეთ კავკასიაში დღეს არსებული სოციოლინგვისტური სურათი, გამოგვეკვეთა პრობლემათა მიზეზები და მოგვეძებნა რეალური ღონისძიებები, რომლებიც სასარგებლო იქნებოდა ჩრდილოეთ კავკასიის ენების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის.

ნაშრომში განვიხილავთ ნაციონალური ენებისა და ეთნოსთა შორის საურთიერთო ენის მდგომარეობას ჩრდილოეთ კავკასიაში, განვსაზღვრავთ ამ ენათა ფუნქციონირების სფეროებს, ნაციონალური ენების როლის დაეწროების საკითხებს თანამედროვე ეპოქაში, რუსეთის ენობრივი პოლიტიკის დინამიკას ისტორიული და ამჟამინდელი ვითარების თვალსაზრისით, ამ პოლიტიკის შედეგებს; ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ფუნქციონირების პერსპექტივებსა და მათ წინაშე არსებულ საფრთხეებს.

წინამდებარე ნაშრომში პირველადაა განხილული ჩრდილოეთ კავკასიის ენობრივი სიტუაცია კომპლექსურად, სტატისტიკური

მონაცემების საფუძველზე. განიხილება ისეთი საკითხები, რომლებიც დისციპლინათა შორის საზღვრებზე უნდა იქნეს შესწავლილი, კერძოდ, ისტორიის, ეთნოლოგიის, ეთნოსოციოლოგიისა და ეთნოფსიქოლოგიის მიჯნაზე. დასკვნები ვერიფიცირებადია მასალის, მეთოდისა და სისტემის მიხედვით და საყურადღებოა.

1. ენათა ფუნქციონირება და ჩრდილოეთ კავკასიის ენები

ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოლინგვისტური და სოციოლინგვისტური მდგომარეობის ანალიზი გულისხმობს რეგიონის ენათა შესწავლას. შესასწავლ ენებში იგულისხმება: 1. სამწერლობო ენები, რომელთაც უწყვეტი სამწერლობო ტრადიცია აქვთ; 2. სამწერლობო ენები, რომელთაც შეუწყდათ სამწერლობო ტრადიცია; 3. ენები, რომლებსაც დამწერლობა შეექმნათ გასული საუკუნის მიწურულს; 4. უმწერლობო ენები; 5. ენები იმ ეთნიკური ჯგუფებისა, რომლებიც მიგრირებული არიან კავკასიის ფარგლებს გარეთ.

ჩრდილოეთ კავკასიის ენათა სოციალური ფუნქციების კვლევა ადგილობრივი ენების ფუნქციონალური კლასიფიკაციის საშუალებას გვაძლევს. იგი, ამასთანავე, გვეხმარება შევქმნათ მსოფლიოს ენათა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ტიპოლოგია. სამწერლობო, ახალი დამწერლობის მქონე, უმწერლობო და მიგრირებული ენების ანალიზი იძლევა სოციოლინგვისტურ პარამეტრებს, რომლებითაც განისაზღვრება მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრობლემები. ამ პრობლემათა გადაწყვეტა, ზუსტი რაოდენობრივი, სისტემური პარამეტრების საფუძველზე, თავიდან აგვაცილებს ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ფუნქციონირების საკითხების მარტოოდენ პუბლიცისტური,

აღწერითი, ეპიზოდური ხასიათის კვლევებს; მოგვცემს ენათა ფუნქციონირების საკვანძო საკითხების განზოგადების საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ენათა ფუნქციონირების პრობლემებს არაერთი ნაშრომი მიექდვნა, დღემდე საკითხთა განზოგადება არ ყოფილა მოცემული. ამის მიზეზი გახლავთ ნაშრომთა არაერთგვაროვნება, საერთო პრინციპებისა და მეთოდების უქონლობა.

ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ვიტალურობის პრობლემების დასმა და გადაჭრის გზების ძიება არის წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დღეს იმ ენებს, რომელთაც ემუქრებათ გაქრობა. ჩვენი მიზანი არ არის ამ ენათა კვდომის პროცესის სურათის შექმნა. ჩვენი მიზანია, დაიძებნოს ქმედითი ღონისძიებები, რომელთაც ექნებათ მეცნიერული საფუძვლები, მისაღები იქნება საზოგადოებისათვის და მიეცემა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

როგორია რეალობა?

ჩრდილოეთ კავკასიის ენათა უმეტესობაზე დღეს მცირერიცხოვანი ეთნოსები მეტყველებენ. რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით მცირერიცხოვანია ის ხალხები, რომელთა რაოდენობა არ აღემატება 50000 ადამიანს¹. დემოგრაფიული სიმძლავრე, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ის არ არის ერთადერთი კრიტერიუმი,

¹ Красная книга языков СССР. Энциклопедический словарь-справочник, М., 1994. გვ. 5.

რომლითაც განისაზღვრება ენათა ვიტალურობის ხარისხი. ენაზე მეტყველთა რაოდენობა ქმნის სოციალურ ბაზას, მაგრამ, ამასთანავე, ენის სიცოცხლისუნარიანობის ხარისხი სხვა ობიექტური ფაქტორებითაც განისაზღვრება. ესენია, კერძოდ, ეთნიკური თვითშეგნება და ენის მატარებელთა ღირებულებებითი ორიენტაციები¹.

მიგვაჩნია, რომ სუბიექტური ფაქტორები და, კერძოდ, ესტიმაციური (შეფასებითი) მომენტი ძალზე მნიშვნელოვანია მცირერიცხოვან ეთნოსთა ენების შენარჩუნების პროცესში.

ენათა **გენეალოგიურ** და **ტიპოლოგიურ** კლასიფიკაციაზე ნაკლები მნიშვნელობისა არ უნდა იყოს ენათა **ფუნქციონალური** კლასიფიკაცია, რადგანაც სწორედ ეს უკანასკნელი გვიჩვენებს ენათა რეალურ მდგომარეობას, მათი განვითარების პერსპექტივებს. გენეალოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ამ უნარს მოკლებულია.

ნაშრომში სინქრონიულ დონეზე განვიხილავთ ჩრდილოკავკასიურ ენათა ფუნქციონირების საკითხებს, დემოლინგვისტურ ცვლილებებს, რომლებითაც დეტერმინირებულია ენათა სიცოცხლისუნარიანობა. არსებობს პირდაპირი კავშირი ენის სოციალური ფუნქციის რაოდენობრივ მაჩვენებელსა და მის სიცოცხლისუნარიანობას შორის, რაც განისაზღვრება ენის ძირითადი ფუნქციებით, მისი გამო-

¹ Михальченко В. Ю. , Проблема витальности языков малочисленных народов России// Языковая ситуация в Российской Федерации. М., 1992, გვ. 39-43.

ყენებით საზოგადოების ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა განათლება, მეცნიერება, მასობრივი კომუნიკაცია, სასამართლო, წარმოება, ადმინისტრაციული საქმიანობა, სოციალურ-პოლიტიკური სფერო, რელიგია. ენის ვიტალურობის ხარისხის განსაზღვრის პარამეტრებიდან მნიშვნელოვანია აგრეთვე ეროვნული კულტურა (ტრადიციული წარმოება, ხელოვნება, თეატრი და სხვ.).

სამწერლობო ენის განვითარების მთავარი მაჩვენებელია სხვადასხვა სახის ლიტერატურის არსებობა; უპირველესად, მხატვრული, აგრეთვე რელიგიური, საქმიანი, სამეცნიერო და სხვა სახის ლიტერატურის არსებობა. მათი განვითარება ენის რელევანტურობისა და საჭიროების მომასწავებელია.

ენის ფუნქციონირების განსაკუთრებული სფეროა განათლება, რადგანაც სწორედ მასში ხდება ინდივიდთა ენობრივი კომპეტენციის ფორმირება, რომელზეც დამოკიდებულია ენის ფუნქციონირება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ენის სოციალური ფუნქციონირებისა და გამოყენების ინტენსიურობის გარდა, საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროებში არსებობს, აგრეთვე, ენის სიცოცხლისუნარიანობის სხვა მაჩვენებლებიც. ზოგიერთი ეთნოლემოგრაფიული და სოციალური ფაქტის ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოვყოთ ეს მაჩვენებლები: ა) ეთნოსის წევრთა რაოდენობა, ბ) სხვა ეთნოსებთან ამ რაოდენობის მიმართება, გ) უმცროსი თაობის მიერ ენის გამო-

ყენება, დ) ბილინგვთა რაოდენობა, ე) ენის ფუნქციონირების მხარდამჭერი პროგრამების არსებობა.

ენის განვითარებაზე შინაგანი ფაქტორების გავლენის მიმართულება და ხარისხი გამოიხატება ეთნოლინგვისტურ ცვლილებებში, რომლებთანაც დაკავშირებულია შემდეგი საკითხები: ა) მშობლიური ენა (იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც თავისი ეთნოსის ენას მიიჩნევს მშობლიურ ენად); ბ) მონოლინგვიზმი (რაოდენობა ინდივიდებისა, რომლებიც ფლობენ მხოლოდ მშობლიურ ენას); გ) ბილინგვიზმი (ორენოვან ინდივიდთა რაოდენობა); დ) ენის იურიდიული სტატუსი; ე) ნორმირებული ორთოგრაფიის არსებობა/არარსებობა; ვ) კულტივირებული სამწერლობო ენა.

ამგვარ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს შეუძლიათ გააფართოვონ ან შეაფერხონ ენის ფუნქციონალური განვითარება. ენა იცვლება თაობიდან თაობამდე სოციალური ფაქტორების გავლენით. თუ შინაგანი ფაქტორები ხანგრძლივად იყო ნეგატიური, შესაძლებელია შეფერხდეს ან სულაც შეწყდეს ენის არსებობა. ჩვენ ვაანალიზებთ ამ ნეგატიურ ფაქტორებს და მათი მოქმედების შედეგებს არა მხოლოდ აღნუსხვის, არამედ სამომავლო პერსპექტივისათვის. თუ ენის მატარებელი წყვეტს ამ ენის გამოყენებას, ენა კვდება. ენის გადარჩენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ აღდგება მისი სოციალურად მნიშვნელოვანი ფუნქციები. ამგვარი რისკების წინაშე დგას დღეს ჩრდილოეთ კავკასიის ენები, რომელთა დღევანდელი მდგომარეობა ხან-

გრძლივი ისტორიული ფაქტორების (როგორც გარე, ისე შიდა) ერთობლივი ზემოქმედების შედეგია.

ეთნოლინგვისტური ცვლილებები ასახავს ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ან აფერხებენ ენობრივ განვითარებას. აუცილებელია მათი გათვალისწინება, რადგან ენობრივი სიტუაციის ცვლის ვარიანტები დამოკიდებულია სწორედ ამ ფაქტებიდან ერთ-ერთზე უფრო მეტად. ჩრდილოეთ კავკასიისათვის ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად გვესახება ცალმხრივი ბილინგვიზმის ჩამოყალიბება, რომლის დროსაც ნაციონალური ენების მატარებლები ფლობენ მშობლიურ ენასთან ერთად რუსულ ენას, ხოლო ეთნიკური რუსები ფლობენ მხოლოდ რუსულს.

გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ენის მიმართ ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, კერძოდ, ენის მატარებელთა მიერ მშობლიური ენისადმი დირეზულეებითი დამოკიდებულება, კონკრეტული (მშობლიური ან არამშობლიური) ენისადმი უპირატესობის მინიჭება, ენობრივი ცნობიერება. მაგრამ ენობრივი ცნობიერება არ კმარა ენის ფუნქციების განვითარებისათვის, საჭიროა სოციალური ინფრასტრუქტურის არსებობა (საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა), ბეჭდვითი ორგანოები, ტელე და რადიომაუწყებლობა, წიგნის გამოცემა და სხვა). ასეთი ინფრასტრუქტურის შექმნა ან შენარჩუნება ადვილია, თუ ენას უკვე მოეპოვება გარკვეული სოციალური ან იურიდიული სტატუსი, ან ორივე ერთად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენას უნდა ჰქონდეს გამოყენების ფუნქციები და სფეროები,

რომლებიც საზოგადოებისთვის სასარგებლოა სოციალური და ფუნქციური თვალსაზრისით.

ენის ვიტალურობის რაოდენობითი მახასიათებლების შესწავლის მეთოდთა შემუშავდა გასული საუკუნის 90-იან წლებში ლავალიას უნივერსიტეტის (ინდოეთი) ენის დაგეგმარების კვლევათა საერთაშორისო ცენტრში გ. დ. მაკკონელის¹ ხელმძღვანელობით. ეს მეთოდთა გულისხმობს ენის ვიტალურობის რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენის სოციოლოგიურად ორიენტირებულ ხერხებს ენის ფუნქციონალური თეორიის ფარგლებში. თავდაპირველად ენა განიხილება სოციალურად რელევანტურ რომელიმე სფეროში (განათლება, მასობრივი კომუნიკაცია, ვაჭრობა, მომსახურება და სხვ.), შემდეგ ეტაპზე ფასდება ენის ფუნქციონირება განსაზღვრული სოციალური ინსტიტუტის შიგნით (მაგალითად, მსხვილ, საშუალო და წვრილ საწარმოებში), შემდეგ ხდება წერილობით და ზეპირ მონაცემთა რაოდენობის დათვლა. სტანდარტიზაციის პროცედურის ჩატარების შემდგომ კი შეიძლება მივიღოთ ენის ვიტალურობის ინდექსი. ვიტალურობის ზუსტი კოეფიციენტის მიღება ძალზე რთულია, მაგრამ ენათა ფუნქციონირების მონაცემთა საფუძველზე მიღებული მიახლოებითი შედარება განსაზღვრავს არა მარტო არსებულ მდგომარეობას, არამედ ამ მდგომარეობის

¹ G. D. Macconell. A model of language development and vitality // Journal of Applied linguistics, 1996, (ED.) US BAHri New Delli, vol. 22, no. I, January -June, გვ. 33-47.

ცვლის ტენდენციებს ნეგატიური და პოზიტიური კუთხით.

ჩრდილოეთ კავკასიის ენობრივი სიტუაციისა და ენათა ფუნქციონირების განხილვის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ამ ენებს ფუნქციონირება უხდებათ რუსული ენის პარალელურად თუ მის გარემოცვაში; რუსული კი, მსოფლიოს რამდენიმე ენასთან ერთად (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, არაბული, ჩინური, ესპანური), დღეს არის საერთაშორისო ურთიერთობის ენა. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ეთნოსთა ენები ხასიათდებიან ბევრად ნაკლები და შეზღუდული ფუნქციებით, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის ამ რეგიონში წარმოდგენილ ენათა არსებობას.

ენათა ფუნქციონირების დონეების შეფასების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოებები:

1. ყოველი ნაციონალური ენა ვერ ასრულებს ყველა სოციალურ ფუნქციას. ეროვნულ ენათა ვიტალურობა იზომება მათი გამოყენების სიფართოვითა და ინტენსიურობით საზოგადოების ურთიერთობის აქტუალურ სფეროში კონკრეტული ხალხისათვის;

2. ნაციონალური ენის ვიტალურობის განსაზღვრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ ენის მატარებლების დამოკიდებულება იმ საერთაშორისო (resp. ეთნოსთაშორის საურთიერთო) ენისადმი, რომელთანაც ის იმყოფება კონტაქტში

და, უფრო მეტიც, წარმოადგენს ფუნქციონალურად უფრო დაწინაურებულ ენას ამ ხალხისთვის;

3. აქტიური ბილინგვიზმის დონე, რომელიც დამოკიდებულია სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე, აგრეთვე, ენის მატარებელთა ღირებულებით ორიენტაციებზე, მათ ენობრივ კომპეტენციაზე. ამ ფაქტორებს შეუძლიათ შეასრულონ დადებითი როლი ნაციონალური ენის განვითარებაში, გახდნენ მისი შევსების, გამდიდრების საშუალება, რადგანაც მეორე ენა არის შუამავალი მსოფლიო კულტურასა და ეთნიკურ კულტურას შორის. ამგვარი მდგომარეობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს, ვიდრე ორენოვნების მეორე კომპონენტსა (შუამავალ ენას) და ნაციონალურ ენას შორის არის დაბალანსებული ორენოვნება, ანუ შუამავალი ენა, ეთნოსთაშორისი და საერთაშორისო ურთიერთობის ენა არ ავიწროებს ეროვნულ ენას საზოგადოებრივი ურთიერთობის უმეტეს სფეროში. ასეთი ვითარება არა თუ ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთის ფედერაციაში შემავალ არც ერთ სუბიექტში არ არის, რაც ამ ქვეყანაში XX საუკუნეში გატარებული ხანგრძლივი ენობრივი პოლიტიკის შედეგსაც წარმოადგენს. სოციალურად აქტიურ სფეროებში ნაციონალური ენების ფუნქციების შევიწროება განაპირობებს ნაციონალური ენის ვიტალურობის დაკარგვას. განსაკუთრებით მიუღებელია ძალადობრივი ასიმილაცია, რადგან ეს თრგუნავს ბილინგვის ეროვნულ გრძნობებს და ხელს უწყობს იწვევს მშობლიური ენის დაკნინებას საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა

სფეროში. რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გამორიცხავს ძალდატანებით ასიმილაციას, მაგრამ ამ კანონმდებლობის მუხლების ცხოვრებაში გატარება არ შეესაბამება კანონმდებლობას (დაწვრილებით განვიხილავთ ცალკე).

მსოფლიოში მიმდინარე ენობრივი პროცესები მოწმობენ, რომ ინტეგრაცია საფრთხეს უქმნის მცირერიცხოვანი ხალხების ენებს, რომელთაც არა აქვთ სოციალური პერსპექტივები. ასეთი ენები კვდებიან, ხოლო მათი მატარებლები ერწყმებიან, უერთდებიან სხვა ენობრივ კოლექტივებს. სოციო-ლინგვისტების ამოცანაა, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდეს ბუნებრივად, ძალდატანების გარეშე, რათა განხორციელდეს ღონისძიებები ენათა შესანარჩუნებლად, მოხდეს მათი ფიქსაცია სამეცნიერო მიზნით, რადგან ყოველი ენა განსაკუთრებული სულიერი ღირებულებების შემცველია და მსოფლიო კულტურის ნაწილს წარმოადგენს.

ვფიქრობთ, რომ სოციოლინგვისტები, რომლებიც მეცნიერული თვალსაზრისით შეისწავლიან ენათა სიცოცხლისუნარიანობის პრობლემებს, არ უნდა შეეგუონ ენათა გაქრობას და მათი საქმიანობა ამ კუთხით უნდა გახდეს უფრო ქმედითი, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიქსაციით და პროცესის უმტკივნეულო დასრულებით. XXI საუკუნის სოციოლინგვისტიკამ უნდა იპოვოს უკეთესი გამოსავალი, რათა შენარჩუნებულ იქნეს ლინგვისტური და ეთნიკური მრავალფეროვნება. თვით ისეთი ადამიანისთვისაც კი, რომელსაც

უკიდურესად აქვს დაკარგული ეროვნული ცნობიერება, მიუღებელი უნდა იყოს უყუროს საკუთარი ეთნოსის პერმანენტულ კვლომას და წარმოუდგენელია, ეს მასში არ აღძრავდეს არანაირ გრძნობებს, მათ შორის – ეროვნულსაც.

ასეთი მდგომარეობის გამო შეიძლება გაჩნდეს აზრი – იქნებ უკეთესია იზოლაცი ენების მდგომარეობა? მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ენათა იზოლაცია თუ, ერთი შეხედვით, ვითომ სასარგებლოა, მეორე მხრივ, ის იწვევს სტაგნაციას ან სოციალურ-ეკონომიკურ მარგინალიზაციას, რაც უადრესად მავნეა ეთნოსისათვის. თუ არსებობს სოციალური და ენობრივი ფაქტორები, რომლებითაც განისაზღვრება ამა თუ იმ ენის ფუნქციონირება, მაშინ ვითარდება ენის სოციალური ფუნქციები.

კანონები ენის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში უნდა იყოს სატიტულო ენათა სრულყოფილი ფუნქციონირების გარანტია. ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე სატიტულო ენათა უმეტესობას ჩრდილოეთ კავკასიაში საუკუნეზე მეტი ხნის სამწერლობო ტრადიცია აქვს. ხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შესაბამისად და სახელმწიფოს მხარდაჭერის შემთხვევაში, ასევე რუსეთის ფედერაციის ნაციონალურ-ენობრივი პოლიტიკის სწორად წარმართვის შემთხვევაში თითქოს უნდა ამადლდეს ამ ენათა ვიტალურობის დონე გამოყენების სფეროთა გაფართოებით, მაგრამ სტატისტიკურ

მონაცემთა განხილვა საპირისპირო ვითარებას გვიჩვენებს (დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ).

ენის ფუნქციონალური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს წონასწორობა ამ ენებსა და ორენოვანი სიტუაციის სხვა კომპონენტებს შორის. თეორიულად მხოლოდ ენათა პარიტეტულ საწყისებზე დაფუძნებული ორენოვნება შეიძლება უზრუნველყოფდეს ენის ვიტალურობის შენარჩუნებას.

ძირითადი კონცეპტუალური წანამძღვარების ჩამოთვლა მიგვიყვანს ენის მდგომარეობის ერთიან რაოდენობით პარამეტრთან, რომელიც განსაზღვრავს ენის ფუნქციურ სიმძლავრეს და პერსპექტივებს. ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ფუნქციონირების საკითხების განხილვისას, ერთი მხრივ, საჭიროა დავიცვათ პრინციპებისა და მეთოდების ერთიანობის მოთხოვნა, მეორე მხრივ კი მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ სოციოკულტურული სპეციფიკა, კულტურულ-ენობრივი ტრადიციები, ასევე ენობრივი სიტუაციის განვითარების დინამიკა; თვალი გავადევნოთ ეთნიკურად მრავალფეროვანი რუსეთის ფედერაციის ენობრივ პოლიტიკას, რომელთანაც დაკავშირებულია ამ რეგიონში ენათა ფუნქციონირების დღევანდელი ძირითადი პრობლემები.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილათ ფუნქციონირების საკითხებს იმ კავკასიური ენებისა, რომელთაც აქვთ ფუნქციური განვითარების შედარებით მაღალი დონე, შეპირობებული სამწერლობო ტრადიციის არსებობით. ეს ენები გამოი-

ყენება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროებში, კერძოდ, იმ სფეროებში, რომლებშიც ენის ფუნქციონირება სახელწიფოს მიერაა დაგეგმილი (მეცნიერება, საქმის წარმოება, ბეჭდვა, მასობრივი კომუნიკაცია, განათლება). საზოგადოებრივი ურთიერთობების ამ სფეროებში, სპონტანური კომუნიკაციისაგან განსხვავებით, შესაძლებელია მეტყველების პრაქტიკაზე შეგნებული ზეგავლენა, რომლის რეგულირება არ ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ დაგეგმვას. მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ ენათა ფუნქციონირების ინტენსიურობა და კომუნიკაციების ის სფეროები, რომლებშიც ეს ენები გამოიყენება.

ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ფუნქციონირების სფეროების უკეთ წარმოსადგენად მაგალითისთვის განვიხილავთ ამ რეგიონში გავრცელებული ოსური ენის ფუნქციონირების საკითხებს.

ოსი ხალხის თვითსახელწოდებაა „ირონ“ და „დიგორონ“. 1989 წლის აღწერის მიხედვით, ოსი ეთნოსი ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად: რუსეთში 402 275, სხვა ქვეყნებში – 195 723. ძალზე საინტერესოა დაკვირვება ბილინგვ მამაკაცებსა და ქალებზე ასაკობრივი მაჩვენებლების მიხედვით:

ბილინგვი მამაკაცები	
0-15 წელი:	36114
16-29 წელი:	45943
30-49 წელი:	46060
50 და ზემოთ:	38873

ბილინგვი ქალები	
0-15 წელი:	35015
16-29 წელი:	44153
30-49 წელი:	44700
50 და ზემოთ:	47464

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა თაობაში მშობლიური ენის მცოდნეთა რიცხვი მცირდება.

ოსური ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფს, კერძოდ, აღმოსავლურ ირანულ ქვეჯგუფს. ოსური ენა კავკასიაში ორგვარი ბუნებით ხასიათდება – ირანულითა და კავკასიურით. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ფონეტიკაში, კერძოდ, ირანული თანხმოვნების გვერდით წარმოდგენილია რიგი თანხმოვნებისა, რომლებიც კავკასიური ენებისგანაა შეთვისებული (აბრუპტივები). ეს ენობრივი მოვლენა ადასტურებს ოსურისა და კავკასიური ენების ხანგრძლივ ენობრივ ურთიერთობებს. ამაზე მეტყველებს, აგრეთვე, ლექსიკა ირანულ ენასთან ერთად წარმოდგენილია კავკასიური სუბსტრატიც. ოსური ენა გავრცელებულია რუსეთში: ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიში რესპუბლიკაში, სტავროპოლის მხარეში, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში; საქართველოში – ცხინვალის რეგიონში, კახეთში...

ოსურ ენას კონტაქტი აქვს ყაბარდოულთან, ინგუშურთან, ქართულთან, რუსულთან;

ოსური ენის დიალექტებია: დიგორული, ირონული.

ორივე ამ დიალექტის თქმათა ერთობლიობა აყალიბებს ოსური ენის ტერიტორიულ ვარიანტებს: დასავლეთით დიგორულს, ხოლო აღმოსავლეთსა და სამხრეთში (საქართველოში) – ირონულს. გაგებინების თვალსაზრისით დიალექტები ერთმანეთს ძალიან არ დაშორებულან, მაგრამ ყოველ ენობრივ დონეზე სხვაობა მნიშვნელოვნად უნდა დაწყებულყო სკვითურ-სარმატულ ეპოქაში, ე. ი. ორი ათასი წლის წინ. XX საუკუნეში მნიშვნელოვანი ინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში. ოსური ენა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო ენის სტატუსის მქონეა, რუსული ენის გვერდით.

ოსური საშუალოდ განვითარებული სალიტერატურო ენაა. დამწერლობისთვის დღეს გამოყენებულია კირილიცა. შუა საუკუნეებში ოსების წინაპრები იყენებდნენ ბერძნულ გრაფიკას. ეს ტრადიცია შეწყვიტა თათარ-მონღოლთა შემოჭრამ კავკასიაში. შემდგომი მცდელობები ოსური ენისთვის დამწერლობის შესაქმნელად XVIII საუკუნეში იყო. რუსი მისიონერები ქმნიდნენ ოსურ დამწერლობას კირილიცას საფუძველზე. ქართველები კი – ქართული გრაფიკის მიხედვით. თანამედროვე ოსური ენის და მწერლობის პრობლემა გადაწყდა XIX საუკუნის შუა წლებში აკადემიკოს ა. შეგერენის მიერ. მან ოსურ ენას შეუქმნა დამწერლობა კირილიცას საფუძველზე. 1923 წელს მოხდა ამ ანბანის ლათინიზაცია, 1938 წელს კი კვლავ გადაიყვანეს კირილიცაზე. 1938 წელს საქართველოში (მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ

ოლქში) ოსურისათვის შემოიღეს ქართული გრაფიკა, 1954 წელს კი გადაიყვანეს კირილიცაზე.

დამწერლობა ყალიბდებოდა ორივე დიალექტის (ირონული და დიგორული) მიხედვით. 1920-1934 წლებში ყველა ოსისათვის ერთიან ოსურ სალიტერატურო ენად ითვლებოდა ირონული სამწერლობო ფორმები, ფერხდებოდა დიგორულის განვითარება. ამჟამად ორივე დიალექტი სალიტერატუროა. ოსური ენის დიალექტების მატარებელთა შორის ურთიერთობის ენად გამოყენებულია რუსული ენა.

საურთიერთო ენად რუსულის გამოყენება, ჩვენი აზრით, აფერხებს ერთიანი ოსური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას.

ოსურ ენაზე გამოდის პოეტური და პროზაული ქმნილებები. მაგალითად, 1899-1995 წლებში სულ გამოცემულია დაახლოებით 3000 ტექსტი. ბოლო ათწლეულებში შემცირდა მხატვრული ლიტერატურის გამოცემა; სულ გამოიცა: რომანები – 4, პოემები – 9, მოთხრობები – 61, პიესები – 15, ლექსების კრებულები – 10, ფოლკლორული ნაწარმოებები – 4¹.

გამოდის საინფორმაციო, სამეცნიერო, სასწავლო და დიდაქტიკური ლიტერატურა; მოიპოვება სახელმძღვანელოები ოსური ენისა და ლიტერატურისათვის, გამოდის სხვადასხვა სამეცნიერო-პოპულარული ბროშურები, ტერმინოლოგიური

¹ Письменные языки мира, // Языки Российской Федерации. кн. 1. М., 2000, გვ. 359.

ლექსიკონები, თარგმნითი (რუსულ-ოსური, ოსურ-რუსული ლექსიკონები), გრამატიკები (ოსური ენის სამეცნიერო გრამატიკის ორტომეული), ბიბლიო-გრაფიები, სასკოლო სახელმძღვანელოები – სკოლისა (20) და უმაღლესი სასწავლებლისათვის (5), სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის წიგნები (7)¹.

ოს ხალხს მდიდარი ფოლკლორი აქვს, რომელიც წარმოდგენილია მრავალფეროვანი ჟანრით; როგორცაა, მაგ., ცარციათების ეპოსი და დარეძანის თქმულებები, ლეგენდები, ზღაპრები, სიმღერები, გამოცანები, ანდაზები, და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ნართების მონუმენტური ეპოსი.

ა. შიფნერმა და ვ. მილერმა გამოსცეს ნართების ეპოსის ვარიანტები, საბჭოთა პერიოდშიც არაერთჯერ გამოიცა ნართების ეპოსი.

იბეჭდება რესპუბლიკური და რაიონული მნიშვნელობის ჟურნალ-გაზეთები ოსურ და რუსულ ენებზე.

1980 წლამდე ჩრდილოეთ ოსეთის ყველა სკოლა მუშაობდა რუსეთის ფედერაციის სასწავლო გეგმებით, მშობლიური ენა ისწავლებოდა ფაკულტატიურად. 1980 წლიდან მშობლიური ენის შესწავლა აუცილებელი გახდა. 1989-1990 წლებში ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში (57 სკოლაში 210 სკოლიდან) დამკვიდრდა ოსური ენა, როგორც სწავლების ენა, დაწყებით კლასებში (I-IV კლასები). ოსური ენის ორივე ვა-

¹ Письменные языки мира, // Языки Российской Федерации.
кн. 1. М., 2000, გვ. 360.

რიანტი – ირონული და დიგორული – გამოყენებულია მხოლოდ საზოგადოებრივ დისციპლინათა სწავლებისას (ენა, ლიტერატურა, ისტორია). ვლადიკავკაზის №13 საშუალო სკოლა ოსურ (ირონული ვარიანტით) ენაზე ისწავლება მშობლიური ენა, ისტორია, გეოგრაფია და ლიტერატურა.

უმაღლესი სასწავლებლის ოსური ფილოლოგიის ფაკულტეტზე ოსური ენა არის სწავლების ენა. რამდენიმე სახელმძღვანელო შექმნილია ოსურ ენაზე.

რადიო და ტელემაუწყებლობები მუშაობენ ოსურ და რუსულ ენებზე. მაუწყებლობას მშობლიური ენაზე ყოველდღიურად ეთმობა სამი საათი.

ოსური ენა პრაქტიკულად არ გამოიყენება რუსეთის ფედერაციის ფედერალურ შეკრებაზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ფედერალური კანონი რუსეთის ფედერაციის ხალხთა ენების შესახებ (თავი III, სტატია 11. 24.07.1998).

ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტი შეზღუდულად იყენებს (ან სულ არ იყენებს) ოსურ ენას; შეზღუდულია ამ ენის ფუნქციები წარმოებაში, მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში.

რუსეთის რეგიონალური კანონმდებლობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ თემატურად ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთზემოქმედების უნარის მქონეა სასკოლო პრობლემატიკასთან მიმართებით ნორმატიული საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებენ შემდეგ მიმართულებებს:

- ენობრივი პოლიტიკა;

- ეთნიკური (ეთნოკულტურული, ეროვნული) პოლიტიკა, მათ შორის, ტოლერანტობის განმტკიცება და ბრძოლა ქსენოფობიასთან;
- მიგრაციული პოლიტიკა, მათ შორის იძულებითი მიგრანტების საკითხი;
- თანამემამულეთა ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკა;
- საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესრიგისა და უსაფრთხოების წესრიგის მხარდაჭერისა და ურთიერთობის (მათ შორის, ექსტრემიზმის თავიდან აცილების) პოლიტიკა;
- დემოგრაფიული პოლიტიკა (მათ შორის, ოჯახის, დედების, ბავშვების დაცვა);
- პოლიტიკა კულტურის, ხელოვნების, სპორტის სფეროში;
- რელიგიისადმი მიდგომა და სხვა¹.

განათლების სფეროში რუსეთის რეგიონალური კანონმდებლობა მეტწილად ორიენტირებულია ენობრივი პრობლემების გადაჭრაზე. ეს მნიშვნელოვანია ისეთ რეგიონებშიც კი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა რუსებია (ალტაის მხარე, ამურის ოლქი, ვლადიმირის ოლქი და სხვ.).

ზოგ რეგიონში ენობრივი პოლიტიკა მოქმედებს განათლების სფეროს პოლიტიკაზე სხვა სამართლებრივ დოკუმენტებთან ერთად (თათრეთი, ჩუვაშეთი).

¹ იხ.: Письменные языки мира, // Языки Российской Федерации. кн. 1. М., 2000, გვ. 353-369

არის ისეთი რეგიონები, სადაც განათლების სფეროში პრაქტიკულად არ იწარმოება დამოუკიდებელი პოლიტიკა. მას ირიბად ცვლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ნორმატიული აქტები. ჩრდილოეთ კავკასიაში ასეთია ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა (ჩრდილო კავკასიის გარეთ – ტიუმენის ოლქი, ასტრახანის ოლქი და სხვ.). ჩრდილოეთ ოსეთში ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინება სამართლებრივი გზით ხდება რესპუბლიკის ნაციონალური საკითხების სამინისტროსა და დევნილთა საქმეების კომიტეტის მიერ.

თუ ჩრდილოეთ კავკასიის საგანმანათლებლო პოლიტიკის სურათს შევუდარებთ დანარჩენ რეგიონებს, დავინახავთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში საკანონმდებლო კუთხით არ არის შექმნილი ვაკუუმი. რუსეთის ფედერაციის რიგ რეგიონებში საერთოდ არ გააჩნიათ საკუთარი საკანონმდებლო ბაზა თავიანთი საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარებისთვის. ასეთია რუსეთის ფედერაციის 21 სუბიექტი (ანუ რუსეთის ფედერაციის რეგიონების 20%), მაგალითად, ყოფილ კომი-პერმიაკთა მხარეში განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტები ბოლო წლებში დაიყვანებოდა მხოლოდ ფინანსურ საკითხებამდე. ერთადერთი გამონაკლისი იყო დადგენილება მხარის ადმინისტრაციის მიერ განათლების უნიფიკაციის ფედერალურ ექსპერიმენტში მონაწილეობის შესახებ¹. ასეთივე

¹ Постановление администрации КПАО от 06. 09. 2001 №266: «об участии общеобразовательных учреждений Коми-

ვითარებაა როსტოვის ოლქში. ტომსკის ოლქში განათლების საკითხები ფინანსებამდეა დაყვანილი.

კანონმდებლობას განათლების შესახებ განსაზღვრავს კანონი განათლების შესახებ (სტატია 2, მუხლი ბ). ეს კანონი აცხადებს ფედერალური კულტურული და საგანმანათლებლო სივრცის ერთიანობას და, ამავდროულად, ნაციონალური კულტურისა და რეგიონალური კულტურული ტრადიციის დაცვის პრინციპს.

ტ. ნესტიუკს ამ პრინციპების გათვალისწინებით გამოაქვს დასკვნები, რომ ფედერაციის სუბიექტების ეროვნულ-რეგიონალური თავისებურებანი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს და შეფასდეს „რუსეთის ცივილიზაციის“¹ საერთო ტენდენციების გათვალისწინებით.

ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომა ცხადყოფს მომავალში ნაციონალურ-რეგიონალური თავისებურებების შერწყმას „რუსეთის“ თუ „რუსულ ცივილიზაციასთან“ და საბოლოოდ მის ასმილიაციას თუ გაქრობას, რომ აღარაფერი ვთქვათ ცივილიზაციის იმ ფორმაზე, რომელსაც აქ ავტორი გვთავაზობს.

Пермяцкого автономного округа в федеративном эксперименте по совершенствованию структуры и содержания общего образования. »

2. კავკასიის ენები, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჩრდილოკავკასიური ენები

კავკასიის ენობრივი სიტუაცია ისტორიულად განისაზღვრებოდა მისი გეოპოლიტიკური პოზიციით. იგი იყო და არის დამაკავშირებელი რგოლი ევროპასა და აზიას შორის. საუკუნეების მანძილზე რეგიონი წარმოადგენდა ან ბუფერულ ზონას დაპირისპირებულ იმპერიებს შორის, ან ამ იმპერიების შემადგენელ ნაწილად გვევლინებოდა. კავკასია სასაზღვრო ზონა (borderland) იყო. ეს ის კულტურული სივრცეა, რომლის გეოგრაფიული საზღვრები, იმპერიათა დაპირისპირებით, დრო-დადრო იცვლებოდა. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ცივილიზაციები და რელიგიები. კავკასია წარმოადგენდა ხიდსა და ბარიერს ჩრდილოეთსა და სამხრეთს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. კავკასიურმა კულტურულმა სივრცემ, როგორც აღნიშნავენ მეცნიერები, გაცილებით მეტი დაკარგა, ვიდრე შეიძინა, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო. კულტურათა შეხვედრა ენობრივი კონტაქტებითაა შეპირობებული. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა კულტურის მქონე ხალხები ახალ ენობრივ სამყაროში შემოდოდნენ და მკვიდრდებოდნენ. შესაბამისად, იცვლებოდა კავკასიის ლინგვისტური რუკა.

კავკასიაში გავრცელებულია სხვადასხვა წარმომავლობისა და აგებულების ენები. იბერიულ-კავკასიურ ოჯახის ენები ძირითადად კავკასიაშია წარმოდგენილი, გარდა უბიხურისა (1864 წლიდან

თურქეთში მთლიანად გადასახლებულ უბიხთა ენა. ეს ენა დღეს მკვდარია). ამ ოჯახის ენებს, ჩვეულებრივ, კავკასიურს უწოდებენ ხოლმე, მაგრამ კავკასიის ყველა ენა როდია “კავკასიური” (ე. ი. იბერიულ-კავკასიური)¹: კავკასიაში წარმოდგენილია ინდოევროპული ენობრივი ოჯახის ცალკეული ენებიც (სომხური, ოსური, თალიშური, რუსული, უკრაინული, თათური, ქურთული, ბერძნული), ასევე ალთაური ოჯახის თურქული ჯგუფის ენები (აზერბაიჯანული, ყუმიკური, ყარაჩაულ-ბალყარული, ნოღაური, თათრული, თურქმენული), სემიტური (სირიული, იგივე ასირიული ანუ აისორული). ინდოევროპულ, ალთაურ, სემიტურ ენათა დიდი ნაწილი კავკასიის გარეთ მოიპოვება, ხოლო იბერიულ-კავკასიური ენები (რომელ ოჯახსაც მიეკუთვნება ჩრდილოკავკასიურ ენათა უმეტესობა) ამჟამად ძირითადად კავკასიის მიწა-წყალზე გვაქვს. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ცარისტული და შემდგომ კომუნისტური რეჟიმის დროს, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, კავკასიელი ხალხები რამდენჯერმე აყარეს თავიანთი მიწა-წყლიდან და უცხო ქვეყნებსა თუ მხარეებში გადაასახლეს სხვადასხვა დროს. ასე, მაგალითად, კავკასიის ომის დასრულების შემდეგ, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ოსმალეთის იმპერიაში შემავალ მხარეებში გადაასახლეს უბიხები (მთლიანად), აფხაზები, ჩერქეზები, ჩეჩნები და დაღ-

¹ არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, 2008, გვ. 298.

ესტნის ზოგი ხალხის ნაწილი. XX საუკუნის 40-იან წლებში შუა აზიაში, კერძოდ, ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში იქნენ დეპორტირებული მაჰმადიანი ქართველები (მესხები), ჩეჩნები და ინგუშები, ყარაჩაელები და ბალყარელები. კავკასიელ ხალხთა არცთუ უმნიშვნელო ჯგუფები დღეს ცხოვრობენ თურქეთში, სირიაში, ლიბანში, ისრაელში, იორდანიაში, ერაყსა და საუდის არაბეთში. ბოლო ათწლეულების მანძილზე კავკასიელთა ნაწილი (მაგ., ჩეჩნები) გადასახლდა დასავლეთ ევროპის ზოგ ქვეყანაში, ამიტომ იბერიულ-კავკასიურ ენათა გავრცელების არეალი ამჟამად უკვე აღარ შემოიფარგლება მხოლოდ კავკასიით, როგორც ეს XIX საუკუნის პირველ ნახევარში იყო.

იბერიულ-კავკასიური ენები, რომლის შემაღვენლობაშიც ოთხი ჯგუფი გამოიყოფა (ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური) მონათესავე ენათა ოჯახია. ამ ენათა ნათესაობა დამტკიცებულია, მათ შორის, კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა დადგენით¹. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის თანმიმდევრული, მკაცრი და კორექტული გამოყენებით ნათელი მოეფინა აფხაზურ-ადიღური, ბასკურ-ქართველური და ნახურ-დაღესტნური ენობრივი ჯგუფე-

¹ იხ. მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი, 2007.

მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი, 2008.

ბის ურთიერთნათესაობასა და მათ კუთვნილებას იბერიულ-კავკასიური ენათა ერთიანი ოჯახისადმი.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიასთან დაკავშირებით ბუნებრივად დგება საკითხი ამ ენათა ურთიერთობისა წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველ, აწ უკვე გამქრალ ენებთან (შუმერული, ხათური, ჰურიტული, ურარტული, ელამური), უნდა აღინიშნოს, რომ წინა აზიის მკვდარ არაინდოევროპულ და არასემიტურ ენათა ტექსტების ანალიზთან დაკავშირებით ორიენტალისტები ისევ და ისევ ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენებს მიმართავენ.

ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული იბერიულ-კავკასიური ენები, რომელთაც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მთის იბერიულ-კავკასიურ ენებსაც უწოდებენ, სამი ჯგუფისაგან შედგება:

აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფი: ადიღური (ადიღეს რესპუბლიკაში), ყაბარდოული (ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკებში), აბაზური (ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში). ადიღური და ყაბარდოული სამწერლობო ენებია. წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, ისინი წარმოადგენენ დიალექტებს ერთი ენისა, რომელსაც ადიღურს ან ჩერქეზულსაც უწოდებენ. აბაზურიც სამწერლობო ენაა. ფაქტობრივად, იგი აფხაზურთან ერთად წარმოადგენს ერთ ენას – აფხაზურ-აბაზურ ენას.

ამავე ჯგუფის ენაა უბიხური, რომელიც ამჟამად მკვდარია. 1864 წელს უბიხები ჩრდილო-

დასავლეთ კავკასიიდან მთლიანად გადასახლდნენ ოსმალებში.

აბაზთა საერთო რაოდენობა – 31 184, სხვა ქვეყნებში – 2 111. **აბაზური** დამწერლობისთვის გამოყენებულია კირილიცა უნიფიცირებული ფონემატური სისტემით. აბაზური საშუალოდ განვითარებული სატერატურო ენაა. სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ტაპანთური დიალექტის ყუბურ-ელბუგარნის თქმა. თავდაპირველად 1926 წელს შექმნილი აბაზური დამწერლობის საფუძვლად გამოყენებული იყო ლათინური გრაფიკა, 1938 წელს შეიცვალა ლათინური გრაფიკა კირილიცათი.

ადიღური (ჩერქეზული) დამწერლობის გრაფიკად დღეს გამოყენებულია კირილიცა უნიფიცირებული ფონემატური სისტემით. ადიღური საშუალოდ განვითარებული სალიტერატურო ენაა. ადიღურ დამწერლობას საინტერესო ისტორია აქვს. აღნიშნულია, რომ ადიღელებს არ ჰქონდათ დამწერლობა არც ძველად, არც შუასაუკუნეებში. მე-19 საუკუნეში იყო მცდელობა, შეექნათ მშობლიური ენისათვის დამწერლობა არაბული გრაფიკის საფუძველზე. 1829 წელს პირველად იქნა შედგენილი ადიღური ანბანი რუსული გრაფიკის საფუძველზე. 1840 წელს შეიქმნა სხვა ანბანი ადიღური ენისათვის, ესეც რუსული გრაფიკის საფუძველზე. 1853 წელს შეიქმნა ადიღური ანბანი არაბული გრაფიკის საფუძველზე. შექმნილი ანბანები ვერ ასახავდნენ ადიღური ენის ფონემურ შედგენილობას სრულად. 1854 წელს შეიქმნა ანბანი ადიღური

ენისათვის არაბული და ლათინური ანბანების საფუძველზე. მე-19 საუკუნის ბოლოს შეიქმნა რამდენიმე ანბანი ასევე არაბულ და ლათინურ გრაფიკაზე. 1918 წელს შეიქმნა და გამოიცა პირველი ადიღური ანბანი არაბული გრაფიკის საფუძველზე. ამ ანბანმა იარსება 1927 წლამდე. ამ ანბანით გამოიცა პირველი სახელმძღვანელოები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა თავდაპირველად – მოსკოვში, შემდეგ – კრასნოდარში. პირველი ადიღური ნაციონალური გაზეთი “Красная Кубань” იბეჭდებოდა ამ გრაფიკით. 1927 წელს შემოღებულ იქნა ანბანი ლათინური გრაფიკის საფუძველზე. 1937 წელს შემოღებულ იქნა შედარებით სრულყოფილი ადიღური ანბანი, რუსული გრაფიკის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ადიღური დიასპორა სხვა ქვეყნებში რიცხოვნად გაცილებით მეტია, ვიდრე კავკასიაში მცხოვრები ჩერქეზები. დიასპორაში მცხოვრებ ჩერქეზებს არა აქვთ დამწერლობა.

ყაბარდოულ-ჩერქეზული ენისათვის გამოყენებულია კირილიცა უპირატესად უნიფიცირებული ფონემატური სისტემით. ყაბარდოულ-ჩერქეზული საშუალოდ განვითარებული სალიტერატურო ენაა. სალიტერატურო ენის საფუძველად აღებულ იქნა ბაქსანის დიალექტი და დიდი ყაბარდოს თქმები, რადგანაც სწორედ ამ თქმებს ჰქონდათ უფრო მეტი სოციალური დატვირთვა ენის მატარებელთა შორის სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ წარმონაქმნში (ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა), სადაც ცხოვრობს ყაბარდოელთა უმეტესი ნაწილი. ყაბარ-

დოულ-ჩერქეზული საშუალოდ განვითარებული ახალი სამწერლობო ენაა. მასში 56 ფონემაა. ზოგიერთი ფონემა ორი და მეტი გრაფემით გადმოიცემა. დამწერლობის წარმოშობისა და გამოყენების ეტაპები ასეთია: 1-ლი – 1920 წლიდან 1923 წლამდე დამწერლობა იყო არაბული გრაფიკით; მე-2 ეტაპი 1923 წლიდან 1936 წლამდე – დამწერლობისთვის გამოყენებული იქნა ლათინური ანბანი. მე-3 ეტაპი 1936 წლიდან დღემდე დამწერლობა დაფუძნებულია რუსულ გრაფიკაზე. ახალი ანბანი შეადგინა ტ. ბორუკაევმა და სხვებმა ლ. ვ. შჩერბას კონსულტაციებით. ზოგიერთი ცვლილება შეტანილ იქნა 1939 წელს ნ. იაკოვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელობით.

ნახური ენების ჯგუფი: ჩეჩნური, ინგუშური და წოვა-თუშური ანუ ბაცბური. ჩეჩნური და ინგუშური სამწერლობო ენებია სპეციალისტების აზრით, ინგუშური ჩეჩნურთან ერთად ერთ ენას ქმნის. 1934 წლამდე ინგუშეთის ცენტრად ქ. ორჯონიკიძე (ახლანდელი ვლადიკავკაზი) ითვლებოდა, ჩეჩნეთისა – ქ. გროზნო, და ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ინგუშურის ცალკე სამწერლობო ენად ჩამოყალიბებას. წოვა-თუშები კახეთში ცხოვრობენ, სოფ. ზემო ალვანში (ახმეტის რაიონი); კახეთშივე, პანკისის ხეობაში (ახმეტის რაიონი), ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტზე მეტყველებს მოსახლეობა (პანკისელი ქისტები) სოფლებში: დუისი, ჯოყოლო, ომალო, ბირკიანი, ძიბახევი, შუა ხალაწანი. პანკისელმა ქისტებმა ქართული კარგად იციან. წოვა-თუშები ორენოვანი

ქართველები არიან, ქართულთან ერთად მეტყველებენ წოვა-თუშურ ანუ ბაცბურ ენაზე. ეს ენა ამჟამად გაქრობის საფრთხის წინაშეა.

ჩეჩნური ენისათვის გამოყენებულია კირილიცა ფონემატური უნიფიკაციის პრინციპით. (ჩეჩენთა საერთო რაოდენობაა რუსეთში 899 000, სხვა ქვეყნებში – 57 880). ჩეჩნური საშუალოდ განვითარებული სალიტერატურო ენაა. სალიტერატურო ენის საფუძვლად აღებულია ბარის დიალექტი. 1925 წლამდე იყენებდნენ არაბულ გრაფიკას, 1925 წლიდან შემოიღეს ლათინური ანბანი, 1938 წელს კი – კირილიცა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ანბანი არ შეესაბამება ფონემატურ სისტემას. არ აისახება გრძელი და მოკლე ხმოვნები, გრძელი და მოკლე დიფთონგები. არ განირჩევა ნაზალიზებული ხმოვნები სიტყვის ბოლოს, არ არის შემაერთებული ხმოვნის აღნიშვნა. კომპიუტერულ უზრუნველყოფაზე გადაყვანის დროს გამოვლინდა ტრადიციული გრაფიკის არასრულფასოვნება: ზოგიერთი ბგერის აღნიშვნა ორი ნიშნით და სხვა. ეს უარყოფითად აისახა ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში, მაგალითად, სიტყვათა ანბანის რიგზე გაწყობის დროს თავიდან ბოლომდე. ძეხვის რეჟიმიც ამ სისტემით არ მუშაობს.

ინგუშური ენისთვისაც გამოყენებულია კირილიცა. ინგუშური ანბანიც წარმოდგენილია უნიფიცირებული ფონემატური სისტემით.

(ინგუშთა საერთო რაოდენობაა რუსეთში 215 068, სხვა ქვეყნებში – 23 370) ინგუშურიც

საშუალოდ განვითარებული სალიტერატურო ენაა. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ვაინახური დამწერლობის საბუთად წარმოდგენილია მაღალმთიან ჩენჩეთსა და ინგუშეთში კედელზე შესრულებული იდეოგრაფიული ნიშნები, რომლებიც არ არის გაშიფრული და არც ტარდება მუშაობა მათ გასაშიფრად. გვაქვს მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ვაინახები იყენებდნენ სამწერლობო ენას კავკასიის ომის დროს, ძირითადად, მიმოწერაში. იყენებდნენ არაბულ გრაფიკას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 1923 წლამდე ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო არაბული გრაფიკა. შემდეგ 1923 წელს შემოიღეს ლათინური გრაფიკა. 1938 წელს კი შემოიღეს კირილიცა. დღეს გამოყენებულია კირილიცა.

აღსანიშნავია, რომ ინგუშები ჩრდილოეთ კავკასიაში პირველნი გადავიდნენ ლათინურ გრაფიკაზე. თანამედროვე ანბანი არ შეესაბამება ინგუშური ენის ფონეტიკურ სისტემას; გრაფიკულად არ აისახება გრძელი და მოკლე ხმოვნები, გრძელი და მოკლე დიფთონგები. არ განირჩევა ნაზალიზებული ხმოვნები სიტყვის ბოლოში; არ არის სპეციალური აღნიშვნა განაყარი ხმოვნისა. კომპიუტერულ მომსახურებაზე გადაყვანის დროს გამოვლინდა ტრადიციული გრაფიკის არასრულყოფილება: ერთი ფონემის ორი გრაფემით აღნიშვნა; დიდი დაბრკოლება ხვდება ხმოვან ი-ს. ეს ყოველივე ნეგატიურად აისახება ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაზე, მაგალითად, სიტყვათა ავტომატურ დაჯგუფებაზე.

იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური ჯგუფი ხასიათდება ენათა ყველაზე დიდი რაოდენობით; დაღესტნური ენები თავს იყრიან ორ ქვეჯგუფში: ერთია – ხუნძურ-ანდიურ-დიდოური (ჩრდილო-დასავლური ზონა), მეორე – ლეზიური (სამხრეთ-აღმოსავლური ზონა); მათ შორისაა დარგუული და ლაკური (ცენტრალური ზონა).

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფში ყველაზე მსხვილი ერთეულია ხუნძური ენა (ხუნძების საერთო რაოდენობა რუსეთში – 544016, სხვა ქვეყნებში – 57973). იგი სამწერლობო ენაა. ამ ქვეჯგუფის დანარჩენი ენები ქმნიან ენა-კილოთა ორ წყებას: ანდიურ და დიდოურ ენა-კილოთა წყებებს. ანდიურ ენა-კილოთა წყებაში შედის ენები: ანდიური, ბოთლიხური, ღოდობერიული, ჭამალური, ბაგვალური, ახვასური, კარატაული. დიდოური ენა-კილოები: დიდოური (ანუ ცეზური) ხვარშიული, ბეჟიტური, (ანუ კაპუჭურ-ჰუნზიბური), ჰინუხური. სალიტერატურო ენა ამ ენებზე მეტყველთათვის არის ხუნძური.

ხუნძური ენისათვის გამოყენებულია კირილიცა ფონემატური უნიფიკაციის პრინციპით. ხუნძური საშუალოდ განვითარებული სალიტერატურო ენაა. სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ე.წ. ბოლ მაწ - სახალხო ენა („ჯარის ენა“), რომელიც იყო ურთიერთობის საშუალება სხვადასხვა დიალექტების წარმომადგენელთათვის ვიდრე ჩამოყალიბდებოდა სალიტერატურო ენა. 1928 წლამდე გამოიყენებოდა აჯამი – ანბანი, რომელიც შედგენილი იყო

არაბული დამწერლობის საფუძველზე და ადაპტირებული იყო ხუნძური ენის ფონოლოგიური სისტემისათვის (სავარაუდოდ, მე-15 საუკუნიდან). მოცემული ანბანის გამოყენების სოციალური ბაზა იყო ძალიან შეზღუდული. შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებას თან სდევდა, ბუნებრივია, ქართული ანბანის გამოყენება, რასაც ადასტურებს დაღესტნის მთიანეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქართული ანბანით შესრულებული ქართულენოვანი და ხუნძურენოვანი წარწერები. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ხუნძური ანბანი კირილიცას საფუძველზე შექმნა პ. უსლარმა. არც ამ ანბანს ჰქონდა ფართო გამოყენება, რადგან არ იყო მხარდაჭერა სახელმწიფო სტრუქტურისაგან და არც სასულიერო პირებისაგან. 1918 წელს მიღებულ იქნა დახვეწილი, გაუმჯობესებული ანბანი არაბული გრაფიკით, რომლის გამოყენებაც დაიწყო სახალხო განათლებასა და კულტურაში. 1928-1938 წლებში ფუნქციონირებდა ანბანი ლათინური გრაფიკით, ხოლო 1938 წლიდან შემოღებულ იქნა კირილიცა. თანამედროვე ხუნძურ ანბანში 46 ასო-ბგერაა; შემუშავებულია ორთოგრაფიული წესები, შექმნილია ორთოგრაფიული ლექსიკონი¹.

ლეზგიური ქვეჯგუფს განეკუთვნება ენები: ლეზგიური, თაბასარანული, აღულური, რუთულური

¹ **შენიშვნა:** მთის იბერიულ-კავკასიური ენების ანბანურ სისტემებს, ფონეტიკური უნიფიკაციის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად შეესაბამება ქართული ანბანი.

ანუ მუხადური, წახური, არჩიბული. დაღესტნის ფარგლებს გარეთ ლეზგიური ქვეჯგუფის ენათაგან გვეხდება: უდიური აზერბაიჯანში, სოფ. ნიჯში და, მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობით. ქ. ოღუზში (ყოფილი ვართაშენი), აგრეთვე საქართველოშიც – კახეთში, ყვარლის რაიონის სოფ. ზინობიანში. აზერბაიჯანშივე წარმოდგენილია ლეზგიური ქვეჯგუფის მცირე ენები: ბუღუხური, ხინალუღური, კრიწული.

დასახელებული ქვეჯგუფის ენებიდან შედარებით მეტი ხნის სამწერლობო ტრადიცია აქვთ ლეზგიურსა და თაბასარანულს (ლეზგიურ ენაზე ამჟამად ლაპარაკობს რუსეთში – 257270 ადამიანი, სხვა ქვეყნებში – 208735; თაბასარანელთა რაოდენობა რუსეთში – 93587, სხვა ქვეყნებში – 3947). გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაღესტნის ენათაგან სამი ენა – აღღუღური, რუთულური და წახური გახდა სამწერლობო.

ლეზგიური დამწერლობისათვის გამოყენებულია კირილიცა უნიფიცირებული ფონემატური პრინციპით. ლეზგიური საშუალოდ განვითარებული სალიტერატურო ენაა. სალიტერატურო ენა ჩამოყალიბებას იწყებს მე-19 საუკუნის ბოლოდან და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან. მე-15 – მე-17 საუკუნეებში ლეზგები სალიტერატურო ენად იყენებდნენ აზერბაიჯანულ ენას. ლეზგიური სალიტერატურო ენის საფუძველია კიურიული დიალექტის გიუნეური კილოკავი. ლეზგიური ანბანის შემდგენლებია პ. უსლარი და გ. ჰაჯიბეკოვი. სახელმწიფოებრივ წარმონაქმნსა და

სხვა სფეროებში დამწერლობის გამოყენების 1-ლი ეტაპი 1918-1928 წლებია; ანბანი ამ წლებში დაფუძნებული იყო არაბულ გრაფიკაზე. მე-2 ეტაპზე 1928-1938 წლებში – ლათინურ გრაფიკაზე; ახალი უნიფიცირებული ანბანი დადესტნის ყველა ენისათვის შემუშავებული იყო ა.შამხალოვის, გ. ჰაჯიბეკოვის, ნ. იაკოვლევის, ლ. ჟირკოვის მიერ. მე-3 ეტაპი 1938 წლიდან იწყება და ანბანის საფუძვლად გამოყენებული იქნა კირილიცა. იყო მცდელობები ანბანისა და ორთოგრაფიის დასახვეწად 1918, 1928, 1938-41, 1955, 1964, 1970, 1989, 1993 წლებში. თანამედროვე ანბანში 45 ასო-ბგერაა.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურისა და ლეზგიური ჯგუფის ენათა შორისაა მოქცეული **დარგუული** და **ლაკური**. ორივე ენა სამწერლობოა (ლაკების საერთო რაოდენობა რუსეთში – 106245, სხვა ქვეყნებში – 11662).

დარგუული სამწერლობო ენისათვის ასევე გამოყენებულია კირილიცა უნიფიცირებული ფონემატური სისტემით (დარგუელთა საერთო რაოდენობა რუსეთში – 353 348, სხვა ქვეყნებში – 11 662) დარგუული საშუალოდ განვითარებული სალიტერატურო ენაა. იგი ჩამოყალიბებას იწყებს 1930-იანი წლებიდან. სალიტერატურო დარგუულს საფუძვლად დაედო ახუმური დიალექტი.

ლაკური დამწერლობის საფუძვლად გამოყენებულია კირილიცა უნიფიცირებული ფონემატური პრინციპით. ლაკური საშუალოდ განვითარებული სალიტერატურო ენაა; ლიტერატურული ენა ჩამოყალიბდა ღუმუქური

დიალექტის საფუძველზე. მშობლიურ ენაზე წერის მცდელობა, არაბული გრაფიკის საფუძველზე, დადასტურებულია მე-13-მე-15 საუკუნეების მონაცემებით. ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლი ამ ენაზე მიეკუთვნება მე-15 საუკუნეს. ეს არის მე-13 საუკუნის არაბი პოეტის პოეზიის თარგმანი. 1862 წელს ლაკური ანბანი შეადგინა პეტრე უსლარმა. სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სისტემაში და ურთიერთობების სხვა სფეროებში 1918 წლიდან 1928 წლამდე გამოყენებული იყო ანბანი არაბული გრაფიკით. 1928-1938 წლებში მიღებულ იქნა ანბანი ლათინური გრაფიკით, რომელიც შემუშავებული იყო გ. ჰაჯიბეკოვის, ა. შამხალოვის, ნ. იაკოვლევის და ლ. ჟირკოვის მიერ. 1938 წლიდან მოქმედებს ანბანი კირილიცას საფუძველზე. ანბანისა და ორთოგრაფიის სრულყოფის მცდელობები იყო 1955, 1964, 1979, 1989, 1993 წლებში. თანამედროვე ანბანში 47 ასო-ბგერაა. 1993 წლის ორთოგრაფიული კომისიის ბოლო პროექტი რეკომენდაციას იძლევა 55 ბგერისაგან შედგენილი ანბანისათვის.

დაღესტნურ ენათა საერთო რიცხვი, ამრიგად, 23-ს აღწევს. ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ და ნახურ ენებთან ერთად გვექნება 33 იბერიულ-კავკასიური ენა. ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული იბერიულ-კავკასიური ენებიდან 13 ამჟამად სამწერლობოა (აბაზური, ადიღური, ყაბარ-დოული, ჩეჩნური, ინგუშური, ხუნძური, დარგუული, ლაკური, ლეზგიური, თაბასარანული, აღულური, რუთულური, წახური) და 12 – უმწერლობო.

ალბანური ენა კავკასიის მკვლარი ენაა. გავრცელებული იყო ამიერკავკასიაში, ძირითადად, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. იგი ათიოდე საუკუნის წინ გაქრა კავკასიის ლინგვისტური რუკიდან. ალბანური დამწერლობის მქონე ენა იყო, ენათესავებოდა დაღესტნურ ენათა ლეზგიური ქვეჯგუფის ენებს. ყველაზე მეტ სიახლოვეს კავკასიის ალბანური ამჟღავნებს უდიურ ენასთან. მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ალბანური ერთადერთია, რომლის წერილობითი ისტორია 15 საუკუნეს ითვლის. კავკასიის ალბანური ენა და დამწერლობა არაერთი მეცნიერის შესწავლის საგანი გახდა¹. კავკასიის

¹ А. Г. Шанидзе Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки. ენიმკის მოამბე, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1938; მისივე, Язык и письмо кавказских албанцев, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №1, 1960; И. Абуладзе, Новое сведение о существовании письменности у кавказских албанцев. სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, №4, თბილისი, 1940, გვ. 317-320. А. Г. Абрамян. Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964; Г. А. Климов, К состоянию дешифровки агванской (кавк. алб.) письменности, ВЯ, 1967, №3; С. Н. Муравьев, Три этюда о кавк. -алб. письменности. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდგული, VIII, თბილისი, 1981; მოვსეს კალანკატუაცი, აღვანთა ქვეყნის ისტორია (ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, 1985; R. Hewsен, On the alphabet of Caucasian Albanians, Revue des études armeniennes, vol. I, Paris, 1964; H. Kurdian, The newly discovered alphabet of Caucasian Albanians,

ალბანეთის ენისა და კულტურის შესწავლის გარეშე დღეს წარმოდგენელია კავკასიოლოგიის განვითარება. კავკასიური ენების ძველი და უძველესი ვითარების აღდგენა მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი კვლევის საფუძველზე ხერხდება, რამდენადაც ჩრდილოკავკასიურ ენათა უდიდესი ნაწილისათვის XVI-XVIII საუკუნეებზე უფრო ადრინდელი წერილობით ძეგლები არ მოეპოვება. ამიტომ ძველი ალბანური ტექსტების ამოკითხვას შეუძლია ნათელი მოჰფინოს იბერიულ-კავკასიურ ენათა დიაქრონიული ვითარების არაერთ საყურადღებო და მნიშვნელოვან ფაქტს.

თურქულენოვანი ხალხები ისტორიის სხვადასხვა პერიოდში დამკვიდრდნენ კავკასიაში და შეერივნენ კიდევ ადგილობრივ ეთნოსებს.

Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, Дж. Хахилов, Материальная культура Кавказской Албании, Баку, 1985; Я. Яралиев, Алуанская (кавказско-албанская) письменность и лезгинский язык, Махачкала, 1995; მ. ქურდიანი, ალბანური ასომთავრული (გრაფიკული სტრუქტურა და გენეზისის პრობლემა), არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 52-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1993; ზ. ალექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა, თბილისი, 2003; Alice C. Harris, Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax, Oxford, 2002; W. Schulze, "Toward a History of Udi", ელექტრონული ვერსია, 2005; ი. გიპერტი, ზ. ალექსიძე, ე. ჰ. მაესი, ვ. შუღცე, ალბანური პალიმფსესტები, 2009; რ. ლოლუა, კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურის საკითხები. 2009 (სადისერტაციო ნაშრომი), ინახება თსუ-ს ბიბლიოთეკაში).

მიგრაციულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა კავკასიის დემოგრაფიული სურათი, შესაბამისად, ენობრივი სიტუაცია. თურქულენოვანი ხალხებიდან ერთიან ტერიტორიულ მთლიანობას კავკასიაში ქმნიან აზერბაიჯანელები, ყუმიკები, ყარაჩაელები და ბალყარელები, ნოღაელები და თურქმენები (სტავროპოლის მხარეში). ამ ხალხთა ენები ქმნიან ორ ძირითად ენობრივ ჯგუფს: ოღუზურ ჯგუფს მიეკუთვნება აზერბაიჯანული და თურქმენული, ხოლო ყივჩაღურ ჯგუფს – ყარაჩაულ-ბალყარული, ყუმიკური და ნოღაური.

ყარაჩაულ-ბალყარული ენა გავრცელებულია ორ რესპუბლიკაში – ყარაჩაეთ-ჩერქეზეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში. ამგვარი ადმინისტრაციული დაყოფა გვინიშნებს, რომ ერთი ეთნოსის ხელოვნურად არის გაყოფილი, ისევე, როგორც ყაბარდოელები და ჩერქეზები.

ენის დასახელება იცვლება რეგიონების მიხედვით: ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში ის ოფიციალურად სახელდება როგორც ყარაჩაული, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში კი – როგორც ბალყარული. ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოიყენება სამივე ვარიანტი (ყარაჩაული, ბალყარული, ყარაჩაულ-ბალყარული). ყარაჩაელები და ბალყარელები თავიანთ თავს თვლიან ერთ ხალხად, რომელშიც ორი ეთნიკური ჯგუფია. ყველა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემი ამ ორი ხალხისთვის მოცემულია ცალ-ცალკე.

1943 წელს ყარაჩაელები და 1944 წელს ბალყარელები დეპორტირებულები იქნენ შუა აზიაში. ეს ნეგატიურად აისახა ამ ხალხის ენობრივ-კულტურულ განვითარებაზე; მისი ენის შესწავლასა და კვლევაზე, რომელიც განახლდა 1957 წელს, ამ ხალხის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

1989 წლის აღწერის მიხედვით სტავროპოლის მხარის მონაცემები შეიცავენ მონაცემებს ყარაჩაულ-ბალყარულის შესახებ, რადგანაც საბჭოთა პერიოდში ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი სტავროპოლის მხარეში შედიოდა ავტონომიური ოლქის სტატუსით. ამ ეთნოსის არსებობის სპეციფიკა და ენის ფუნქციონირების პირობები დაკავშირებულია იმასთან, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციის ორ სხვადასხვა სუბიექტში: ყარაჩაეთ-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკებში. ორივე რესპუბლიკაში ამ ენას აქვს სახელმწიფო ენის სტატუსი, თუმცა იმყოფებიან განსხვავებულ ეთნოდემოგრაფიულ პირობებში.

რუსეთის ფარგლებს გარეთ ყარაჩაელებისა და ბალყარელებისა მცირე ჯგუფები ცხოვრობენ ყაზახეთში, ყირგიზეთსა და შუა აზიის სხვა რესპუბლიკებში. თურქეთში არის ყარაჩაულ-ბალყარული დიასპორა (ზოგიერთი ცნობით, 30 000 ადამიანი), არის აგრეთვე დიასპორა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც (ზუსტი ცნობები რაოდენობის შესახებ არ არსებობს).

რუსეთში ყარაჩაულ-ბალყარულ ენაზე მოსაუბრეთა რიცხვია სულ 225 756 (სტავროპოლის მხარე - 142 797; ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკა – 130 335; ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა – 72 224; სხვა რეგიონები – 10 735)¹.

ყარაჩაულ-ბალყარული დამწერლობის საფუძველად გამოყენებულია კირილიცა ფონემატური უნიფიკაციის პრინციპით. ყაბარდოულ-ბალყარული საშუალოდ განვითარებული ლიტერატურული ენაა. ლიტერატურული ენა ჩამოყალიბდა ყარაჩაულ-ბაქსანურ-ჩეგემური დიალექტის საფუძველზე. მოიპოვება რამდენიმე მე-17 საუკუნის წარწერა მეჩეთში. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ს. ურუსბიევმა შექმნა ყარაჩაულ-ბალყარული ანბანი არაბული გრაფიკის საფუძველზე. შემდგომ ს.ურუსბიევმა და მ. ალენიკოვმა შეიმუშავეს ანბანი კირილიცას საფუძველზე. 1909 წელს ვ. პრელემ, უნგრელმა ორიენტალისტმა, შექმნა ანბანი ლათინური გრაფიკის საფუძველზე. მოცემული ანბანები არ იყო ფართოდ გამოყენებული. 1926 წლამდე გამოყენებული იყო ანბანი არაბული გრაფიკით (1916 წელს შექმნეს ი. აკბაევმა და უ. ალიევმა). შემდგომ გადავიდნენ ლათინურ გრაფიკაზე (ჯ.ალიევის ანბანი); კირილიცაზე გადავიდნენ 1938 წელს. ანბანში იყო 38 გრაფემა. 1941 წელს დაამტკიცეს ყარაჩაულ-ბალყარული ანბანი 40

¹ Писменные языки мира, Языки Российской федерации. кн. 1. М. , 2000, გვ. 176.

გრაფემით. 1960 წელს ანბანი იყო უნიფიცირებული. 1969 წელს კი ყარაჩაეთი და ბალყარეთი ანბანის ძველ ვარიანტს დაუბრუნდნენ, რომლებშიც არის ზოგიერთი გრაფიკული განსხვავება. ორთოგრაფიული განსხვავებები ასახულია ორი რესპუბლიკის (ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი და ყაბარდო-ბალყარეთი) მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებში.

ყუმიკური ენა. რუსეთის ტერიტორიაზე 277 163 ყუმიკია. გენიალოგიური კლასიფიკაციით, ყუმიკური მიეკუთნება თურქულ ენათა ყივჩაღურ ჯგუფს.

ყუმიკი ეთნოსი კომპაქტურად სახლობს დაღესტნის რესპუბლიკაში (231 805), მცირე ნაწილი წარმოდგენილია სხვა რესპუბლიკებშიც.

ყუმიკური საშუალოდ განვითარებული ლიტერატურული ენაა. თანამედროვე ყუმიკური ლიტერატურული ენა ჩამოყალიბდა ბუინაქსკისა და ხასავიურთის დიალექტების საფუძველზე. საბოლოო ნორმები სალიტერატურო ენისთვის დადგინდა რუსული გრაფიკის საფუძველზე. არაბული გრაფიკის (აჯამის) საფუძველზე შესრულებული ჩანაწერები XV საუკუნით თარიღდება. ფართო გავრცელება აჯამმა ჰპოვა XVII-XIX საუკუნეებში. ცნობილია 152 წიგნი გამოცემული ყუმიკურ ენაზე 1917 წლამდე. ლათინური ანბანის საფუძველზე შედგენილი ახალი უნიფიცირებული ანბანები დაღესტნის ენებისათვის შეადგინეს ა. შამხალოვმა, გ. გადიქოვმა, ნ. იაკოვლევა და ლ. ჟირკოვმა, მათ შორის – ყუმიკურისთვისაც. ეს ანბანი

გამოიყენებოდა 1929 წლიდან 1938 წლამდე. შემდგომ შემოღებულ იქნა რუსული გრაფიკა ყუმიკური ენისათვის.

დისპერსიულად განფენილი ენის ფუნქციონირების ნიმუშად შეიძლება განხილულ იქნეს ნოღაური ენა.

ნოღაური ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი რუსეთში არის 73703 (დაღესტანში – 28290, სტავროპოლის მხარეში – 28562, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში – 12 993, ჩენნეთსა და ინგუშეთში – 6884, ყაბარდო-ბალყარეთში – 501; მცირე რაოდენობით – სხვა სუბიექტებშიც.

ნოღაური ენა მიეკუთვნება თურქულ ენათა ოჯახის ყივჩაღურ ჯგუფს. მონათესავე ენები: ყარაკალპაკური, ყაზახური, ყუმიკური, ყარაჩაულ-ბალყარული.

ნოღაური არასაკმარისად განვითარებული სალიტერატურო ენაა. ნოღაური სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა ყუბანოღაური დიალექტის საფუძველზე, 1930 წლიდან იქმნება სახელმძღვანელოები, 1938 წლიდან შეიქმნა ლიტერატურული ენის ერთიანი ნორმები, რომელიც ითვალისწინებდა ყარანოღაური და ყუბანოღაური დიალექტების მონაცემებსაც.

ასტრახანის ოლქში წარმოდგენილი ნოღაური ენა თათრული ენის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება. იგი ნაკლებადაა შესწავლილი.

სალიტერატურო ნოღაური ენა გამოიყენება რუსეთის ფედერაციის რამდენიმე სუბიექტის ტერიტორიაზე, ყველაზე მეტ ინტენსივობით –

დაღესტანსა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკებში. ადგილობრივი დიალექტები გავლენას ახდენენ სალიტერატურო ნოღაურ ენაზე. ნოღაელთა სრულ ენობრივ ინტეგრაციას ხელს უშლის მათი განსახლება: ნოღაური ანკლავები განლაგებულია ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად დაშორებულად და შედიან რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში. სალიტერატურო ნოღაური ენის სოციალურ-დემოგრაფიული ბაზის შევიწროება ხდება, აგრეთვე, იმის ხარჯზეც, რომ ყველა ნოღაელი არ სარგებლობს ნოღაური სალიტერატურო ენით. ასტრახანის ნოღაელები იყენებენ თათრულ სალიტერატურო ენას, დაღესტნის ნოღაელების ნაწილი – ყუმიკურ სალიტერატურო ენას.

ნოღაური ენის არსებობის სპეციფიკაა ის, რომ იგი ფუნქციონირებს რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა სუბიექტში: ნოღაურ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს რუსეთის ფედერაციის ორ რესპუბლიკაში – დაღესტანსა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში. ნოღაურის გარდა სახელმწიფო ენის სტატუსი ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში აქვს კიდევ ოთხ ენას: ყარაჩაულს, ჩერქეზულს, აბაზურს, რუსულს; დაღესტანში კი, ნოღაურის გარდა, კიდევ 13 სამწერლობო ენაა. ორივე რესპუბლიკაში ნოღაური შეადგენს მოსახლეობის მცირე ნაწილს (ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში – 3.2%, ხოლო დაღესტნის რესპუბლიკაში – 1.6%-ს). ნოღაელები ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

მე-5 ადგილზე არიან, ხოლო დაღესტანში – მე-10-ზე. ეს ყოველივე განაპირობებს ნოღაური ენის ფუნქციონირების დაბალ დონეს სხვა ენებთან შედარებით.

ნოღაელები დისპერსიულად განსახლებულ-განფენილნი არიან ასტრახანის, ყირიმისა და ნაწილობრივ დაღესტნის რაიონებში (ხასავ-იურთის და ბაბა-იურთის). ისინი ასიმილირდებიან ადგილობრივ მოსახლეობასთან, იღებენ მათ ენასა და დამწერლობას (თათრული, ყირიმულ-თათრული, ყუმიკური). ესეც წარმოადგენს ნოღაური სალიტერატურო ენის მატარებელთა დემოგრაფიული ბაზის შევიწროების ფაქტორს.

ანკლავები და ნოღაელთა დისპერსიული განსახლება ართულებს ამ ენის ფუნქციონირების განვითარებას, თუმცა ანკლავებს შორის არსებობს კულტურული ურთიერთობები. საგულისხმოა, რომ მშობლიური ენის ცოდნის დონე, ეროვნული თვითშეგნების დონე, ნოღაური ენისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა კომუნიკაციის უმეტეს სფეროში (განათლებაში უპირატესად და მასობრივ კომუნიკაციებში) გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ამ ენის მდგომარეობა, როგორც სტაბილურად დაბალი დონის ფუნქციონირების ენად და განვსაზღვროთ მისი ფუნქციონირების სირთულეები უახლოეს მომავალში¹.

¹ Письменные языки мира // Языки Российской Федерации, кн. 1. М., 2000, გვ. 352.

ნოღაური დამწერლობისათვის გამოყენებულია კირილიცა უნიფიცირებული ფონემატური პრინციპით. ნოღაური არასაკმარისად განვითარებული სალიტერატურო ენაა. ლიტერატურული ენა ჩამოყალიბდა ყუბანოღაური (ყუბანური) დიალექტის საფუძველზე. თავდაპირველად 1930-იან წლებში ნოღაური სახელმძღვანელოები და სხვა ლიტერატურა გამოდიოდა ნოღაურ და ყუბანოღაურ დიალექტებზე. 1938 წლიდან შემუშავებულ იქნა ლიტერატურული ნოღაური ენის ერთიანი ნორმები ყარანოღაური და ყუბანოღაური დიალექტების გათვალისწინებით. არასაკმარისია ნოღაური ენის სისტემის უნიფიცირების დღევანდელი სახე. იგი საჭიროებს შემდგომ დამუშავებას. ასტრახანის მხარის ნოღაური განიცდის თათრული ენის ძლიერ გავლენას. ასტრახანის მხარის ნოღაური არასაკმარისად არის შესწავლილი.

ნოღაელებს არ ჰქონდათ სამწერლობო სალიტერატურო ენა, თუმცა განათლებული ნოღაელების ნაწილი იყენებდა საერთოთურქული სალიტერატურო ენის ჩრდილოკავკასიურ ვარიანტს, რომლის ანბანის საფუძველად გამოყენებული იყო არაბული გრაფიკა. ლიტერატურული ნოღაური განვითარდა მე-20 საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ. პირველი ნოღაური ანბანი შედგენილი იყო 1928 წელს ლათინური გრაფიკის საფუძველზე და, მცირედი შესწორებებით, ამ ანბანმა იარსება 1938 წლამდე. ამ წელს ლათინური ანბანი ნოღაური ენისათვის კირილიცათი შეიცვალა. ამ ანბანში

მცირე ცვლილებები განხორციელდა 1944 და 1950 წლებში. რეგულარულად შედიოდა ცვლილებები ანბანისა და ორთოგრაფიის დასახვეწად. დღეს მოქმედი ნოღაური ანბანის ავტორია ა. ჯანიბეკოვი. თანამედროვე ანბანში 33 ნიშანია, გარდა ამისა, ზოგიერთი ბგერა ორი გრაფემითაა გადმოცემული. მთლიანად ნოღაურში 37 ასო-ბგერაა.

ირანული ენები (ოსური, თათური).

ჩრდილოეთ კავკასიაში ირანული ენებიდან გავრცელებულია ოსური და თათური. ოსური ენის ფუნქციონირების შესახებ ზემოთ იყო საუბარი და აქ აღარ შეეხერდებით. რაც შეეხება დამწერლობას:

ოსური ენის დამწერლობის სისტემა

აგებულია კირილიცას საფუძველზე ფონეტიკურ-მორფოლოგიური უნიფიკაციის პრინციპით. ოსური საშუალოდ განვითარებული სალიტერატურო ენაა. ოსების წინაპრებს (შუასაუკუნეებში აღანები) ჰქონდათ დამწერლობა ბერძნული გრაფიკის საფუძველზე. ეს ტრადიცია შეწყდა ისტორიული მოვლენების შედეგად, კერძოდ, თათარ-მონგოლთა შემოსევებით. შემდეგი მცდელობა ანბანის შექმნისა ეკუთვნის მე-18 საუკუნეს. ერთი მხრივ, რუსები შეეცადნენ ანბანი შეექმნათ რუსული გრაფიკის საფუძველზე, მეორე მხრივ, ქართველმა მისიონერებმა შექმნეს ანბანი ქართული გრაფიკით. ოსური დამწერლობის პრობლემა მე-19 საუკუნეში ა. მ. შვეგრენმა შექმნა ანბანი რუსული გრაფიკის საფუძველზე. 1923 წელს ანბანის ლათინიზაცია მოხდა, 1938 წელს კი კვლავ გადავიდნენ კირილიცაზე. 1938 წელს საქართველოში ოსური

ენისათვის გამოყენებული იყო ქართული ანბანი, 1954 წელს კი კელავ გადავიდნენ კირილიცაზე. დამწერლობის ერთიანი სისტემა აღადგინეს ჩრდილო და სამხრეთ ოსეთისათვის. დამწერლობა განვითარდა ორივე დიალექტის: ირონულისა და დიგორულის საფუძველზე.

თათური ენა. თათურ ენაზე მოლაპარაკეა საერთო რაოდენობაა რუსეთში – 19420, სხვა ქვეყნებში – 11249. თათურ ენაზე მეტყველებენ მთის ებრაელები, რომლებიც სახლობენ დაღესტანში ქ. დერბენტის მახლობლად. თათური მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ინდოირანულ ენათა ირანულ ჯგუფს, კერძოდ, სამხრულ-დასავლურ ქვეჯგუფს. თათურ ენაში ორი დიალექტი გამოიყოფა: ჩრდილოური (დერბენტული) და სამხრული. თათური ენის დიალექტური დაყოფა ემთხვევა ტერიტორიულ და კონფესიურ ნიშნებს. ჩრდილოური დიალექტის წარმომადგენლები იუდაიზმს მისდევენ, კერძოდ, მთის ებრაელები დაღესტანში და თათები, რომლებიც ცხოვრობენ აზერბაიჯანში. სამხრულ დიალექტზე საუბრობენ თათები, რომლებიც ცხოვრობენ აზერბაიჯანში, კერძოდ, ესენია აფშერონელი და ჩრდილოაზერბაიჯანელი თათები. ჩრდილო აღმოსავლეთ აზერბაიჯანში ცხოვრობენ ქრისტიანი თათები (სომეხი თათები), რომლებიც ენობრივად ახლოს დგანან მუსულმან თათებთან. თათური ენის დიალექტებს შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებები, რაც გამორიცხავს მათ შორის გაგებინებასაც კი.

თათური ენისათვის გამოყენებულია კირილიცა.

ფონემატური უნიფიკაციის პრინციპით. თათური სუსტად განვითარებული სალიტერატურო ენაა. იგი ჩამოყალიბდა ჩრდილოური (დერბენტული) დიალექტის საფუძველზე. სალიტერატურო ენას იყენებენ მხოლოდ ჩრდილო დიალექტის წარმომადგენლები. იმის გამო, რომ სალიტერატურო თათურს გამოყენების ვიწრო სფერო აქვს, მას არ გააჩნია მკაცრად ჩამოყალიბებული ნორმები, მათ შორის, ორთოგრაფიულიც. აზერბაიჯანში მცხოვრები თათები თავიანთ მშობლიურ ენას იყენებენ მხოლოდ ყოფით სფეროში, ლიტერატურული ენის ფუნქციას ასრულებს აზერბაიჯანული. აღსანიშნავია, რომ გაზეთ „ზაჰმათქეშის“ ფურცლებზე (1938 წელს გაზეთს სახელი შეუცვალეს და უწოდეს „გირმიზინე ასტარა“), რომელიც გამოდიოდა დერბენტში 1928 წელს ამ გაზეთში იბეჭდებოდა ასევე აზერბაიჯანში მცხოვრები თათების სტატიები, იმ თათებისა, რომლებიც წერდნენ მშობლიურ ენაზე. 1928 წლამდე თათები დამწერლობისთვის იყენებდნენ ძველებრათულ ანბანს, რომელიც მორგებული იყო თათური ენის ფონემატურ სისტემაზე. 1928-1938 წლებში გამოყენებული იყო ლათინური ანბანი. 1938 წელს შემოღებულ იქნა ანბანი რუსული გრაფიკის საფუძველზე (კირილიცა). თანამედროვე თათური ანბანის ავტორია ე. მეტატოვი.

3. რუსეთის ფედერაციის თანამედროვე ენობრივი სიტუაცია და ჩრდილოეთ კავკასიის ენები

რუსეთის ფედერაციის მრავალეროვანი სახელმწიფოს ენობრივი სინამდვილე რთული სტრუქტურის მქონეა.

რუსეთის, როგორც ფედერალური სახელმწიფოს, ენობრივი პოლიტიკის თანამედროვე ეტაპზე, უმნიშვნელოვანესი სოციოლინგვისტური კრებულის¹ მონაცემებით შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ ამ სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის ტენდენციების შესახებ.

ყველაზე ნათლად რუსეთის თანამედროვე ნაციონალურ-ენობრივი პოლიტიკა მუდავნდება ენობრივ რეფორმაში, კერძოდ, ენის შესახებ კანონმდებლობითი აქტების შექმნაში, კონსტიტუციასა და ენის შესახებ კანონებში ენების იურიდიული სტატუსის გამყარებაში, რესპუბლიკების ფედერალური კანონმდებლობების აქტებში, ენათა განვითარების პროგრამებში.

პრაქტიკულად ეს ყველაფერი ამგვარად ხორციელდება: ეროვნულ რესპუბლიკებში ფართოვდება სატიტულო ენების ფუნქციონირების სფეროები სხვა ენათა შევიწროების ხარჯზე, მათ შორის, რუსული ენისა. ეს კი, თავის მხრივ, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მთელ

¹ Письменные языки мира, Языки Российской Федерации. кн. 1. М., 2000. გვ. 473-484.

სახელმწიფოს დეზინტეგრაციას. ამ სახელმწიფოს ერთიანობის საშუალება რუსული ენაა. კარგად დაინახეს ეს საფრთხე და ამ პირობებში აუცილებლად მიიჩნიეს ყოველი რესპუბლიკისთვის განესაზღვრათ სახელმწიფოს. რუსეთის ფედერაციის მთავარი ენისა და რესპუბლიკის სატიტულო ენის ფუნქციათა შერწყმის ოპტიმალური ვარიანტი. ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ ენის შესახებ კანონების მიღებისა და რეალიზაციის საკითხებს ჩრდილოეთ კავკასიის მაგალითზე. ამ თვალსაზრისით ენობრივ რეფორმას გააჩნია არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ თეორიული ხასიათიც.

რუსეთის ნაციონალურ-ენობრივი განვითარების საერთო პროცესის ნაწილია მცირერიცხოვანი ეთნოსების ენათა აღორძინებისკენ მისწრაფება, რაც გამოიხატება იმაში, რომ გააჩნიათ კანონები ენის შესახებ, ქმნიან ფონდებს, პროგრამებს ამ ენათა განვითარებისთვის, იქმნება დამწერლობები. იწყება ორგანიზება ამ ენაზე სწავლებისათვის. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ რფ დღეს ენობრივი მშენებლობის ახალ ეტაპზეა (I ეტაპი მიმდინარეობდა 1920-1930 წლებში. შეიქმნა უდამწერლობო 50 ენისთვის დამწერლობები); 1990-1998 წლებში მეცნიერები ქმნიდნენ და სრულყოფდნენ დამწერლობებს, ადგენდნენ სახელმძღვანელოებს I-II კლასებისათვის; შექმნეს ანბანები, დაწყებითი სახელმძღვანელოები მცირერიცხოვანი ხალხების ენებისათვის (წახური, აღულური, დიდოური და რუთულური).

ყველა ღონისძიება ხორციელდება ამ ხალხების თვითშეგნებითა და კანონიერი სამართლებრივი უფლებებით. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, თანამედროვე ენობრივი სიტუაციის პრობლემები თავს იჩენს დიდი მოცულობის სოციოლინგვისტური მასალების ანალიზის დროს. ენის სოციალური ფუნქციის განსაზღვრის დროს აღმოჩნდა, რომ კანონები ენის შესახებ არ შეესაბამება ამ კანონების ცხოვრებაში რეალურად გატარებასა და არც სათანადო ენათა ფუნქციონირების რეალურ პირობებს. ნაციონალური ენების მატარებელთა შეფასებითი (ესტიმაციური) მახასიათებელი დაბალია. მასალის ზედმიწევნითი ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს, ენობრივი სიტუაციის ობიექტური ანალიზით ვაჩვენოთ ამ სიტუაციის დინამიკა (ასიმილაცია, რუსიფიკაცია), განვსაზღვროთ ენობრივი კონფლიქტების პროგნოზები რუსეთის რეგიონებში, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ კავკასიაში.

რუსეთის ფედერაცია, როგორც აღვნიშნეთ, მრავალეროვანი და, შესაბამისად, მრავალენოვანი სახელმწიფოა, რომელშიც ცხოვრობს 100-ზე მეტი ეთნოსი და, აგრეთვე, მრავალი ეთნიკური ჯგუფი¹.

მრავალეროვან ქვეყანაში ენობრივი საკითხი ყოველთვის წარმოადგენდა საკმაოდ მწვავე საკითხს. რუსეთის ფედერაციაც არ არის

¹ ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა დაკავშირებულია ლინგვისტურ პრობლემასთან – ენობრივი ერთეულის (ენა თუ დიალექტი) სტატუსის განსაზღვრასთან.

გამონაკლისი. საბჭოთა პერიოდში ენობრივი პრობლემები წყდებოდა უმეტესად ერთაშორისი ინტეგრაციის თვალთახედვით და, ამავედროულად, მრავალეროვანი საზოგადოების განვითარების ტენდენციებით. მიუხედავად იმისა, რომ ენობრივ “მშენებლობაში” ბევრი რამ იყო დადებითი, მცირერიცხოვანი ხალხების მისწრაფებებს ნაციონალური ენების მხარდაჭერისა და განვითარებისაკენ მაინც არ ეწეოდა სათანადო ანგარიში და ეს მისწრაფებები ჯეროვნად არ ფასდებოდა. ნაციონალურ-ენობრივი პრობლემების გადაჭრა გადაჯაჭვული იყო ქვეყნის ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ მოწყობასთან: ენები იყოფოდა მოკავშირე რესპუბლიკების ენებად, ავტონომიური რესპუბლიკების ენებად, ავტონომიური მხარეების, ოლქების ენებად. ამ დაყოფის თანახმად, ენების სტატუსის შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრებოდა ამ ენათა ორგანიზებული – საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში გამოყენების პარამეტრები (რადიომაუწყებლობაში საათების რაოდენობა, ტელემაუწყებლობაში გადაცემები, მშობლიური ენის გაკვეთილები და სხვ.). ამგვარი უნიფიცირებული მიდგომის შემთხვევაში ხშირად მხედველობაში არ იღებდნენ სხვა მნიშვნელოვან სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ენათა ფუნქციების დაგეგმვისას; ეს ფაქტორებია ეთნოსის ნაციონალური თვითშეგნება, მათი კულტურული ორიენტირები და უპირატესობები, ღირებულებები, საკუთარი

ნაციონალური ენისა და კულტურის განვითარებისაკენ მისწრაფებები.

დღეს რუსეთის ფედერაციაში ნაციონალურ-ენობრივი ურთიერთობები განისაზღვრება და ყალიბდება ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე. ამის პარალელურად, თუ კვალდაკვალ არა, ხდება ქვეყნის ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, ნაციონალური ენების მატარებლები, ძირითადად, ცხოვრობენ 21 რესპუბლიკაში, 10 ავტონომიურ ოლქში. ამავდროულად, ისინი კომპაქტურად ან დისპერსიულად განსახლებულნი არიან რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა სუბიექტში. ამის მაგალითია ჩრდილოეთ კავკასიის ენების მატარებელთა მიგრაციები.

რუსეთის ფედერაციაში წარმოდგენილია სხვადასხვა წარმოშობისა და ოჯახების ენები: ინდოევროპული, იბერიულ-კავკასიური ოჯახიდან – ჩრდილოკავკასიური (აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური), ალთაური ენები, ურალური, მონღოლური და სხვა ოჯახების ენები.

ათობით რესპუბლიკაში ძირითადად სატიტულო ენებია ალთაური ოჯახის თურქული ჯგუფის ენები (ალთაური, ბაშკირული, ყარაჩაულ-ბალყარული, ყუმიკური, ნოღაური, თათრული, თუვეური, ჩუვაშური, ხაკასური, იაკუტური); ხუთ რესპუბლიკაშია ურალური ოჯახის ფინურ-უნგრული ჯგუფის ენები (კარელიური, კომი, მორდოეული, მარიული, უდმურტული); ექვს რესპუბლიკაში – ჩრდილოკავკასიური ენები

(აბაზური, ყაბარდოულ-ჩერქეზული, ლეზგიური, ხუნძური, დარგუული, ინგუშური, ჩეჩნური); ორ რესპუბლიკაში – მონღოლური ენები (ბერიტული, ყალმიყური) და ორ რესპუბლიკაში – ინდოევროპული ოჯახის ირანული ჯგუფის ენები (ოსური და თათური)¹. ჩამოთვლილ ენათა უმეტესობა ახალი სამწერლობო ენებია, რადგანაც სალიტერატურო ენის სტატუსი მათ მიიღეს საბჭოთა პერიოდში. რამდენიმე რესპუბლიკაში ორი ან მეტი ენაა ძირითადი, ტიტულის მქონე, მაგალითად, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში – ყაბარდოული და ყარაჩაულ-ბალყარული. დაღესტანს თერთმეტი სალიტერატურო ენა – ხუნძური, ლაკური, დარგუული, აღულური, ლეზგიური, რუთულური, თათური, თაბასარანული, წახური, ნოღაური, ყუმიკური და 20-ზე მეტი უდამწერლობო ენა აქვს.

რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკებში ყველა სამწერლობო ენა სახელმწიფო ენად ცხადდება. ყოველ რესპუბლიკაში, ამავე დროს, საერთო სახელმწიფოებრივ ენად რუსული ფუნქციონირებს.

მშობლიური ენისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა ეთნოსებში, მეორე ენის ცოდნა, ეთნოსთაშორის ურთიერთობის ენის გავრცელება სხვადასხვა რეგიონში და სხვა სოციოლინგვისტური საკითხები ასახულია 1989

¹ Письменные языки мира, // Языки Российской Федерации. кн.1. М., 2000, გვ. 17.

წელს ჩატარებული აღწერის მონაცემებში. ეს მონაცემები მოწმობენ, რომ ენობრივი ინტეგრაციის დონე რუსეთის ფედერაციაში მაღალია, რადგანაც მოსახლეობის 81.1%-ისათვის¹ რუსული ენა მშობლიურია, დანარჩენი მოსახლეობის უმეტესობა ან თავისუფლად ფლობს რუსულს, ან აქტიურად იყენებს მას სოციალური ურთიერთობის ყველა სფეროში.

რუსეთის ფედერაციის ხალხთა ენების ფუნქციური მრავალფეროვნება აჩენს აუცილებლობას, გამოკვლევულ იქნეს ენათა ფუნქციონირების პირობები. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არსებული ენობრივი სიტუაციის შესწავლით, საერთოსა და განსხვავებული გამოვლენით.

სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია კულტურულ-რელიგიური ორიენტაციები, რაზეც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული პოლიტიკური, ტერიტორიული, ეკონომიკური და, სახელდობრ, ენობრივი პრობლემები, მაგალითად, გრაფიკის, ანბანის საკითხები და სხვა.

ნაციონალურ-ტერიტორიული წარმონაქმნი, ადმინისტრაციული ერთეული მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნაციონალური ენების ფუნქციონირებასა და განვითარებაში. ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში სატიტულო ენებს საბოლოოდ აუცილებლად

¹ Письменные языки мира, // Языки Российской Федерации. кн. 1. М., 2000, გვ. 18.

ეძლევათ სახელმწიფო ენის სტატუსი, რაც შემდგომ განაპირობებს ამ ენის უფრო ინტენსიურ ფუნქციონირებას.

ჩრდილოეთ კავკასიის ენობრივი სიტუაციის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის თაობაზე, რომ სატიტულო და სახელმწიფო სტატუსის მქონე ენების ფუნქციონირება არ გაფართოებულა, არ გაზრდილა დიდი მასშტაბით ამ სტატუსების მინიჭების მიუხედავად (სტატისტიკას განვიხილავთ ქვემოთ).

ნაციონალური ენების განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ენის მატარებელთა განსახლების თავისებურებანი, მათი კომპაქტური დასახლება, კონკრეტული ენის მატარებელთა დემოგრაფიული სიმძლავრე ამა თუ იმ რესპუბლიკაში, მათი “ხვედრითი წილი” მთლიანად მოსახლეობასთან შედარებით; სწორედ ეს განსაზღვრავს რეალურად ენის გამოყენების შესაძლებლობას ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში. რუსეთის ფედერაციაში ამ პრინციპის მიხედვით რესპუბლიკები ჯგუფდება სამ ტიპად¹:

1) რესპუბლიკები, რომლებშიც სატიტულო ენები მოსახლეობის 50%-ზე მეტია (თუველები – 64,3%, რუსები – 36,22%), ჩუვაშეთის რესპუბლიკა (ჩუვაშები – 67,8%, რუსები – 26,7%, თათრები – 2,7%);

¹ Писменные языки мира, // Языки Российской федерации. кн. 1. М. , 2000, გვ. 18.

2) რესპუბლიკები, რომლებშიც სატიტულო ერები 50%-ზე ნაკლებია, მაგალითად, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა (ყაბარდოელები – 48,2%, ბალყარელები – 9,4%, რუსები 32%); უდმურტეთის რესპუბლიკა (უდმურტები – 30,9%, რუსები – 58,9%);

3) რესპუბლიკები, რომლებშიც სატიტულო ერები 30%-ზე ნაკლებია და აჭარბებენ სხვა ეროვნებები: კარელია (რუსები – 73,6%, კარელიელები – 10%), ბაშკირეთი (თათრები – 28,4%, ბაშკირები – 21,9%, რუსები – 39,3%).

სამივე ამ ტიპის ენებს აქვთ ფუნქციონირების პრობლემები. ფუნქციონირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სიძნელეებია იმ ერებისა და ეთნიკური ჯგუფების მიმართ, რომელთაც არ გააჩნიათ თავიანთი ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი ან ნაციონალურ-ტერიტორიული წარმონაქმნი. ამ ეთნოსთა ენობრივი პრობლემების სირთულეებზე მოწმობს სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით მშობლიური ენის ცოდნის ძალზე დაბალი დონე.

რუსეთის ფედერაციაში ენობრივი სიტუაციის სირთულე შეიცავს ნაციონალურ-ენობრივი კონფლიქტების წარმოქმნის გარკვეულ საფრთხეს. ამ სიტუაციას თუ შევადარებთ სიტუაციებს იმ ქვეყნებისა, რომლებშიც ადმინისტრაციული დაყოფა არ ემთხვევა ნაციონალურ-ენობრივ დაყოფას (ვიეტნამი, აშშ), შევამჩნევთ, რომ ნაციონალურ-ენობრივი კონფლიქტების შესაძლებლობა შედარებით დაბალია სწორედ აქ, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებშიც ადმინისტრაციული დაყოფა

ემთხვევა ნაციონალურ-ენობრივ დაყოფას (ინდოეთი, რუსეთის ფედერაცია). ამის მიზეზი ის არის, რომ კულტურული ავტონომიისკენ სწრაფვა გადაიზრდება დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაში; ენა კი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია სახელმწიფოებრიობისა და იგი ხდება ხოლმე ნაციონალური და პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. (გავიხსენოთ, ენის საკითხი იქცა საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის კატალიზატორად). ასეთი სიტუაცია ხშირია დღეს რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსეთის ფედერაციას ისღა რჩება, რომ შეიმუშაოს კარგად აწონილი ენობრივი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ენობრივ სიტუაციაში მშვიდობის შენარჩუნებას.

რუსეთის ფედერაციის რეგიონებში დღეს ხორციელდება რიგი ღონისძიებებისა ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით, რომლებიც მიმართულია ნაციონალური ენების სოციალური ფუნქციების გაფართოებისაკენ. საბჭოთა წყობილების ბოლო ათწლეულში შეინიშნებოდა ენათა ფუნქციონირების დონით გამოწვეული უკმაყოფილება, ნაციონალური თვითშეგნების ზრდა, ზოგჯერ ნაციონალისტური განწყობაც. ენობრივი სიტუაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სხვა ფაქტორებთან ერთად, რომელმაც, ჩვენი აზრით, შეარყია საბჭოთა კავშირი. “პერესტროიკის” პერიოდში დაიწყო ახალი ენობრივი კანონმდებლობის შექმნა, შეიქმნა

კანონები ენის შესახებ, მიღებულ იქნა ენის განვითარების პროგრამები. ეს პროცესი 1989 წელს დაიწყო ესტონეთში და თითქმის მთელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები მოიცავს, რუსეთის ფედერაციაში ენათა სტატუსი კანონშემოქმედებითად განმტკიცდა რესპუბლიკების კონსტიტუციათა სტატუსში. რესპუბლიკური კანონმდებლობები ენის შესახებ ქმნის იურიდიულ საფუძვლებს ამ ენათა ფუნქციონირების გაფართოებისთვის საქმიან, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში, ბელორუსიის გარდა, სახელმწიფო ენად გამოცხადებული იყო სატიტულო ენები. ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გადმოღებული გამოცდილებები (ეკონომიკაში, პოლიტიკაში, განათლებასა და სხვ.) საბჭოთა კავშირმა მოახდინა ამ გამოცდილების იგნორირება ენობრივი ურთიერთობების სფეროში. ცნობილია, რომ რიგ ქვეყნებში სახელმწიფო ენად აღიარებულია ორი ან მეტი ენა (შვეიცარია, კანადა, ბელგია და სხვ.).

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სხვადასხვაგვარი ენობრივი სიტუაციების ფონზე (განსხვავებული ეთნიკურ-დემოგრაფიული, კულტურულ-ენობრივი ფაქტორები) გავრცელდა ერთნაირი ენობრივი მოწყობის ერთკომპონენტიანი მოდელი ანუ სახელმწიფო ენად გამოცხადებული იყო ერთი ენა (რუსული), რამაც შექმნა რიგი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო სოციალური და ლინგვისტური ადეკვატურობით

გამოყენებულ მოდელთან. ზოგჯერ იგი გადაიზრდებოდა ხოლმე ღია (მაგ., მოლდავეთი), ან ლატენტურ (ბალტიის ქვეყნებში) ნაციონალურ ენობრივ კონფლიქტებში.

რა გზას დაადგა რუსეთის ფედერაცია?

რადიკალურად განსხვავებული მიდგომაა რუსეთის ფედერაციაში. ამ სახელმწიფოში შემავალ რესპუბლიკათა კონსტიტიუციაში კანონი ენის შესახებ ან კანონშემოქმედებითი აქტების განხილული პროექტები სახელმწიფო ენად, გარდა რუსულისა, აღიარებს კიდევ ერთ ენას (მაგალითად, თათრეთის რესპუბლიკაში, უდმურტეთის რესპუბლიკაში), ან რამდენიმეს (მაგალითად, მორდოვის, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკებში...), ხოლო დაღესტნის რესპუბლიკის ენის შესახებ კანონებში 14 ენაა მოცემული. ამგვარად, რუსეთის ფედერაციის ენობრივი მოწყობა მრავალკომპონენტიანი მოდელითაა წარმოდგენილი. გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის ფედერაციის კანონი ენის შესახებ¹ ქმნის

¹ კანონი “რუსეთის ფედერაციის ხალხთა ენების შესახებ” მიღებული იქნა 1991 წელს. 1998 წელს (24. 07. 98) მასში შევიდა ცვლილებები და დამატებები. მისი საფუძველია 1991 წელს მიღებული კანონი. რუსეთის ფედერაციის მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენაა რუსული. რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით, რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს ეძლევათ უფლება, დაადგინონ თავიანთი სახელმწიფო ენა, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს ეძლევათ უფლება, მიიღონ კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები მოქალაქეთა ენობრივი უფლებების დასაცავად. თუმცა სუბიექტების კანონმოქმედება

ქვეყნის ენობრივი ერთიანობის იურიდიულ საფუძველს, რამდენადაც განმტკიცებულია სახელმწიფო ენის სტატუსი სწორედ რუსული ენისათვის (83,7% ქვეყნის მოსახლეობისა). რესპუბლიკათა უმეტესობა საკანონმდებლო აქტებით ამტკიცებენ აგრეთვე რუსული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსით. რჩება რუსულ ენასა და სხვა სახელმწიფო ენათა შორის სოციალური ფუნქციების რაციონალური განაწილების პრობლემა. ნაციონალური სახელმწიფო ენების სოციალური ფუნქციების გაფართოებისაკენ მისწრაფება გამოიხატება რუსული ენის სხვადასხვა სფეროში ფუნქციონირების შევიწროებისაკენ რუსულის ჩანაცვლებით რესპუბლიკური ენებით.

ივარაუდება, რომ რუსული ენა უნდა ფუნქციონირებდეს ფედერალურ დონეზე, მხარეებსა და ოლქებში, სადაც ცხოვრობენ რუსებიც, ნაციონალურ რესპუბლიკებში სახელმწიფოს ენობრივი ფუნქციები უნდა შეასრულოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენამ. რუსული ენობრივი პოლიტიკის ანალიზის დროს მეცნიერები შიშობენ, რომ საკითხის ამგვარმა გადაწყვეტამ ენობრივი სიტუაცია ნაციონალურ-ენობრივ კონფლიქტამდე და ზოგ რეგიონში ენობრივ იზოლაციამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა¹. ჩვენი

ენის შესახებ მეტროპოლიის მიერ არის ინიცირებული და დაგეგმილი. სუბიექტებს საკუთარი ინიციატივები ნაკლებად გააჩნდათ.

¹ Письменные языки мира, // Языки Российской Федерации. кн. 1. М., 2000, გვ. 20.

აზრით, სტატისტიკა და რეალური სიტუაციის ანალიზი მოწმობს, რომ ეს ყოველივე რუსული ენის სასარგებლოდ მუშაობს.

ენის შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონების რეალიზაციასთან დაკავშირებით ჩნდება კონკრეტული პრობლემები, მათი სოციალურ-ლინგვისტური ადეკვატურობის საკითხი, კერძოდ, ა) ენობრივი სიტუაციის კანონების კომპეტენცია სხვადასხვა რესპუბლიკაში; ბ) დაგეგმილი სოციალური ფუნქციების ადეკვატურობა ენის სტრუქტურული განვითარების დონესთან; გ) ენის დაგეგმილი სოციალური ფუნქციებისა და სატიტულო ერის ენობრივი კომპეტენციის ურთიერთმიმართების ადეკვატურობა; დ) პიროვნების ენობრივი უფლებებისა და ერის ენობრივი უფლებების ურთიერთმიმართება; ე) დაგეგმილი ფუნქციებისა და სხვა ენობრივი საზოგადოების ენობრივი კომპეტენციის ურთიერთმიმართების საკითხი.

სხვადასხვა ტიპის ენობრივი სიტუაციების პირობებში ენის შესახებ კანონების რეალიზაციისას ქვეყანაში გამოყენებულია ენობრივი კანონების კონცეფცია, რომლის ძირითად თეორიულ მდგომარეობად ერთგვაროვნებაა აღებული. ცხადი ხდება, რომ საჭიროა გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

- აუცილებელია თავიდანვე გავრცელდეს ენა, რომელიც გამოცხადებულია სახელმწიფო ენად სატიტულო ერის წარმომადგენელთა შორის. სხვაგვარად

შეუძლებელია აიძულო სხვა ენობრივი ერთობა შეისწავლოს ენა, რომელიც არ იცის და რომელსაც არ იყენებს სატიტულო ერის უმეტესი ნაწილი;

- აუცილებელია ენის ფუნქციური სტილის განვითარებისათვის პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, მაგალითად, საქმიანი, სამეცნიერო და სხვ., ტერმინოლოგიური სისტემის შექმნა, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის, პროგრამებისა და მასწავლებელთა მომზადება და სხვ.

- სახელმწიფო ენის განვითარებაზე ზრუნვის პარალელურად საჭიროა ყურადღება გამახვილებულ იქნეს ეთნიკური ჯგუფების ენების, მცირერიცხოვან ხალხების ენების განვითარებაზე, ასევე პიროვნების ენობრივი უფლებების დაცვაზე.

სხვადასხვა ენობრივ საზოგადოებებში ენა შეიძლება გახდეს პოლიტიკური ზეწოლის ეფექტური საშუალება. ამისი მაგალითები იყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

მაგრამ ენა თავისი ბუნებით არის ადამიანთა გაერთიანების საშუალება, ადამიანთა ურთიერთობის საშუალება მატერიალური და სულიერი ღირებულებების შექმნის პროცესში. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ის, რომ ენობრივი კანონმდებლობის წარმატებული რეალიზაციისათვის საჭიროა შეიცვალოს რუსულენოვანი საზოგადოების ფსიქოლოგიური და ღირებულებითი ორიენტაციები რეგიონებში, რადგანაც ისინი წარმოადგენენ უმრავლესობას ქვეყანაში და ინარჩუნებენ ერთენოვან

ორიენტაციას. შესაბამისად, რეგიონებში ბილინგვიზმი ცალმხრივია – ნაციონალური ენის მატარებელი ფლობს რუსულ ენას მშობლიურთან ერთად, ხოლო რუსულენოვანი საზოგადოება ფლობს მხოლოდ რუსულს.

ენობრივი ცხოვრების განვითარების ობიექტურად არსებული კანონზომიერებები ისეთია, რომ დაჩქარებული ტემპით შეუძლებელი ხდება, აიძულო რესპუბლიკის მოსახლეობა, რომელიც არ მიეკუთვნება არც სატიტულო ერს (როგორც რუსულს, ასევე მცირერიცხოვან ეთნოსებს ან ეთნიკურ ჯგუფებს), გამოიყენოს სატიტულო ენა. ეს დამოკიდებულება რუსულ ენას უქმნის კიდევ ერთ ბერკეტს, როგორც ეთნოსთაშორისი ურთიერთობის მთავარ ენას, ქვეყნის ყველა რეგიონში და, შესაბამისად, ამცირებს ნაციონალური ენების ფუნქციონირების სფეროებსა და შესაძლებლობებს. მოცემულ ეტაპზე შესაძლებელია სხვა ენისა და კულტურისადმი პატივისცემის გრძნობის „აღზრდა“, ამა თუ იმ ენის შესწავლის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც ამას საჭიროებს.

ენის შესახებ კანონების რეალიზაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს დადებითი, შემოქმედებითი როლის შესრულების შესაძლებლობა, თუ ეს პროცესი წარიმართება შესაბამისი ობიექტური ნაციონალურ-დემოგრაფიული, ნაციონალურ-კულტურული, სოციალურ-ლინგვისტური, მატერიალურ-ტექნიკური პირობებით, აგრეთვე ენის მატარებელთა

ღირებულებებითი ორიენტირებით, მათი ენობრივი კომპეტენციებით.

ენის შესახებ კანონის რეალიზაციაზე გავლენას ახდენს ბევრი უარყოფითი და დადებითი ფაქტორი. დადებით ფაქტორებად უნდა მივიჩნიოთ ენის მატარებელთა ძირითადი მასის მისწრაფება მშობლიური ენის ფართოდ გამოყენებისაკენ (განვიხილავთ ესტიმაციურ კომპონენტებში); რუსეთის ფედერაციის ხალხთა ენების სწავლების ტრადიციის არსებობა (მათი შესწავლა, როგორც საგნისა და სწავლების ენად გამოყენება განათლების სხვადასხვა დონეზე); ენის სოციალური ფუნქციის გაფართოების ლინგვისტური უზრუნველყოფის გარანტიები (ლიტერატურის გამოცემა ამ ენებზე, სახელმძღვანელოების არსებობა, განმარტებითი და ორენოვანი ლექსიკონების, გრამატიკების, სასაუბროების, ცნობარების და სხვათა გამოცემა). ყოველივე ამის მიხედვით უნდა არსებობდეს ამ ენათა სხვადასხვა სფეროში გამოყენების სოციალური პერსპექტივები.

ენის ფუნქციონირებისათვის უარყოფით ფაქტორებს მიეკუთვნება:

რუსეთის ფედერაციის ენათა უმეტესობა თითქმის არ ფუნქციონირებს სახელმწიფოს მართვის სფეროში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, შეზღუდულად გამოიყენება სახალხო განათლებაში, მასობრივ კომუნიკაციაში, ინფორმაციებისა და მომსახურების სფეროში.

„ენობრივი ნიჰილიზმი“ დასტურდება ზოგიერთი რესპუბლიკის სატიტულო ერებში. ისინი არ ფლობენ მშობლიურ ენებს ან არც აქვთ სურვილი, იცოდნენ იგი, რადგან მიაჩნიათ თავიანთი მშობლიური ენა სოციალურად არაპრესტიჟულად, მაგალითად, 1989 წლის აღწერის მიხედვით¹: კარელიელების 50%, ბაშკირების, კომელების, მორდოველების, უდმურტების 40%, თათრების, მარიელების, ჩუვაშების 20-25% არ თვლის თავისი ნაციონალობის ნიშნად მშობლიურ ენას. ეს მაჩვენებლები, სამწუხაროდ, იზრდება; „ენობრივი ნიჰილიზმი“ რუსული ენის სასარგებლოდ მუშაობს. ამავდროულად, ასეთი უპირატესობის მინიჭებისთვის არსებობს ობიექტური მიზეზები.

რუსული ენა მნიშვნელოვანია საზოგადოების წევრებისათვის, მნიშვნელოვანია მისი მდიდარი კულტურული ტრადიციები, ფართო შესაძლებლობები უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონში.

სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, „ენობრივი ნიჰილიზმი“ სუსტია და არ არის მკვეთრად გამოხატული ჩრდილოეთ კავკასიაში, რასაც ისტორიული საფუძველი მოეპოვება. ტრადიციული კულტურა ძლიერი იყო ამ რეგიონში. კულტურა კი უშუალოდ ენასთან არის

¹ Писменные языки мира, // Языки Российской федерации. кн. 1. М., 2000, გვ. 28.

დაკავშირებული, ამიტომ ეროვნული თვითაღქმა და ენისადმი ერთგულება ამ რეგიონში შედარებით „მტკიცე“ აღმოჩნდა (დაწვრილებით განვიხილავთ ესტიმაციური კომპონენტის შესახებ მსჯელობისას).

„ენობრივი ექსპანსია“ მნიშვნელოვანი მოვლენაა რუსეთის ფედერაციის სინამდვილეში. რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის მემკვიდრეა. საბჭოთა კავშირი კი – ცარისტული რუსეთისა, რომლის მისწრაფება და მიზანი იყო რუსული ენის გავრცელება უცხო ენობრივ ერთობაში, საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკით კი – რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება მთელს საბჭოურ პოლიტიკურ სივრცეში.

„ენობრივი ექსპანსია“ – ეს არის მისწრაფება გაავრცელო საკუთარი ენა იმ გზით, რომ გამოაცხადო იგი სახელმწიფო ენად. ამა თუ იმ რესპუბლიკის არარუსულენოვანი მოსახლეობა ვაღდეუბლია, იცოდეს რუსული ენა იმ შემთხვევაში, თუ ეს მის სამსახურებრივ ინტერესებში შედის. აქ ინდივიდის ენობრივი კომპეტენცია მჭიდროდ უკავშირდება პროფესიაზე აკრძალვას, რადგანაც იგულისხმება, რომ ინდივიდი ვერ დაიჭერს რიგ ოფიციალურ თანამდებობებს სახელმწიფო ენის კარგად ცოდნის გარეშე. ეს წარმოშობს სოციალურ დაძაბულობას უცხოენოვან მოსახლეობას შორის. რუსეთის ფედერაციისათვის აქტუალურია რუსული ენის გავრცელება სხვა ენობრივ კოლექტივებში,

რუსეთის ფედერაციის უმეტესი რესპუბლიკებისთვის აქტუალურია სახელმწიფო ენის (რუსულის) გავრცელება სატიტულო ერის ენის მატარებელთა შორის. „ენობრივი ექსპანსია“ ვლინდება არა მარტო ენის ფუნქციათა სფეროში, არამედ სხვა ენის სისტემაზე გავლენის მისწრაფებაშიც, განსაკუთრებით ეს ეხება ტოპონიმებს, მათ მართლწერას, ჰიდრონიმებს და სხვ. ეს ტენდენცია დამახასიათებელი იყო საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებისთვისაც.

რუსეთის ფედერაციის ენათა უმეტესობის ენობრივი ბაზა განუვითარებელია¹. საზოგადოებრივი ფუნქციების სრულყოფილი შესრულებისთვის ენას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტერმინოლოგია, ფუნქციური სტილი, ანუ იგი უნდა იღგეს განვითარების გარკვეულ დონეზე. სამწუხაროდ, ჩრდილოეთ კავკასიის ენათა (მათ შორის სატიტულო) უმეტესობის ენობრივი ბაზა ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს არ შეესაბამება.

¹ Письменные языки мира, // Языки Российской Федерации. кн. 1. М. , 2000, გვ. 32.

4. გლობალიზაცია და ჩრდილოეთ კავკასიის მცირერიცხოვან ხალხთა ენების პრობლემები

თანამედროვე მსოფლიო მიისწრაფვის გლობალიზაციის ახალი, უფრო რადიკალური ფაზისა და პოლიტიკური ინტეგრაციისაკენ. ამ მისწრაფვებში რიგი საზოგადოებრივი პრიორიტეტები იმსხვრევა, ხოლო სხვებს უჩნდებათ დომინირების პრეტენზიები. მიმდინარე პროცესები შლიან ხალხთა შორის ენობრივ და კულტურულ საზღვრებს, ახდენენ ტრადიციული სოციალური სტრუქტურების ტრანსფორმაციას. საზოგადოება კი ამისთვის ყოველთვის არ არის მზად. მკვლევრები¹ აღნიშნავენ, რომ სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობის 3-4% თვლის, რომ ცხოვრობს ნაციონალური ბარიერების ზღვარს მიღმა, მის გარეშე; დანარჩენები კი ე.ი. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, მიიჩნევენ, რომ აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს მათი საკუთარი ეთნოკულტურული და რელიგიური იდენტობა, როგორც მსოფლიო წესრიგის შემადგენელი ნაწილი.

ზემოთაღნიშნულის ფონზე, მცირერიცხოვან ხალხთა ენების, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის ენების, მომავალი თანდათან დამაფიქრებელი

¹ Р. Гуслан Тирадо, З. М. Габуния, Современная глобализация и проблемы малочисленных языков в лингвистике XX века - в сборнике Лингвистическое кавказоведение и тюркология: традиции и современность, Карачаевск, 2007, გვ. 13.

ხდება. ენობრივი პოლიტიკა ხდება ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც ახდენს ფორმირებას და ცვლის ენობრივ სიტუაციას როგორც კონკრეტულ რეგიონში, ისე მთელს ქვეყანასა და მსოფლიოში. უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი და მნიშვნელოვანი ენობრივი პოლიტიკისადმი ამ ხალხების დამოკიდებულებაა, შეფასებითი (ესტიმაციური) მომენტი.

თანამედროვე სოციოლინგვისტიკას ძალზე ბევრი საკითხი აქვს გადაუჭრელი მცირერიცხოვანი ხალხების ენებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ამ ენათა შენარჩუნების მეთოდებთან მიმართებით. ამ ენათა სოციოლინგვისტური სტატისტიკური ბაზის შექმნის საქმე ჯერაც არ არის სათანადოდ მოგვარებული, მაგრამ დღეს ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში დაგვიანებით მაინც დაიწყო მუშაობა ენათა ასიმილაციის პროცესების შესაჩერებლად. ბევრ ქვეყანაში ნაციონალური ენების შესახებ პოლიტიკა მიმართულია მცირერიცხოვანი ხალხების ენათა განვითარებისა და მხარდაჭერისაკენ. ამ საკითხების განხილვის დროს საჭიროა, გათვალისწინებულ იქნეს მთელი რიგი ფაქტორები, კერძოდ კი ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ენობრივ სიტუაციას: სოციალურ-ენობრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული განვითარების ხარისხს, ეკოლოგიურ და სოციალურ ინფრასტრუქტურას, ეთნოდემოგრაფიულ ვითარებასა და მოსახლეობის განათლების თავისებურებებს, ნაციონალური ენობრივი

პოლიტიკის პრინციპებს, იმას, თუ რომელ კულტურულ-ისტორიულ არეალს მიეკუთვნება კონკრეტული ენობრივი არეალი; გასათვალისწინებელია აგრეთვე მოცემული ენის და ამავე ტერიტორიაზე გავრცელებული სხვა ენების კომუნიკაციური სივრცის მთლიანი მოცულობა, ამ ენათა საზოგადოებრივი ფუნქციები და სხვა.

ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, ენათა ფუნქციონირებაზე მოქმედებს აგრეთვე სხვა ფაქტორებიც, კერძოდ, რამდენად კომპაქტურად სახლობს ამა თუ იმ ენის მატარებელი ეთნოსი, რამდენად ჩაკეტილია მისი საცხოვრებელი არეალი, რამდენად ნაკლებად ემორჩილება ის სხვა ენაზე გადასვლის პროცესს; ეს კი გარდაუვალი გახდა თანამედროვე მსოფლიოში.

განსხვავებული ენობრივი გარემოება აჩქარებს ამ პროცესებს, იგი აქტიურად მოქმედებს მცირერიცხოვანი ხალხების ენებზე.

დღევანდელ მსოფლიოში ენობრივი სიტუაციის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ურბანიზაციის პროცესთან, მიგრაციებთან, კონფლიქტურ-საომარ სიტუაციებთან, ტურიზმთან, რომლებიც პოლიტიკური და ეთნოსთაშორისი პროცესებისა და სხვა ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია. მაგალითად, კავკასიის ზოგი ეთნოსის წარმომადგენელი აღმოჩნდა უფრო მეტი რაოდენობით მიგრაციაში, ვიდრე საკუთარ მიწა-წყალზე.

სოციოლინგვისტური კვლევები ჩრდილოეთ კავკასიის ენათა მდგომარეობის შესახებ არ

ჩატარებულა საკმარისი რაოდენობითა და ხარისხით. დღემდე არ არის მიღებული ეფექტური სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებები ენობრივ სფეროში; არ არის გამოკვეთილი ქმედით ღონისძიებათა პრიორიტეტები; მიღებული დოკუმენტები და გადაწყვეტილებები მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისად რჩება; არ შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც გააკონტროლებდა ამ გადაწყვეტილებებს კონკრეტულ შემთხვევაში; არ არის სათანადო პრობლემებზე მომუშავე მუდმივმოქმედი სამეცნიერო ცენტრი; არ არის შესაბამისობა რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასა და ამ კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარებას შორის.

მცირერიცხოვანი ხალხების ენათა გაქრობის რეალურობას ადასტურებს სტატისტიკური მონაცემები¹. სოციოლოგთა მონაცემებით, რუსეთში დაახლოებით ენათა 50% დგას გაქრობის გზაზე; რ. ტირადო და ზ. გაბუნია კი ამ რიცხვს 60%-მდე წარმოადგენენ, მაგ., ალიასკის (აშშ) 230 ენიდან მხოლოდ 2 ენას სწავლობენ ბავშვები და იმასაც, როგორც საგანს; რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში 30 ენიდან მხოლოდ 14 შეისწავლება, ე. ი. ეს ენები 60-70% გაქრობის ზღვარზეა. ავსტრალიაშიც ცუდი მდგომარეობაა – ენათა 90% გაქრობის ზღვარზეა.

¹ Р. Гусман Тирадо, З. М. Габуниа, Современная глобализация и проблемы малочисленных языков в лингвистике XX века - в сборнике Лингвистическое кавказоведение и тюркология: традиции и современность, Карачаевск, 2007, გვ. 4.

მ. კრაუსის მოსაზრებით, XXI საუკუნეში მსოფლიოს ენათა ნახევარი გაქრება, ანუ 6000 ენიდან – 3000 შეწყვეტს არსებობას, რაც სწორედ რომ ჰუმანიტარული კატასტროფა იქნება. როგორი იქნება ამ ენათა შორის ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ხვედრითი წილი? გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ენები, მ. კრაუსის განმარტებით, ის ენებია, რომლებზეც საუბრობს 100-დან 300 ათასამდე ადამიანი. ისინი შეიძლება გადარჩნენ XXI საუკუნემდე, თუ ამ ხალხების ენები სკოლაში ისწავლება, როგორც მშობლიური ენა¹. მოსალოდნელი ტენდენციაა, რომ 100 წლის მანძილზე ამ ენების სკოლაში სწავლებაც შეწყდება და, შესაბამისად, საფრთხის წინაშე აღმოჩნდება კიდევ უფრო მეტი ენა.

ენობრივი ურთიერთობის წყვეტა თაობათა შორის ენას გაქრობის საფრთხის წინაშე აყენებს, მაგრამ ენა შეიძლება სხვა მიზეზითაც გაქრეს. ვინ უნდა დადგეს ამ ენათა სადარაჯოზე? ვინ უნდა მოაგვაროს ეს პრობლემები? როგორია სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი ამ პროცესში? ვინ უნდა დაიცვას ამ ენათა სამართლებრივი უფლებები?

ლინგვისტებმა ამ საქმეში უნდა შეასრულონ გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლი, მოახდინონ პრობლემების გადაწყვეტაზე ქმედითი გავლენა, დაადგინონ ამ ენათა გადარჩენის რეალური შესაძლებლობები, პრიორიტეტები ტრადიციული

¹ Краусс М. , Языки мира в кризисе, 1992.

მეთოდების გამოყენებით. აშკარა ხდება, რომ პოლიტიკურად დაწინაურებული ენებისა და კულტურების დომინანტურობა გარკვეულ საფრთხეებს უქმნის მცირერიცხოვან ხალხთა ენებს. ასეთ დომინანტურ როლს ასრულებს მთელს მსოფლიოს უდიდეს ნაწილში ინგლისური, რუსული კი – რუსეთის ფედერაციაში. ენათა კვდომის მთავარი მიზეზი არის გენოციდი, კერძოდ: სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ენობრივი დისკრიმინაცია, საგანმანათლებლო და საკანონმდებლო სისტემა. მ. კრაუსი აღნიშნავს, რომ მცირერიცხოვანი ხალხებისთვის ტელემაუწყებლობა არის „კულტურული ნერვიულ-დამაღამბლავებელი გაზი,“ იარაღი მათ გასანადგურებლად. ამის ნათელი მაგალითად ჩვენ შეიძლება დაგვესახელებინა ტელემაუწყებლობები ჩრდილოეთ კავკასიაში.

XXI საუკუნეში ლინგვისტური რუკიდან ქრებიან ენები. ამ ენათა გადარჩენის მცდელობა არ ნიშნავს ამ ენათა მატარებლების ახალი საზოგადოების შექმნას, არამედ გულისხმობს მშობლიური ენისადმი პატივისცემას და ხელსაყრელი პირობების შექმნას, რომლებიც უნდა განაპირობებდნენ ამა თუ იმ ენის ეთნიკური სპეციფიკის შენარჩუნებასა და განვითარებას. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები არ უნდა განისაზღვროს ენის მატარებელთა რაოდენობით. ამ თვალსაზრისით ხელისშემშლელ პირობად არ უნდა იქცნენ რუსეთის სატიტულო ენები, რომლებიც სარგებლობენ განსაკუთრებული უპირატესობით.

კავკასიოლოგმა ა. კიბრიკმა¹ შეისწავლა გაქრობის გზაზე მდგარი ენების მდგომარეობა, მოახდინა მათი კლასიფიკაცია 5 ჯგუფად: I ჯგუფში შევიდა ენები, რომელთა მატარებელი 10-15 ადამიანია (ალეუტური, კერეკის და სხვათა), ფაქტობრივად, მათი გადარჩენა შეუძლებელია; II ჯგუფში შედის „მომაკვდავად სნეული ენები“, რომლებიც საჭიროებენ საჩქარო ზომებს მათი რევიტალიზაციისათვის (ენცური, იტელმენური, უდეგური და სხვ.); III ჯგუფში შედის „სერიოზულად სნეული ენები“ (ესკიმოსური, იუკაგირული, ნიფხური); IV ჯგუფში შედის „ქრონიკულად სნეული ენები“, რომლებიც ინარჩუნებენ გარკვეული წინააღმდეგობის უნარს და მისწრაფებას ამ ენის მატარებელთა მხრიდან, მოახდინონ მშობლიური ენის კულტივირება (ოროჩის, ულოჩის, სელკუპის, კეტის ხალხთა ენები); V ჯგუფში შედის უმწერლობო ენები, რომლებიც ემსახურებიან მცირერიცხოვან ეთნოსებს სასაუბრო-ყოფითი ურთიერთობისას ოჯახსა და სოფელში. ეს, ძირითადად, დაღესტნის ენებია: არჩიბული, ჰინუხური, ჰუნზიბური, ღოდობერიული და სხვ. ვ. ნეროზნაკს² ამ მონაცემთა საფუძველზე გამოაქვს დასკვნა, რომ „საფრთხის ზონაში იმყოფება მინორიტარული

¹ А. Е. Кибрик, Очерки по общим и прикладным вопросам языкознания, М., 1992, გვ. 69-79.

² Красная книга языков России, в. НероЗнакис რედაქტორობით, М., 1994, გვ. 7.

ენების ნახევარი“. ენობრივი კოლექტივები, რომლებიც ცხოვრობენ კომპაქტურად და შედარებით ჩაკეტილად, ნაკლებად ექვემდებარებიან სხვა ენაზე გადასვლას. ამავდროულად, უცხოენობრივი გარემოცვა მნიშვნელოვნად აჩქარებს ამ პროცესებს. ავტორს მიაჩნია, რომ გადასახლებები და მიგრაციული პროცესები დამღუპველად მოქმედებენ ენის სიცოცხლისუნარიანობაზე.

საკუთარი ნაცონალური იდენტურობის ენად მშობლიური ენის გამოცხადების პრობლემა მნიშვნელოვანია ეთნოკულტურული საზღვრების კომპაქტურობის განსაზღვრისათვის; მიგრაციული პროცესების ინტენსიურობის განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია აგრეთვე საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი, სოფელი), რელიგია, შერეული ქორწინება და სხვ.

ლინგვისტურ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ენის ცოდნის დონე, დიალექტების შესწავლის მდგომარეობა, ლიტერატურული ენის ფუნქციონირების მდგომარეობა. თუ მშობლიურ ენად სახელდება არა ეთნიკური წარმოშობის ენა, არამედ ენა, რომელიც სოციალურად აქტიურ ფუნქციებს იძენს, მაშინ ასეთ სიტუაციაში ხდება ენის თანდათანობითი გაქრობა. ამგვარად, ენის მატარებლები უარს ამბობენ მშობლიურ ენაზე, რაც მომაკვდინებელია ენისთვის. ენის მატარებელთა კომპაქტური დასახლება, მცირე მიგრაცია, სოფელში ცხოვრება,

ენდოგამიურობის შენახვა უზრუნველყოფს მშობლიური ენის განვითარებას.

სოციოლინგვისტიკაში ნაკლებადაა შესწავლილი დემოგრაფიული სიტუაციის გავლენა მცირერიცხოვან ენებზე. მოსახლეობის სტრუქტურა (ასაკობრივი, პროფესიული და სხვ.), დინამიკა (შობადობა, სიკვდილიანობა, მიგრაცია და სხვ.) ის მაჩვენებლებია, რომლებშიც ვლინდება დემოგრაფიული ფაქტორების გავლენა გაქრობის გზაზე მდგარ მრავალ ენაზე და მათ მატარებელ ეთნოსებზე.

ეთნოსთაშორისი კონფლიქტების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ დემოგრაფიული სიტუაციის არასასურველი ცვლა მიაჩნიათ, მაგალითად, რ. ტირადოსა და ზ. გაბუნის აფხაზეთის მაგალითზე. ისინი ეთანხმებიან იმ მკვლევარებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეთნოსთაშორისი (ქართველებისა და აფხაზების) დაპირისპირების გამწვავება, რომელმაც 1992-1993 წლების ომი გამოიწვია, განპირობებული იყო მოსახლეობის მეტისმეტი სიმჭიდროვით, კერძოდ, სხვა ეთნოსების (როგორც ჩანს, ქართველების) დიდი რაოდენობით¹.

ამგვარი მიდგომა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ მიზანმიმართულად შეიძლება გაყალბდეს ისტორია სწორედ სოციოლინგვისტური,

¹ Р. Гусман-Тирадо, З. Габуня, Современная глобализация и проблемы малочисленных языков в лингвистике XX века - в сборнике Лингвистическое кавказоведение и тюркология: традиции и современность, Карачаевск, 2007, გვ. 19.

კერძოდ, დემოგრაფიული სიმძლავრის არასწორი კომენტირებითა და სუბიექტური გააზრებით (საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია).

ლინგვისტების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს აქტიური სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის ჩატარება, რათა დაცული იქნეს გაქრობის გზაზე მდგარი ენების საკანონმდებლო უფლებები.

ამ ენათა შესწავლა მრავალი ასპექტით უნდა განხორციელდეს: ლინგვისტური, ისტორიული, კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური, ეკოლოგიური, ნეოსფეროს ასპექტებით.

1992 წელს ევროპის საბჭომ მიიღო ევროპის ქარტია რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ. ქარტია ავალდებულებს სახელმწიფოებს – ევროპის კავშირის წევრებს – დაიცვან ქარტიით დეკლარირებული ნაციონალურ უმცირესობათა უფლებები. ქარტიით გათვალისწინებულია მიდგომა, რომელიც მოითხოვს მხედველობაში იქნეს მიღებული კულტურული და სოციალური რეალობა, მიღებულ იქნეს ზომები რეგიონალური ენების და უმცირესობათა ენების შენახვის უზრუნველსაყოფად. ქარტია მიიჩნევს, რომ ეს ენები მთელი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობაა. ყურადღება მახვილდება კულტურულ ასპექტზე და ენის მატარებელთა მიერ ცხოვრების ყველა სფეროში ენის გამოყენების შესახებ.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მსოფლიო საზოგადოებაში მცირერიცხოვანი ხალხებისადმი დამოკიდებულების მხრივ კვლავაც ძალაშია

ასიმილაციური მიდგომები, ცხადი ხდება, რომ საჭიროა ახალი საერთაშორისო ნორმების, განსაკუთრებით, ენობრივი პროგრამების შემუშავება და ქმედითი ზომების მიღება გაქრობის გზაზე მდგარი ენების შენახვისა და დაცვის მიზნით.

ტ. პიატაკოვას¹ მონაცემებით, ადიღეს რესპუბლიკაში, ქ. მაიკოპში 1999 წელს 22652 მოსწავლიდან ადიღეურ ენას სწავლობდა 10583 ანუ 47%. ხოლო უფრო ადრე – 1993 წელს მაიკოპში ადიღეურ ენას სწავლობდა მოსწავლეთა მხოლოდ 6%. მიუხედავად იმისა, რომ ადიღეური ენის შემსწავლელთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რუსული ენა მაინც რჩება ურთიერთობის მთავარ ენად. იმავე ავტორის ცნობით, ქალაქში მცხოვრებ ადიღეელთა მხოლოდ 1% ლაპარაკობს სკოლაში მშობლიურ ენაზე. ადიღეური ენის ფლობის დონე ძალზე დაბალია: ქალაქის მოსწავლეების 30% საერთოდ არ ლაპარაკობს ამ ენაზე, 25% – ლაპარაკობს გაჭირვებით. ამგვარად, ეს თაობა უკვე მიეკუთვნება “სწეულ ეთნოსს”, რადგან მას უკვე აღარ შეუძლია მშობლიური ენა გადასცეს მომდევნო თაობას. შემდეგ თაობებში ეს პროცესები აისახება ენობრივ კონპეტენციაზე. ასეთივე მდგომარეობაა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ქალაქებშიც.

¹ Т. Л. Пятакова, О языковой компетенции// конгресс этнологов и антропологов России. М. , 2001 გვ. 190.

ეთნოსთაშორისი ურთიერთობისა და მინორიტარული ენების დაცვის პრობლემები მნიშვნელოვანწილად გადაწყვეტილი იქნებოდა, თუ ყოველი ადამიანისათვის კანონის ძალით გახდებოდა პრიორიტეტი მშობლიური ენის უფლებები. ეს შესაძლებელს გახდიდა, თავიდან აგვეცილებინა სამართლებრივი უთანასწორობა სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე ენების მატარებელთა და იმ ენების მატარებელთა შორის, რომელთაც არა აქვთ ოფიციალური სტატუსი. კაცობრიობის ახალი მოდელი უნდა იყოს ნაციონალურ-კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვანი გამოყენება.

ენა და ეროვნული ცნობიერება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმსაზღვრელი კატეგორიებია, ამიტომ საჭიროა ცივილიზებული ნაციონალური ურთიერთობების ოპტიმალური კონცენტრაცია, რომელიც შემუშავდება მცირერიცხოვან ხალხთა გაქრობის გზაზე მდგარი ენების დამცველ მეცნიერთა კომიტეტის მიერ.

ჩრდილოეთ კავკასიის თანამედროვე ენობრივი სიტუაცია ხასიათდება სოციოლინგვისტური რთული იერარქიული ნიშნებით. ყველა ენა, როგორც მრავალრიცხოვანი ერისა, ასევე მცირერიცხოვანი, უნდა იყოს თანაბარი ენობრივი უფლებების სუბიექტი. განათლებისა და კულტურული ღირებულებების შენახვა შეუძლიათ როგორც დიდ, ისე მცირე ერებს.

5. ბილინგვიზმი და მულტილინგვიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში

ბილინგვიზმი – ორენოვნება ლინგვისტური და სოციალური მოვლენაა. იგი უძველესი დროიდან არის ცნობილი. ეს მოვლენა რთული და არაერთგვაროვანია, ამიტომ, ბილინგვიზმის შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი შრომების მიუხედავად, მაინც რჩება პრობლემური საკითხები თუნდაც ბილინგვიზმის ცნების შესახებაც.

მულტილინგვიზმი (პოლილინგვიზმი) ნიშანდობლივია ჩრდილოეთ კავკასიისთვის გამოდინარე მისი მრავალენოვნებიდან. ეს არის განსაზღვრული სოციალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფარგლებში (უპირატესად სახელმწიფოში) რამდენიმე ენის გამოყენებით; აგრეთვე ტიპიური მოვლენაა ინდივიდის (ან ადამიანთა ჯგუფის) მიერ რამდენიმე ენის გამოყენება, კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციაში კონკრეტული ენის არჩევა საურთიერთოდ ორივე ეს მოვლენა ურთიერთდაკავშირებულია, პოლილინგვიზმის აუცილებლობას წარმოშობს კომუნიკაციის დროს მთლიანად საზოგადოების ან მისი წევრების მრავალენოვნება. მაგრამ იგი არ არის მკაცრად დეტერმინირებული: საზოგადოების ერთენოვნება არ გამორიცხავს ამ საზოგადოების რომელიმე კონკრეტული წევრის მულტილინგვიზმს და,

პირიქით, სახელმწიფოს მულტილინგვიზმი შეიძლება შეთანხმებული იყოს მოსახლეობის მონოლინგვიზმთან ენობრივი ურთიერთობის ფარგლებში (მაგალითად, შვეიცარიაში), ამიტომ განიხილეთ „ინდივიდუალური“ და „ნაციონალური“ მრავალენოვნება. ეს უკანასკნელი სოციოლინგვისტიკის შესწავლის საგანია. მულტილინგვიზმი უმეტესწილად დამახასიათებელია მრავალეროვანი სახელმწიფოს რეალობასთან (აშშ, ყოფილი საბჭოთა კავშირი, რუსეთის ფედერაცია, ინდოეთი, ნიგერია და სხვ.). კომუნიკაციის ფორმები (ენები, დიალექტები, თქმები, სოციალური და პროფესიული ჟარგონები და ა.შ.) მულტილინგვიზმის პირობებში ქმნიან ფუნქციონალურ იერარქიას, მაგალითად: 1. ვიწრო ლოკალური ჯგუფისშიგნითა ურთიერთობის საშუალება („შინ სახმარი“) 2. ჯგუფთაშორისი ყოფითი ურთიერთობების ლოკალური საშუალება (ე. წ. „ბაზრის“ ენა სხვადასხვა ტომებისაგან დასახლებულ სოფლებში აზიასა და აფრიკაში); 3. ადმინისტრაციის ენა; 4. პოლიეთნიკური რეგიონის ენა; 5. საერთო სახელმწიფო ენა (შეიძლება ეს იყოს საერთაშორისო ენა).

იერარქიის პირველი ორი საფეხურის ენები მეტწილად ემსახურებიან არაფორმალურ ზეპირ ურთიერთობებს; მომდევნო საფეხურებისთვის კი ამ ფუნქციებთან ერთად იზრდება მასობრივი და ფორმალური (უმეტესწილად, წერილობითი) საკომუნიკაციო ფუნქციები – ეს არის განათლების

ენები, ინფორმაციების საშუალების ენები, კულტურის, ლიტერატურისა და მეცნიერების ენები.

მულტილინგვიზში ყველაზე ხშირად რეალიზდება ორენოვნების (ბილინგვიზმის) სახით. სამი და მეტი ენის მასიური ფლობის შემთხვევები შედარებით იშვიათია. რუსეთის ფედერაციაში მოსახლეობის 30%-მდე ორენოვანია. მათთვის მეორე ენა არის რუსული. მულტილინგვიზმისათვის (ბილინგვიზმისათვის) არსებითი მნიშვნელობა აქვს გამოყენებული ენის ფუნქციონალურ სტატუსს და მათი სიახლოვის ხარისხს – გენეტიკურია ეს სიახლოვე თუ ტიპოლოგიური. მულტილინგვიზმის საფუძველზე ხდება ენათა ინტერფერენცია და კონვერგენცია¹.

დიგლოსია (ბერძ. დი – „ორჯერ“, გლოსა „ენა“) ეს არის ორი ენის ან ერთი ენის ორი ფორმის თანაარსებობა საზოგადოებაში სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროში. დიგლოსია, როგორც სოციოლინგვისტური ფენომენი, აუცილებლად გულისხმობს თავისი იდიომების შეგნებულ შედარებას მოსაუბრის მიერ იერარქიულად – „მაღალი“ – „დაბალი“, („საზეიმო“ – „ყოველდღიური“). დიგლოსიის კომპონენტები შეიძლება იყოს სხვადასხვა ენა (მაგალითად, ფრანგული და რუსული XVIII საუკუნის მემამულეთა საზოგადოებაში), შეიძლება გვხვდებოდეს ერთი ენის არსებობის განსხვავებული ფორმები (ლიტერატურული ენა –

¹ Лингвистический энцикл. словарь. Москва, 1990, გვ. 303.

დიალექტი, მაგალითად, კლასიკური არაბული ენა და ადგილობრივი არაბული დიალექტები აღმოსავლეთის ქვეყნებში), განსხვავებული სტილები ენისა (მაგალითად, წიგნის ენა და სასაუბრო ენა მ. ლომონოსოვის „სამი სტილი თეორიის“ მიხედვით, ასევე ანტონის სამი სტილის მიხედვით). ზოგჯერ დიგლოსია არასწორადაა გათანაბრებული იდიომების ფუნქციონალურ სერტიფიკაციის არსებობასთან შედარებითი ფაქტორის გარეშე. შესაძლებელია ისეთი ენობრივი სიტუაციები, რომლებიც ახასიათებს მულტილინგვიზმს და ენათა ფუნქციონალურ სერტიფიკაციას დიგლოსიის არსებობის გარეშეც (მაგალითად, დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში). ტერმინი დიგლოსია შემოღებულია ჩ. ფერგიუსონის მიერ¹.

ორენოვნება გულისხმობს ორი ენის სრულყოფილ ცოდნას, მათ გამოყენებას როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში (განათლება, კანონმდებლობა, მასმედია...). მეცნიერებაში გარჩეულია ორენოვნების სახეები: კოორდინაციული (ორივე ენის თანაბარი ფლობა), სუბორდინაციული (არამშობლიური ენა დაქვემდებარებულია მშობლიურ ენას), რეცეპციული (ადამიანი იგებს, მაგრამ საუბრობს ცუდად ან საერთოდ არ საუბრობს) და სხვ.

¹ Лингвистический энцикл. словарь. Москва, 1990, გვ. 303.

პროფესორი ჯ. კეტიფორდი აღნიშნავს, რომ სიტყვა „ბილინგვი“ მიემართება ადამიანს, რომელიც თანაბრად ფლობს ორ ან მეტ ენას. სინამდვილეში ასეთი ადამიანები ცოტაა. იმ ინდივიდებს, რომლებიც სრულყოფილად და თანაბრად ფლობენ ორ ენას, ჯ. კეტიფორდი უწოდებს ამბილინგვებს. ბილინგვების მეტი ნაწილისთვის ორი ან რამდენიმე ენის ფლობა გამოიხატება იმით, რომ ერთი (მშობლიური) ენა მისთვის არის ძირითადი (ან პირველი), ხოლო სხვა ენა – მეორე.

ერთ ტერიტორიაზე რამდენიმე ეთნოსის ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების შედეგად ჩამოყალიბდა კონტაქტური შერეული ორენოვნება. ჩრდილოეთ კავკასიისათვის დამახასიათებელია როგორც ცალმხრივი ბილინგვიზმი (ორი ხალხიდან ყოველი თანაბრად ფლობს ორივე ენას), ისე პოლილინგვიზმი, როცა ადგილობრივი ხალხები ფლობენ სამ ან მეტ ენას, მაგალითად, დაღესტანში. კავკასიაში, საქართველოს საზღვარზე, მთიან მწვერვალებთან მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე პატარა ორი სოფელი თითო-თითო ენით – არჩი და ჰინუხი. ჰინუხში 400 ადამიანი ცხოვრობს. სოფელი ჰინუხის მცხოვრებლები ფლობენ ოთხ ენას: ჰინუხურს, ხუნძურს, დიდოურს (ცეზურს), რუსულს, ბეკიტურს.

ეთნოსთაშორისი ურთიერთობისათვის იყო ათეულობით ენა ჩრდილო კავკასიაში ისტორიის მანძილზე. ამ ხალხების წარმომადგენლები ხშირად ფლობდნენ მეორე ენას, საბჭოთა რევოლუციამდე

აზერბაიჯანულს, ბალყარულს, ყაბარდოულს, ყარაჩაულს, ყუმიკურს, ლაკურს, ნოღაურს, რუსულს. დამახასიათებელია, რომ ამ ენათაგან ერთ-ერთი (რუსული, აზერბაიჯანული, ყუმიკური, ნოღაური) გამოიყენებოდა რამდენიმე ხალხის მიერ მნიშვნელოვან დიდ ტერიტორიაზე; დანარჩენი ენების (ხუნძური, აბაზური, ყაბარდოული, ადიღური, ლაკური) ცოდნა ადამიანთა მხოლოდ განსახლდრულ რაოდენობას თუ ჰქონდა. რევოლუციის წინა პერიოდში ორენოვნების გავრცელების ძირითადი ფაქტორები იყო ეკონომიკური (ვაჭრობა, მეცხოველეობა-გადარეკვა), აგრეთვე განსახლების თავისებურება, განსხვავებული ეთნიკურ საზოგადოებებში ცხოვრება და სხვ.

ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთა უმეტესობა ბილინგვებია, ანუ საუბრობენ არა მარტო თავიანთ მშობლიურ, არამედ რუსულ ენაზეც, რომელიც არის ძირითადი ეთნოსთაშორის ურთიერთობის ენა, მაგრამ არ არის ეთნოსთაშორის ურთიერთობის ერთადერთი ენა. სულიერებისა და ღირებულებების შეთვისება იმ ენიდან, რომელზეც ხდება ურთიერთობა, არის კანონზომიერი ნაციონალურ-ენობრივი ცხოვრებისათვის. ამ პროცესში მონაწილე ეთნოსები ინარჩუნებენ თავიანთ ნაციონალურ შეგნებას, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს. 1994 წლის მიკროაღწერის შედეგად ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის 85,1% თავისი ნაციონალურობის ენად თვლის მშობლიურ

ენას. 32% რუსულ ენას აღიარებს მშობლიურ ენად (მათ შორის 29,7 % – რუსი). ამასთან, არარუსი ნაციონალობის მცხოვრებთა 4,35% ასახელებს რუსულ ენას მშობლიურ ენად, ხოლო მეორე ენად – ურთიერთობის ენა – 80,6 %¹.

ამგვარი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ე. აბულოვა ასკვნის, რომ ორენოვნების ხარისხი ჩრდილოეთ კავკასიაში მაღალია, განაკუთრებით ქალაქის მოსახლეობაში.

XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენების შედეგად ნაციონალურ-რუსულენოვანი ორენოვნება შემცირდა რუსულენოვანი მოსახლეობის გადინების საფუძველზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსული ენის სამართლებრივი მდგომარეობა შეიცვალა. რუსულმა ენამ მნიშვნელოვანწილად დაკარგა ეთნოსთაშორისი ურთიერთობის ფუნქცია და გახდა შედარებით დაბალი სტატუსის ენა, უფრო ზუსტად, ეთნიკური უმცირესობის ენად იქცა.

ნაციონალურ და ნაციონალურ-შერეულ ოჯახებში ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ბევრი ფაქტორი, უპირველეს ყოვლისა, რუსული ენის ფლობის დონე და ამ ენის გამოყენება (აქტიური და პასიური) მშობლების მიერ, მათი ინტერესი ამ ენის მიმართ. ნაციონალურ გარემოში, სადაც პრაქტიკულად არ არის რუსულენოვანი გარემოცვა,

¹ Е. А. Абулова, Еще раз о двуязычии на Северном Кавказе, // Лингвистический вестник. Махачкала, февраль, №2, 2009, გვ. 33-34.

ორენოვნების ფორმირებაში, გავრცელებასა და სრულყოფაში მნიშვნელოვან როლს სკოლა ასრულებს. ბევრი ლინგვისტი თვლის, რომ მიზანშეწონილია სწავლების დაწყება მშობლიურ ენაზე და შემდგომ გადასვლა რუსულ ენაზე. გამოკვლევების მონაცემებით (ჩატარდა დაღესტნის 5 რაიონში), მშობლების 65,6%-მა გამოთქვა სურვილი რუსულ ენაზე სწავლებისა, 32,4%-მა რუსულ და მშობლიურ ენაზე, მხოლოდ 2%-მა – მშობლიურ ენაზე¹.

ა. გიულმაჰომედოვის აზრით, დიდი ინტერესის შემცველია ბილინგვიზმის თეორეტიკოსებისთვის რუსულ-დაღესტნური ორენოვნება. იგი იშვიათი მოვლენაა, წარმოიშვა დიდი სამამულო ომის შემდგომ რუსეთის ცენტრალური ქალაქებიდან სპეციალისტების (ექიმების, მასწავლებლების) ჩამოსვლით. ისინი დამკვიდრდნენ მთებში და დაეუფლნენ იმ ხალხების ენებს, რომელთა შორისაც ისინი ცხოვრობდნენ. ასე ჩამოყალიბდა რუსულ-დარგუული, რუსულ-ლაკური და სხვა ორენოვნება.

მეორე ენის გამოყენება დაღესტნის პირობებში და დაღესტნის მხატვრული სიტყვის ოსტატების შემოქმედებაში ა. გიულმაჰომედოვი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ტერმინ ორენოვნების გამოყენება აქ ნათლად არ შეესატყვისება არსს ამ

¹ Е. А. Абулова, Еще раз о двуязычии на Северном Кавказе, // Лингвистический вестник. Махачкала, февраль, №2, 2009, გვ. 34.

ტერმინისა. ამ ტერმინით დაღესტნურ ენათა მკვლევრები აღნიშნავენ პრაქტიკულად სამი ენის (მშობლიურისა და ორი სხვა შემდეგ შეთვისებული ენის) გამოყენებას¹. დაღესტნის მულტილინგვიზში დღემდე მცირედაა შესწავლილი. ამ საკითხთან არის დაკავშირებული, აგრეთვე, უცხო ენების სწავლების პრობლემატიკაც.

ა. გიულმაჰომედოვის ახსნით, დაღესტანში რუსულ-დაღესტნური ბილინგვიზმის გაჩენა კერძო შემთხვევებთანაა დაკავშირებული და არა იმ ენობრივ პოლიტიკასთან, რომელსაც საბჭოთა კავშირი ატარებდა მთელს საბჭოურ სივრცეში. რუსულენოვანი მოსახლეობა ჩრდილოეთ კავკასიაში არ ფლობს ნაციონალურ ენებს, პირიქით, ეს მოსახლეობა მიიჩნევს, რომ სწორედ ნაციონალური ენების მატარებელნი არიან ვალდებულნი, ფლობდნენ რუსულ ენას, როგორც კომუნიკაციის, სწავლებისა და, უფრო მეტიც, კულტურის ენას. ამგვარმა ვერტიკალურმა მიდგომამ განაპირობა ცალხმრივი ბილინგვიზმის (რუსულ-ნაციონალური) ჩამოყალიბება ჩრდილოეთ კავკასიაში.

როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი ბილინგვიზმი არათანაბარს ხდის ენათა შორის კომუნიკაციას და ერთ-ერთი (მოსული) ენა ხდება დომინანტი.

მრავალეროვან დაღესტანში შეუსწავლელი ფურცელია მხატვრული ლიტერატურის ენა.

¹А. Гюльмагомедов, Двухязычие и диглоссия в Дагестане, // Лингвистический вестник. Махачкала, февраль, №2, 2009, გვ. 9.

დადესტინელი ხალხების მწერლები, რომლებიც მშობლიურ ენასთან ერთად ფლობდნენ უცხოურ ენებს, ყოველთვის თარგმნიდნენ ნაწარმოებებს ამ ენებზე. ერთ-ერთი საინტერესო და ნაკლებად შესწავლილი პრობლემაა ნაციონალურ-უცხოენოვანი ორენოვნება (მათი გაგებით, რუსული ენა აქ არ იგულისხმება). ორენოვნება გავრცელებული იყო დადესტინის გარკვეულ წრეებში XIV-XIX საუკუნეებში. ამ პერიოდში დადესტინის ხალხების წარმომადგენლები წერდნენ არაბულ, სპარსულ, თურქულ ენებზე. დამახასიათებელია, რომ ამ ენათა სპეციალისტებს ისევე, როგორც ევროპული ენების სპეციალისტებს, დღესაც ამზადებენ ჩრდილოეთ კავკასიის უმაღლეს სასწავლებლებში.

რუსული ენის გავლენა ჩრდილო კავკასიის ხალხებზე რთული და ხანგრძლივი პროცესია. მისი ფესვები ღრმა ისტორიაში მიდის. პირველი კონტაქტები რუსულ სახელმწიფოსთან IX-X საუკუნეებში დასტურდება რუსეთის ლაშქრობით კავკასიაში. სისტემატურ ხასიათს ეს ურთიერთობები XVI საუკუნიდან იძენს. XIX საუკუნიდან კი, როცა რუსეთმა საბოლოოდ დაიპყრო კავკასია, გაატარა ენობრივი პოლიტიკა, ეს პოლიტიკა განსაკუთრებულ ორგანიზებულ სახეს საბჭოთა ეპოქაში იღებს.

ძალზე საინტერესოა ურთიერთგამომრიცხავი, საწინააღმდეგო დამოკიდებულება თავად ჩრდილოკავკასიელ ხალხებსა და რუსებს შორის. ე. აბულოვა წერს, რომ რუსეთის შემოსვლას კავკასიაში მოჰყვა კულტურათა

ურთიერთგამდიდრება. თავის დროზე თანამედროვე მთიელთა წინაპრები აღნიშნავდნენ რუსული ენის, რუსული კულტურის მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე კავკასიის ეთნოსების განვითარებაში. ისინი ამაში ხედავდნენ ამ ხალხების აღორძინების მნიშვნელოვან პირობას. ცნობილი ყაბარდოელი განმანათლებელი ყაზი ატაჟუკინი პირველი მთარგნელი იყო, რომელმაც ყაბარდოულ ენაზე თარგმნა პუშკინისა და ლერმონტოვის თხზულებები. მან აღნიშნა, რომ რუსული ენის ცოდნისადმი მოთხოვნილება არ გაქრებოდა ყაბარდოში. ყაბარდოს მდგომარეობა და რუსულთან დამოკიდებულება ისეთია, რომ იგი რუსულის გარეშე ვერ იარსებებს. ამას აცნობიერებენ და შემდეგაც გააცნობიერებენ თავად ყაბარდოელები¹.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსული ენა ფართოდ გავრცელდა ჩრდილო კავკასიაში. ყოველ წელს იზრდებოდა რუსული ენის მცოდნეთა რიცხვი. ეთნოგრაფი ნ. გრაბოვსკი წერდა, რომ ინგუშისთვის ყველაზე დიდი სიამოვნება და პატივისცემაა სტუმრობა სახლში, ამიტომ მათ ყველგან ხვდები, დაწყებული მისაღებიდან, აუდიტორიით დამთავრებული. ყოველივე ამას

¹ Е. А. Абулова, Еще раз о двуязычии на Северном Кавказе, сб. Лингвистический вестник. Махачкала, февраль, №2, 2009, გვ. 36.

ინგუში რუსული ენის ცოდნის წყურვილით აკეთებს¹.

ჩერქეზი განმანათლებელი მ. დიშეკოვი თავის მოგონებებში იხსენებს ფაქტს, რომ სოფლების ბობერდოვსკისა და ატაჟუსკის რუსი მეფუტკრე უფასოდ ასწავლიდა ახალგაზრდა მთიელებს რუსულ წერა-კითხვას. ჰუმანური საქციელია, მედალს კი ყოველთვის ორი მხარე აქვს.

როგორი იყო თავად რუსული საზოგადოებისა და მწერლების დამოკიდებულება კავკასიის მიმართ მაშინ, როცა კავკასიელი „განმანათლებლები“ რუსულ ექსპანსიას ღამის მხსნელად სახავდა?

ნ. ხაიბულიევა ნაშრომში „კავკასიის სახეები და სტერეოტიპები XIX საუკუნის რუსულ სამოგზაურო ლიტერატურაში“ აღნიშნავს, რომ კავკასიის სახე, რომელიც მუდმივად თან ახლავს მასების ცნობიერებას. იგი გავლენას ახდენს არა მარტო ადამიანთა ურთიერთობებზე, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკაზეც, ამიტომ მკვლევარმა მიზნად დაისახა, თვალი გაედევნებინა სახეთა ევოლუციისათვის რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებასა და ცნობიერებაში, რადგან წინა ეპოქაში ჩამოყალიბებული ბევრი წარმოდგენა და სტერეოტიპი. დღემდე ახდენს გავლენას რუსულ-კავკასიურ ურთიერთობებზე. მკვლევარმა

¹ Н. Грабовский, Сборник сведений о кавказских горцах. Вып. IX. Тифлис, 1876, გვ. 29.

განაალიზა დოკუმენტური, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ისტორიული და კულტურული ხასიათის ჩანაწერები სამოგზაურო ლიტერატურაში. ეს ჟანრი ავლენს XIX საუკუნის კავკასიის კულტურის თავისებურებას, ხსნის ცალკეული ხალხის ნაციონალურ-სულიერ ინდივიდუალობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია კავკასიის ხატის, სახეების აღქმა და ტრანსფორმაცია, რადგან ყოველ მოგზაურს აღმოსავლეთში თან მოჰქონდა საკუთარი ისტორიული თვითაღქმისა და გამოსატყვის დონე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ნაციონალური სურათების, სახეებისა და სტერეოტიპების შექმნის ეს „სამოგზაურო ლიტერატურა“ მკითხველს ყოველთვის არ აწვილდა, კულტივირებას ახდენდა რეალური წარმოდგენისა. ეს კი ხდებოდა ნიადაგი, წინაპირობა ნეგატიური სტერეოტიპების ჩამოყალიბებისა. რეალობის სუბიექტური აღქმა განისაზღვრებოდა მთხრობელის კლასობრივი კუთვნილებითა და იმ ამოცანით, რომელიც იდგა მის წინაშე.

ძალიან ხშირად სამოგზაურო ჩანაწერების ავტორები თავიანთ წარმოდგენებს კავკასიის შესახებ უდარებენ იმ წარმოდგენებს, რომლებიც ჩნდება რუს კლასიკოსთა წაკითხვის შემდეგ. ურთავენ თავიანთ შენიშვნებს და აღნიშნავენ რეალობასა და წარმოდგენას შორის დანახულ სხვაობებს.

სამოგზაურო ნარკვევების ავტორები ნაწილობრივ ეხებოდნენ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს, რამდენადაც სწორედ ეს იყო რუსული

საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანი. ეს იყო კიდევ ნაწარმოების პოლიტიკური ქვეტექსტი.

როგორც ყველა მხატვრულ სახეს, კავკასიის სახესაც გააჩნია მყარი სიტყვათშეხამებანი ლიტერატურაში, ეპითეტები, მეტაფორები: дикий край, рыцарство гор, страна кровы и кинжала, страна, каменный архипелаг, страна варваров и дикарей და სხვ. დაკავშირება, ასოცირება ველურობისა და კავკასიისა მუდმივად მყარდებოდა როგორც რუსული სახელმწიფოს მხრიდან, აგრეთვე ლიტერატორებიდან.

ხელისუფლება და საზოგადოება მთიელებს განიხილავენ, როგორც არაცივილიზებულ ტომებს, „მტაცებლებს“, რომლებიც ცხოვრობენ ძარცვითა და რბევით. ისინი დარწმუნებული იყვნენ თავიანთი ძალადობრივი ცივილიზატორული პოლიტიკის სიმართლეში. ამ პოზიციას

„ამაგრებდნენ“ ჩრდილო-კავკასიელი „განმანათლებლები“, რომლებიც მაგალითად მოვიყვანეთ ზემოთ. ნ. ხაიბულაევა აღნიშნავს, რომ კავკასიის ომს და რუსეთის კოლონიზატორულ პოლიტიკას ამართლებდნენ იმით, რომ კავკასიის ხალხებში ცივილიზაცია შემოიტანეს (გავისხენოთ ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ პოდპორუჩიკი №-ის მიერ ცივილიზაციის შემოტანა გენერლების რაოდენობით საქართველოში).

ძალიან ხშირად ლიტერატურაში განიხილებოდა მართვის მეთოდები და მათი

ეფექტურობა. ბევრისთვის კავკასია თვითშემეცნების წყარო გახდა. „საკუთარისა“ და „უცხო“ შეპირისპირება ერთდროულად იძლეოდა საშუალებას, დაეხასიათებინა სამყარო, რომელშიც ავტორი აღმოჩნდა და დაეხასიათებინა საკუთარი თავიც¹.

ამგვარად, კავკასიური სამყარო დამპყრობლისათვის, ერთი მხრივ, აღუქმული დარჩა და, მეორე მხრივ, ეს აღუქმელობა მას ხელს აძლევდა კიდევ, ეწოდებინა მისთვის „უცხო“, „ველური“ და ა.შ. ამგვარი მიდგომა ამართლებდა მათ ექსპანსიას „არაცივილიზებულ“ კავკასიაში ცივილიზაციის შემოსატანად. ამ ყოველივემ განაპირობა ის, რომ კავკასიაში დამკვიდრებულ ეთნიკურ რუსებს ჰქონდათ რუსული ენის უპირატესობის განცდა „არაცივილიზებული“ ხალხების ენებთან მიმართებით. ამან ნიადაგი შეუშადა ცალმხრივ ბილინგვიზმს, რუსულ-ნაციონალურს, როცა ნაციონალური ენების მატარებელნი ფლობენ რუსულს მშობლიურ ენასთან ერთად, ხოლო რუსული ენის მატარებელნი არ ფლობენ ნაციონალურ ენებს, რადგან მათ არ მიაჩნიათ საჭიროდ ამგვარი რამ და თვლიან, რომ ამ ხალხების ბედი, კულტურა მხოლოდ რუსული კულტურის პრიზმაში

¹ Н. Хайбулаева, Образы и стереотипы Кавказа в русской литературе путешествия XIX века, // Материалы I международного конгресса кавказоведов. Тбилиси, 2007. გვ. 449-450.

გარდატეხით უნდა იქნას განხილული. ამგვარი ბილინგვიზმი კი არ არის სრულფასოვანი და აუცილებლად შეაპირობებს მომავალში ერთ-ერთი ენის, ამ შემთხვევაში მოსულთა ენის უპირატესობას, რომ აღარაფერი ვთქვათ ნაციონალური ენების მატარებელთა ენობრივ ასიმილაციასზე.

ჩრდილოეთ კავკასიაში ენობრივი სიტუაციის ცვლა ისტორიულად გამოწვეული იყო მიგრაციებით, ეთნოსთა შერევითა და ეთნოენობრივი პროცესებით, ენობრივი სიტუაციის ცვლით, სუბსტრატით, სუპერსტრატითა და ადსტრატით, კონვერგენციითა და დივერგენციით. ყოველივე ეს პერმანენტულად ცვლიდა ამ ენათა „მდგომარეობას“¹. ჩრდილოეთ კავკასიის ენათა მდგომარეობა იცვლებოდა დროით, სივრცით და სოციალურ პესრპექტივებში.

კავკასია ტრადიციულად ყოველთვის წარმოადგენდა დიდი მეზობელი ქვეყნების ინტერესებისა და ბრძოლის არენას. ამ ბრძოლის პროცესში ხშირად ხორციელდებოდა კავკასიელი ხალხების დაყოფა, უცხო ეთნოსთა ჩამოსახლება და დამკვიდრება, გადასახლება და ადგილობრივი ეთნოსების გაქრობაც კი (მაგ., ალბანელები). კავკასია ხასიათდება მრავალსაუკუნოვანი ენობრივი ურთიერთობებით პალეოკავკასიური, ინდოევროპული, ალთაური და სემიტური ენებისა,

¹ მდგომარეობას განვიხილავთ როგორც სოციოლინგვისტურ კატეგორიას.

იბერიულ-კავკასიურ ენებზე მეტყველი ხალხები ცხოვრობენ ამ ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან, დანარჩენები კი დამკვიდრდნენ კავკასიაში ისტორიული წარსულის სხვადასხვა პერიოდში. მიგრაციები და ენობრივი კონტაქტები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. კავკასიაში უცხო ეთნოსების გამოჩენის მომენტები შეიძლება დავყოთ ორ ეტაპად:

1. ადრეული საფეხური – V საუკუნიდან XVIII საუკუნემდე:

ა) ჯგუფები, რომლებიც ჩამოსახლდნენ დაპყრობითი ომების დროს, შემოვიდნენ დამპყრობლებთან ერთად;

ბ) უცხო მიწის ხალხები, რომლებიც კავკასიაში აღმოჩნდნენ სპეციფიკური ისტორიული პირობების კვალდაკვალ;

გ) ლტოლვილები, რომლებიც სპეციალურად იქნენ ჩამოსახლებული დამპყრობელი სახელმწიფოს მიერ მიზანმიმართული ეთნიკური ექსპანსიის განსახორციელებლად.

2. გვიანდელი საფეხური (XIX-XX საუკუნეები) – არამკვიდრი ეთნოსების მოსვლა და ჩამოსახლება იქნეს ორგანიზებულ, მართულ ხასიათს.

ა) „მოსულთა“ ჩამოსახლების საკითხი ხდება მართული; იქმნება დემოგრაფიული პროპორციები „მოსულთა“ და „ადგილობრივებს“ შორის იმისთვის, რომ მუდმივად არსებობდეს „მესამე ძალის“ ჩარევის აუცილებლობა, მათ შორის, ურთიერთობის დასარეგულირებლად;

ბ) „მოსულთა“ ინტერესების უზრუნველყოფას თავის თავზე იღებს „მესამე“ (რუსეთი), რომელიც დეკლარაციულად დგება „მოსულის“ მხარეს (ანუ უმცირესობის მხარეს);

გ) „მოსულთა“ და „ადგილობრივთა“ შორის ურთიერთობებში დიდ მნიშვნელობას იძენს (სამართლებრივ ძალასაც კი იღებს) სოციალური და კულტურული ფაქტორები;

დ) „მოსულთა“ და „ადგილობრივთა“ ურთიერთობის ენა ხდება არა ადგილობრივი, არამედ „მესამეს“ ენა¹.

ეთნოსთა საცხოვრებელი ადგილების ცვლილებებისთვის ცარისტული რუსეთი წარმატებით იყენებდა სამხედრო, ეკონომიკურ და რელიგიურ ფაქტორებს. სამხედრო ფაქტორად შეიძლება ჩავთვალოთ რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის ომები, რომელთა შედეგადაც კავკასიის სასაზღვრო ზოლები მუდმივად იცვლებოდა, ხოლო მოსახლეობა უკონტროლოდ გადაადგილდებოდა; შესაბამისად, იცვლებოდა ენობრივი სიტუაციაც.

აგრესორები ყოველთვის ცდილობდნენ აბორიგენი ეთნოსების დასუსტებას, მაგრამ ყველაზე მიზანმიმართულად, თანამიმდევრულად და წარმატებით ამ პროცესს ახორციელებდა რუსეთი, რომელიც უკვე XX საუკუნეში წარმატებით

¹ შდრ. მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი, 2005, გვ. 65.

იყენებდა კომუნისტური იდეოლოგიის
ანტინაციონალურ თვისებას, კავკასიის
დაპყრობილი სახელმწიფოების ეთნიკური
შერევისათვის და „დაყავი და იბატონეს“
პოლიტიკის გასახორციელებლად,

XIX საუკუნიდან კავკასიაში ენობრივი
პოლიტიკა იყო და დარჩა ცალმხრივი
(რუსიფიკაცია). ენობრივი სიტუაცია
განისაზღვრებოდა რუსეთის სახელმწიფოს
ექსპანსიური პოლიტიკით, რომელიც ჯერ კიდევ
XVI საუკუნიდან იღებს სათავეს ივანე IV-ის
პოლიტიკით.

როგორც ცნობილია, „ენის მდგომარეობა“
ენობრივი და არაენობრივი ფაქტორების
ურთიერთზემოქმედების დაბალანსებას
წარმოადგენს. ენა სისტემათა სისტემაა. ამგვარად,
ენობრივი სიტუაცია არის სხვადასხვა ენის ან
ერთი ენის სივრცითი და სოციალური
კომპონენტების ურთიერთქმედების შედეგები.

ჩრდილოეთ კავკასიის ენობრივი სიტუაციის
შესწავლა მოითხოვს გაანალიზდეს გეოგრაფიული,
პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული მონაცემები,
რომელთა ფარგლებშიც ჩვენ განვსაზღვრავთ
კონკრეტულ ენობრივ სიტუაციას.

6. რუსეთის ფედერაციის განათლების სისტემა და ჩრდილოეთ კავკასიის ენების სტატუსი და მდგომარეობა

2002 წელს სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის მიხედვით რუსეთში 142 ეთნოსი და 40 მასში შემავალი ეთნიკური ჯგუფი შედის. ეს ეთნოსები განირჩევიან ერთმანეთისაგან ენისა და კულტურის, განსხვავებული ცივილიზაციური ზონისა და ტრადიციის მიხედვით, თანამედროვე ინდუსტრიულ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების დონის მიხედვით. რუსები მოსახლეობის 80% (= 116 მილიონი) შეადგენენ, თათრები – 5,6 მილიონს ანუ 4%-ს, უკრაინელები 2,9 მილიონს ანუ 2%-ს, ბაშკირები 1,7 მილიონს ანუ 1%-ს, ჩუვაშები – 1,6 მილიონს ანუ 1%-ს, სომხები – 1,1 მილიონს ანუ 1%-ს; კიდევ 16 ხალხს აქვს რაოდენობა 400 ათასიდან ერთ მილიონამდე (მორდოველები, ხუნძები, ბელორუსები, ყაზახები, უღმურტები, აზერბაიჯანელები, მარიელები, გერმანელები, ყაბარდოელები, ოსები, დარგუელები, ბურიატები, იაკუტები, ყუმიკები, ინგუშები და ლეზგიები (0,3 %-დან 0,6%-მდე).

1989 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით 2002 წლისთვის ერთ მილიონამდე გაიზარდა აზერბაიჯანელთა, დარგუელთა, ყუმიკთა, ინგუშთა და ლეზგთა რაოდენობა. ამ ჯგუფს გამოაკლდნენ ებრაელები, რომელთა რაოდენობა 2-3-ჯერ შემცირდა.

რუსები რიცხობრიობის მიხედვით პირველ ადგილზეა რუსეთის ფედერაციის ბევრ სუბიექტში (მთლიანი მოსახლეობის 42%-დან 97%-მდე). გამონაკლისია ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის და ჩუვაშეთის რესპუბლიკები. ყალმუხეთის, ჩრდილო ოსეთის, თათრეთის, ტუვისა და სახას (იაკუტია), კომი-პერმიაკთა და აგინის ბურიატთა ავტონომიურ ოლქებში რუსები რაოდენობრივად მეორე ადგილზე არიან (20%-დან 41%-მდე). დაღესტნის, ინგუშეთისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკებში რუსები შეადგენენ მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებს. აქ პირველ ადგილზე დგანან ეთნოსები, რომელთა ეთნონიმის სახელი წარმოდგენილია ფედერაციის სუბიექტში¹.

ბოლო აღწერის მონაცემთა მიხედვით რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გამოიყენება 239 ენა. რუსეთის ფედერაციის ენები არაერთგვაროვან მდგომარეობაში ფუნქციონირებენ და, შესაბამისად, არათანაბარ იურიდიულ ვითარებაში იმყოფებიან. ეს უმეტესად დამოკიდებულია ეთნოსის სოციალურ-დემოგრაფიულ ვითარებაზე (საერთო რაოდენობა, განსახლების კომპაქტურობა ან დისპერსიულობა, ინდუსტრიულ-ეკონომიკური და სოციოკულტურული განვითარების დონე, ენის სტატუსი სახელმწიფოს

¹ М. Н. Кузьмин, О. И. Артеменко, Языки народов России, их статус и положение в системе образования, //

Лингвистическое кавказоведение и тюркология

– традиции и современность, Карачаевск, 2007, გვ. 3-4.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სისტემაში).
კონკრეტული ენის შენახვისა და განვითარების
შესაძლებლობა დამოკიდებულია ამ მაჩვენებლებზე.
ჩრდილოეთ კავკასიაში სამართლებრივი
მდგომარეობით (სტატუსით) სახელმწიფო ენაა:
რუსული ენა, რომლის სტატუსი განტოციებულია
რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით,
ფედერალური კანონმდებლობით (1991 წ.). რუსული
ენა საერთო სახელმწიფოებრივი ენაა. მას აქვს
ყველა სოციალური ფუნქცია (საქმიანი
ურთიერთობა, განათლება, მეცნიერება, მასობრივი
კომუნიკაციები, მართლმსაჯულება). რუსეთის
ფედერაციის სახელმწიფო ენის ფედერალურმა
კანონმა (მიღებული 2005 წელს) არ დაადგინა
საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა
სფეროში რუსული ენის გამოყენების წესები
ენობრივ სიტუაციასთან შესაბამისობაში და
აგრეთვე ნაციონალურ-ენობრივი პოლიტიკის
პრინციპებთან შესაბამისობაში. რეგიონალურ
ენობრივ კანონმდებლობაში რუსული ენის სტატუსი
განსაზღვრულია როგორც რესპუბლიკის
სახელმწიფო ენა და კანონის კონტექსტის
მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსულმა ენამ უნდა
შეასრულოს უპირატესად შინაგანი ორიენტირის
როლი სხვა სახელმწიფო ენასთან მიმართებაში. ამ
კანონებში რუსული ენა არ განიხილება თავისი
დამოუკიდებელი ფედერალური სტატუსის მიხედვით
– როგორც უფლებაშეზღუდული ენა
სახელმწიფოებრივი ენის ფუნქციებით. მისი
უმთავრესი დანიშნულებაა რუსული ლიტერატურის

ტრანსლაცია და რესპუბლიკის საგანმანათლებლო სივრცის ინტეგრირება საერთორუსულ საგანმანათლებლო სივრცეში.

რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს ასევე 32 ენას. ეს სტატუსი განმტკიცებულია სუბიექტების კანონმდებლობებით ენის შესახებ. ამ კანონმდებლობით ისინი თანაბარი უფლებებით ფუნქციონირებენ რუსული ენის პარალელურად. რეგიონალური კანონმდებლობა ახდენს პოსტულირებას ორი სახელმწიფო ენისა (რუსულისა და ნაციონალური ენისა), განსაზღვრავს მათ თანაბარ უფლებრივ მდგომარეობას და ამ ენების თანაბარ ფუნქციონირებას. რასაკვირველია, დადგენილ საკანონმდებლო თანაბარუფლებიანობას არ შეუძლია უზრუნველყოს ავტომატურად ამ ენების ფუნქციონირება თანაბარი ფუნქციონირება, რაც ასე აუცილებელია სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ენის ფუნქციონირებისათვის. ამგვარი ნორმების დადგენის მთავარი აზრი არის ის, რომ გაიმიჯნოს ერთი ენის ფუნქცია მეორე ენის სასარგებლოდ.

მ. კუზმინი და ო. არტემენკო მიიხნევენ, რომ რესპუბლიკების ენებისა და რუსული ენის ურთიერთმიმართებით, რუსული ენის ცნება, როგორც სახელმწიფო ენის ცნება, წაშლილია¹.

¹К. Н. Кузьмин, О. И. Артеменко, Языки народов России, их статус и положение в системе образования, //

ჩვენი აზრით, საკანონმდებლო ბაზა შექმნილია ეთნოსის ენობრივი უფლებების დაცვით, მაგრამ მისი რეალიზაციის გზებია შეზღუდული (ამაზე გვქონდა საუბარი), ამიტომ მ. კუზმინისა და ო. არტემენკოს შემოთავაზება რეგიონალურ სუბიექტებში რუსული ენის ფუნქციის შესუსტების თაობაზე საფუძველს მოკლებული ჩანს.

ჩრდილოეთ კავკასიის ენათაგან სახელმწიფო ენებია ხუნძური, დარგუული, ყუშუხური, ლაკური, ლეზგიური, ნოღაური, თაბასარანული – დაღესტნის რესპუბლიკაში; ადიღეური – ადიღეს რესპუბლიკაში, ინგუშური – ინგუშეთის რესპუბლიკაში, ყაბარდოული-ჩერქეზული – ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკებში, ყარაჩაულ-ბალყარული – ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკებში, ოსური – ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა – ალანიაში.

ეს ენები, დაღესტნის რესპუბლიკის 14 ენის გარდა, არის სატიტულო სახელმწიფო ენები რესპუბლიკებისა, რომლებიც აძლევენ რესპუბლიკებს სახელს ძირითადი (სატიტულო) ეთნოსის მიხედვით.

არის აგრეთვე ენები – არასახელმწიფო სასიტულო ენები, რომელთა ეთნიკური დასახელება შეესაბამება რუსეთის ფედერაციის სუბიექტების დასახელებებს, მაგრამ ენის სტატუსი არ არის

Лингвистическое кавказоведение и тюркология: традиции и современность, карачаевск, 2007, გვ. 5.

განსაზღვრული სახელმწიფო დოკუმენტებში. ასეთია ჩეჩნური ენა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. დღემდე არ არის მიღებული კანონი ჩეჩნეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენის შესახებ და კანონი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხალხების შესახებ.

ჩრდილოეთ კავკასიაში, ისე, როგორც რუსეთის ფედერაციაში მთლიანად, რესპუბლიკური (სატიტულო) ენების სტატუსი ჯერ კიდევ არ მოწმობს მათ ფართო გამოყენებაზე საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში. ეს ენები სრულყოფილად (თუ ზოგჯერ საერთოდ არა) არ გამოიყენება ურთიერთობაში, მასობრივ კომუნიკაციაში, საქმისწარმოებაში, განათლებაში, გამომცემლობაში, სულიერ კულტურაში.

რას უნდა გამოეწვია ნაციონალური ენების ფუნქციების შესუსტება რესპუბლიკებში? ორი ფაქტორი შეიძლება გამოიყოს: პირველი – ეს არის რუსული ენის აქტიური ზემოქმედება ნაციონალურ ენებზე, რომელიც რუსულენოვანთა ჩასახლებით არის გამოწვეული, აგრეთვე გამოწვეულია მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებით. განსაკუთრებული როლი ამ კუთხით შეასრულა ტელევიზიამ. მეორე ფაქტორი – ეს არის მშობლიური ენის პოზიციის შესუსტება, რაც დაკავშირებულია ტრადიციული ენობრივი კოლექტივების რღვევასთან რუსული დასახლების განმტკიცების ხარჯზე და მშობლიური ენის სწავლების არაეფექტურობასთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ენობრივი სიტუაცია ასრულებს კარგი ინდიკატორის როლს მცირერიცხოვანი ხალხების სოციალურ-ეკონომიკური წარუმბტებელი მდგომარეობის შესასწავლად. ამ ეთნოსთა ენების თანამედროვე ვითარება საფრთხეების შემცველია (შდრ. ასევე ჩრდილოეთის ხალხთა ენების კერეკის, უღტას, უდგეგურის მდგომარეობა. ისინი გაქრობის წინაშე მდგარი ენებია).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახშირდა მიგრაციები რუსეთში დსთ-ს ქვეყნებიდან. დიასპორათა რიცხვი რუსეთის ფედერაციაში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ენათა სიცოცხლისუნარიანობა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა კორელაციაშია ენის ფუნქციონირებასთან (ანუ ენის საზოგადოებრივი ფუნქციების რაოდენობასთან და გამოყენების ინტენსიურობასთან, აგრეთვე რიგ ეთნო-სოციალურ ფაქტორებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატიტუტლო ეთნოსის დამოკიდებულება რესპუბლიკის (სუბიექტის) დანარჩენ მოსახლეობასთან. მაგალითად, ა) 50%-ზე მეტი – ინგუშეთი (77,3), ყაბარდო-ბალყარეთი (67). ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია (63), ჩეჩნეთი (93); ბ) 50%-ზე ნაკლები – ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი (449); გ) 30%-ზე ნაკლები – ადიღე.

მნიშვნელოვანია მეორე ფაქტორი – კომპაქტურობა და დისპერსიულობა ეთნოსის განსახლებისა.

არსებითი	მნიშვნელობა	ენის
გადარჩენისთვის	ენიჭება	ეთნოსის

წარმომადგენლების მიერ მშობლიური ენის ფლობის ხარისხს. მაჩვენებლები „თავისუფლად ფლობს“ ან არ „თვლის მშობლიურ ენად თავისი ეთნოსის ენას“ არის ობიექტური მაჩვენებელი ენის სიცოცხლისუნარიანობის განსასაზღვრად.

რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკების ენებს, კერძოდ, სატიტულო ენებს აქვთ შესაძლებლობა, ე.ი. არიან განვითარებული საიმისოდ, რომ შეასრულონ სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ენის ფუნქციები. გარდა ამისა, რესპუბლიკებში მიღებულია პროგრამები მშობლიური სახელმწიფო ენის განვითარებისა და მათი სოციალურ-საზოგადოებრივი ფუნქციების შესახებ, ამ ენის ფლობის შესახებ სხვა ეთნოსის წარმომადგენელთა მიერ, უპირველეს ყოვლისა, რუსების მიერ. რესპუბლიკური ენებიდან, რომელთაც არ აქვთ სახელმწიფოებრივი სტატუსი, საკმაოდ კარგად განვითარებულია ჩეხური ენა.

მშობლიური (არარუსული) ენისათვის განათლების სისტემაში ფუნქციების მინიჭება ამ ეთნოსების ზრუნვის საგანი ხდება 1992 წლიდან. ფედერალურ კანონში „განათლების შესახებ“ ხორციელდება სწორედ საგანმანათლებლო პროცესებში მშობლიური ენის როლის აღდგენა.

თანამედროვე დონეზე რუსეთის ფედერაციის საგანმანათლებლო სივრცეში სწავლების ენა არის 28, ამათგან 16 არის სწავლების ენა დაწყებით საგანმანათლებლო სისტემაში, 2 ენა არის ძირითადი საგანმანათლებლო დონისთვის და 10 –

საშუალო განათლებისთვის. ეროვნულ უმცირესობათა 7 ენაზე რიგ საგანმანათლებლო სივრცეში ხორციელდება ყველა ჰუმანიტარული საგნის სწავლება. ეს მონაცემები ობიექტურად ადასტურებენ, რომ სრული შესაძლებლობებით ფუნქციონირება შეუძლიათ მხოლოდ მსხვილი ეთნოსების ენებს. დანარჩენ შემთხვევაში მოხდა მშობლიური ენის აღდგენა, როგორც საგნისა და არა სწავლების ენისა. რუსეთის ფედერაციაში სკოლებში სწავლების ენად 43 ენაა გამოყენებული (სწავლება I-დან IX კლასამდე, იშვიათად – XI კლასამდე).

რუსეთის ფედერაციის საგანმანათლებლო სისტემაში სწავლების პროცესის ორივე ფორმაში (სწავლების ენა და სწავლების საგანი) მონაწილეობს 78 ნაციონალური ენა. მშობლიური ენის ხვედრითი წილის ამაღლებამ, რესპუბლიკების ენების სტატუსის გაზრდამ სახელმწიფოებრივი ენის სტატუსამდე შეცვალა საათების განაწილების ძველი ბალანსი ფილოლოგიური მიმართულებებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამან მთლიანობაში შეასუსტა რუსული ენის პოზიცია, რომელიც ახლა გახდა რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკებში შესწავლის საგანი როგორც რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ენა კვირაში 3 საათის მოცულობით.

საინტერესოა, რომ რუსეთის ფედერაციის ცალკეულ სუბიექტებში მოხდა ცვლილებები სკოლებში მშობლიური ენის სწავლებაში. სწავლება მშობლიურ ენაზე განხორციელდა მე-11

კლასის ჩათვლით და, აგრეთვე, დაისვა საკითხი უმაღლეს სასწავლებლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ. დაიწყო კიდევაც მოძრაობა ამ მიმართულებით. ამგვარი ტენდენცია რუსეთის ფედერაციის სასწავლო სისტემაში ქმნის ობიექტურ საფუძველს ორენოვნების შემცირებისა და რუსული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციის დაქვეითებისა, რუსული ენის როლის შემცირება, როგორც ცნობილია, უფრო ადვილია იქ, სადაც სატიტულო ერი რიცხოვნობივად გაცილებით მეტია, ვიდრე რუსები. ამგვარად, იქმნება წინაპირობები რუსული ენის შეზღუდული ფუნქციონირებისათვის ყოფით სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობისთვის რუსებსა და ცალკეულ ეთნოსებს შორის. ჩდნება არათანაბარი პირობები ორენოვნებისათვის რუსული და ეროვნული უმცირესობების ენებს შორის. ვ. ალტაპოვი აღნიშნავს, რომ უკრაინაში რუსული ენა სკოლებში მნიშვნელოვნად შევიწროვდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენის რეალური როლი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში ძალიან დიდია. ბევრი ბავშვი დღესაც შინ საუბრობს რუსულად, რადგანაც მშობლები ინერციით განაგრძობენ მასზე საუბარს, თუმცა კითხვა და წერა მხოლოდ უკრაინულად შეუძლიათ¹.

ბოლო წლებში რუსეთის ახალგაზრდა თაობებში შეინიშნება რუსული ენის ცოდნის დონის დაქვეითება, მცირდება წიგნიერების დონეც,

¹ М. К. Кузмин, О. У. Артеменко, გვ. 11.

ასევე მოსწავლეთა სამეტყველო კულტურაც (მაგალითად, ეს შესამჩნევია ტუვის რესპუბლიკაში)¹. მკვლევრები გამოთქვამენ თავიანთ შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ უსაფუძვლოდ გადაისინჯა რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საგანმანათლებლო პროგრამები სწავლების შინაარსისა და დროის მინიმუმამდე დაყვანის ტენდენციით. საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ორენოვანი სწავლების საფუძველზე ასწავლიდნენ, არ მიუღიათ რუსული ენისა და ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელოები, რომლებიც რეგიონში ორენოვანი სიტუაციის გათვალისწინებით იქნებოდა შექმნილი და რომელიც ასევე გაითვალისწინებდა ენათა სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიას. ზემოთ დასახელებული ავტორები გამოთქვამენ აგრეთვე უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ რეგიონებში ხორციელდება რუსულენოვანი სკოლების ხელოვნური შემცირება, რაც ამცირებს რუსული ენისა და რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებებს, მიიღონ რუსულ ენაზე განათლება, რომელიც მათ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული. აქვე აღნიშნავენ, რომ რეალური სასკოლო პრაქტიკა რიგ რესპუბლიკებში ადასტურებს ფედერალური ნორმატიული საკანონმდებლო ბაზის დარღვევების მრავალ შემთხვევას².

¹ М. К. Кузмин, О. У. Артеменко, გვ. 11.

² იქვე, გვ. 12.

ნაციონალური სკოლები რუსეთში დე-იურე არსებობდა 1992 წლამდე. რუსეთმა თავიდან აიცილა ლინგვისტურ საფუძველზე წარმოქმნილი კონფლიქტები. რუსეთის ფედერაციის საბჭოთა მემკვიდრეობით გადმოეცა ეთნოკულტურული და ეთნოლინგვისტური პრობლემატიკა. როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, წარმოიშვა მარეგულირებელი, ბალანსის შემქმნელი მექანიზმის მოძიების აუცილებლობა. ეს მექანიზმი უნდა აბალანსებდეს ფედერალურ და რეგიონალურ დონეებს. ამასთან დაკავშირებით 2006 წლის 3 აგვისტოს დამტკიცდა რუსეთის ფედერაციის ნაციონალური საგანმანათლებლო პოლიტიკის კონცეფცია და პრიორიტეტულ მიმართულებათა გეგმა მთლიანი საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაციის პირობების (2004-2010 წწ.) გათვალისწინებით.

ეს კონცეფცია ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის საგანმანათლებლო სისტემაში მშობლიურ (არარუსულ) ენაზე სწავლებას ჰუმანიტარული მიმართულებით, რომელიც გათვლილია, ამა თუ იმ დოზით, მშობლიურ კულტურაზე. ეს არის განსაკუთრებული სპეციფიკური მოდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა. ამგვარი სკოლის საბაზისო განმასხვავებელი თვისებები არის ბილინგვური და ბიკულტურული შინაარსის ჰუმანიტარულ დისციპლინათა ბლოკი, რომელიც აგებულია მშობლიურ და რუსულ კულტურაზე კულტურათა დიალოგის გამოყენებით და შეპირისპირებითი

ანალიზით. იგი მიმართულია მრავალეროვანი რუსული საზოგადოების კონსოლიდაციის ამოცანის გადასაჭრელად. რამდენად შეიცავს ამგვარი რეალობა რისკის ფაქტორებს მცირერიცხოვანი ეთნოსთა ენების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში?

7. განათლების სისტემის სამართლებრივი რეგულირება ჩრდილოეთ კავკასიაში

ენობრივი სიტუაციის რეგულირების საფუძველი არის საკანონმდებლო სამართლებრივი ბაზა. განათლების განვითარება ეფუძნება ნორმატიულ-საკანონმდებლო საფუძველს, რომელიც არეგულირებს ამ სფეროში ურთიერთობებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ურთიერთობებს სხვა სფეროებთან. ეს საკანონმდებლო ბაზა ფორმირდება რეალური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სფეროს გათვალისწინებით. რუსეთის ფედერაციის თანამედროვე საგანმანათლებლო ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზისთვის დამახასიათებელია როგორც ცენტრისკენული, ასევე ცენტრიდანული ტენდენციები.

ცენტრისკენული ტენდენციები განპირობებულია რუსეთის ფედერაციის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შენარჩუნების მოთხოვნით, რაც გამოიხატა სწავლების შინაარსის მიხედვით ლიცენზირების ერთიანი მეთოდითა და საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფოებრივი აკრედიტაციით, რომლითაც განსაზღვრულია სწავლების საერთო ვადები.

ცენტრიდანული ტენდენცია დაკავშირებულია იმის გაცნობიერებასთან, რომ შეუძლებელია და, აგრეთვე, არ არის მიზანშეწონილი დემოკრატიზაციის პირობებში ასეთ დიდ ქვეყანაში შენარჩუნებულ იქნეს ცენტრის ფუნქციები

ძველებურად – უნიფიცირებული ფორმით. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში განხორციელდა ცვლილებები (კერძო საკუთრების დაკანონება, საბაზისო ეკონომიკა, მართვის სისტემის ოპტიმიზაცია, და სხვ.). შეიძლება აგრეთვე პროგნოზირება იმისა, რომ განათლების სისტემის როლი, უფლებამოსილებები გაიზარდა. უფრო მეტიც, გაჩნდა დამოუკიდებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები. ასეთი ცვლილებები განაპირობებს განათლების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის კორექტირებას.

განათლების სფეროში სამართლებრივი რეგულირების ძირითად საკანონმდებლო აქტი არის რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის №43 სტატია. განათლების სისტემის სამართლებრივი სივრცის სხვადასხვა ასპექტი რეგულირდება ფედერალური კანონმდებლობითაც, რომელიც ეხება „სახელმწიფოებრივი და მუნიციპალური განათლების დაწესებულებების სტატუსის შენახვასა და მათ პრივატიზაციაზე მორატორიუმს“ (17.03.1999).

განათლების სფეროში რუსეთის ფედერაციის სუბიექტები ატარებენ სახელმწიფო პოლიტიკას, აქვთ ფინანსური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, უფრო აუცილებელი განათლების გარანტია. ადგილობრივ ბიუჯეტებში ფინანსური სუბსიდიების გამოყოფის საშუალება. ამასთან დაკავშირებით, შესაბამის რეგიონალურ ორგანოებს აქვთ უფლება, დააწესონ ადგილობრივი გადასახადები. განუსაზღვრონ ფედერალურ შეღავათებსა და

ნორმებს დამატებითი შედგავთები მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და პედაგოგიური საქმიანობისთვის.

მოქმედ კანონმდებლობას აქვს რიგი ასპექტებისა, რომელიც ასახავს განათლების რეალური სიტუაციის ამსახველ წინმსწრებთვისებებს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობის ზოგიერთი ნორმა ჯერ კიდევ არ არის მოქმედებაში, პრიორიტეტული არ არის უზრუნველყოფილი ფინანსების ფედერალური ბიუჯეტით, არ არის კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო საგანმანათლებლო ძირითადი საერთო განათლების სტანდარტი.

ამგვარი სიტუაცია მოწმობს იმას, რომ მოქმედი კანონმდებლობა განათლების სფეროში ითხოვს უკეთეს დამოკიდებულებას ქვეყნის რეალურ შესაძლებლობასთან. საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებას, ამ კანონმდებლობაში ჩადებული ნორმების არასრულფასოვნებას მიყვარათ დამახინჯებულ და სუბიექტურ მიდგომამდე, მიყვარათ აგრეთვე დარღვევებამდე, რომლებიც ამუხრუჭებს განათლების განვითარების ნორმალურ სვლას.

ფედერალურ სამართლებრივ საგანმანათლებლო ბაზაში მნიშვნელოვან მისიას ასრულებს ნორმატიულ-საკანონმდებლო საქმიანობა რუსეთის ფედერაციის სუბიექტებისა. სამართლებრივი აქტების საკანონმდებლო „კორპუსს“ ამ კუთხით ტ. ნესტიუკი ყოფს

რამდენიმე ჯგუფად¹: პირველ ჯგუფს განეკუთვნება ზოგადი კანონები, რომლებიც არეგულირებენ განათლების ყველა დონის ორგანიზაციას. მას საფუძვლად უდევს ფედერალური კანონი „განათლების შესახებ“. ამ კანონების ძირითადი ამოცანაა ფედერალური კანონის კონკრეტიზაცია, მისი მიბმულობა ნაციონალურ და რეგიონალურ პირობებთან (ნაციონალური კულტურის საკითხი, ლიტერატურა, ენა და სხვ.); მეორე ჯგუფს ქმნის მიზნობრივი სამართლებრივი აქტები, რომლებშიც განხილულია განათლების ცალკეული დონის საკითხები. ამ კანონებში დადგენილია სამართლებრივი ნორმები საკითხების მიხედვით, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთის ფედერაციის სუბიექტების კომპეტენციებთან ან გადმოცემულია მდგომარეობა დეტალურად; მესამე ჯგუფს მიეკუთვნება კანონები, რომლებიც ამყარებს განსაკუთრებულ წესრიგს საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური უზრუნველყოფის რეგულირებაში².

¹ Т. Л. Нестюк, Правовое регулирование в области образования как основа решения языковой ситуации в регионах Российской Федерации , // Лингвистическое кавказоведение и тюркология: традиции и современность, Карачаевск, 2007, გვ. 24.

² Т. Л. Нестюк, Правовое регулирование в области образования как основа решения языковой ситуации в регионах Российской Федерации , //Лингвистическое кавказоведение и тюркология: традиции и современность, Карачаевск, 2007, გვ. 25.

2000 წელს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ დაამტკიცა „განათლების ნაციონალური დოქტრინა“. მასში ფორმულირებულია ძირითადი მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე საზოგადოებაში განათლების როლსა და ადგილს, მის მიზნებს, ამოცანებსა და ფუნქციონირების პრინციპებს, სახელმწიფოსთან ურთიერთდამოკიდებულების სტრატეგიას. დოქტრინაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს:

- განათლების განვითარების პრიორიტეტულობა, მისი სახელმწიფოებრიობა, მისადწევა, უწყვეტობა, მეცნიერულობა, სულიერება, სახალხოობა;

- რუსეთის ფედერაციის საგანმანათლებლო სივრცის ერთიანობის შენახვა;

- მოქალაქეთათვის განათლების უფლების რეალიზაციის სახელმწიფოებრივი გარანტიის გაფართოება;

- განათლების ხარისხის შეფასების ეფექტური ნაციონალური სისტემის შექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი საატესტაციო სამსახურის მექანიზმთან ერთად;

- მოქალაქეთა განათლების დონისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ამაღლება.

იუნესკოს საერთაშორისო კომისიის მოხსენებებში, რომლებიც XXI საუკუნეში განათლების პრობლემებს ეხება, ფორმულირებულია ოთხი ფუნდამენტური პრინციპი

თანამედროვე განათლების სისტემებისათვის: „ვისწავლოთ ერთად ცხოვრება“, „ვისწავლოთ ცოდნის შექმნა“, „ვისწავლოთ შრომა“, „ვისწავლოთ ცხოვრება“... ამგვარი პრინციპების შემუშავების აუცილებლობა განპირობებულია კაცობრიობის ახალ ცივილიზაციაში გადასვლით, კერძოდ, ინდუსტრიული საზოგადოებიდან პოსტინდუსტრიული საკენ (ინფორმაციული საკენ), რომელსაც თან ახლავს გლობალიზაციის მწვავე პრობლემები მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის რეგულირების ეფექტური მექანიზმის მოთხოვნით.

განათლების პრინციპები განსაზღვრავენ მის ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებს. იგი არის განათლების შესახებ მთავარი კატეგორია ნებისმიერ ქვეყანაში და იცვლება ქვეყნის განვითარებასთან ერთად.

სხვადასხვა ნაციონალურ კანონმდებლობას აქვს ბევრი სხვაობა და პრიორიტეტი (მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრინციპი საერთოა). მაგალითად, რუსეთის ფედერაციის „განათლების შესახებ“ კანონის შესწორებულ რედაქციაში 1996 წელს, მეორე სტატიაში „განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპების“ შესახებ, ჩამოთვლილია შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- განათლებისადმი კუ მანური დამოკიდებულება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პრიორიტეტული, ადამიანის სიცოცხლისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების პრიორიტეტი;

▪ რუსეთის ხალხების კულტურათა შენახვა და განვითარება, რეგიონალური და კულტურული ტრადიციებისა და თვითმყოფადობის შენახვა და განვითარება მრავალეროვანი სახელმწიფოს პირობებში.

8. კომპლექსური მოდელები ჩრდილოეთ კავკასიის ენობრივი სიტუაციის შესასწავლად

ჩრდილოეთ კავკასიის ენობრივი სიტუაციისათვის დამახასიათებელი რელევანტური ნიშნები ვლინდება იმ კვლევების შედეგად, რომლებიც ტარდება კომპლექსური მოდელების საფუძველზე. ეს მოდელები შემუშავებულია სოციოლინგვისტიკაში გასულ საუკუნეში. ენობრივი სიტუაციის ტიპოლოგიზაცია შესაძლებელია რაოდენობრივი (კვანტიტატიური), შეფასებითი (ესტიმაციური) და თვისობრივი (კვალიტატიური) მიდგომებით.

I. რაოდენობრივი მიდგომა გულისხმობს: 1. იდიომთა რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს მოცემულ ენობრივ სიტუაციას; 2. ყოველ კონკრეტულ ენაზე ცალკე აღებულ ენათა მატარებლების რაოდენობის განსაზღვრას რეგიონის მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან მიმართებაში (ეს არის იდიომის დემოგრაფიული სიმძლავრე); 3. კონკრეტული იდიომის კომუნიკაციის სფეროს რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრას საერთო რაოდენობასთან მიმართებაში.

ამგვარი კვლევის ჩასატარებლად საჭიროა შეიქმნას მონაცემთა ბაზა: ა) მონაცემთა ბაზის შექმნა (ლინგვისტური დემოგრაფია) – კავკასიის სამწერლობო ენებისთვის ასეთი მონაცემები არსებობს, არასამწერლობო ენებისთვის არა გვაქვს; ბ) ენობრივი სხვაობის გაზომისათვის,

განსაზღვრისათვის აუცილებელია ჯ. გრინბერგისა და ს. ლიბერსონის მეთოდის გამოყენება, კერძოდ იმ მეთოდისა, რომელიც შექმნილია მრავალენოვან საზოგადოებაში კომუნიკაციური სხვაობების შესასწავლად სარწმუნო მოდელების ფორმირებისთვის. ასეთია მრავალენოვანი ჩრდილოეთ კავკასია; გ) რაოდენობრივი შედეგების ინტერგაცია განაპირობებს ახალ თვისობრივ მიდგომას.

1994 წლის მიკროაღწერის რაოდენობრივი შედეგების მაგალითები საინტერესო სურათს იძლევა: მოსახლეობის 85.1% ჩრდილოეთ კავკასიაში მშობლიურ ენად თვლის თავისი ეროვნების ენას. რეგიონის რესპუბლიკების მოსახლეობის რუსულენოვანი ნაწილი 32%-ია, რომლისთვისაც რუსული მშობლიური ენაა (მათ შორის რუსი 29.7%-ია). ამასთან, არარუსი მოსახლეობის 4.53%-მა რუსული ენა დაასახელა მშობლიურ ენად.

ტაბულა 1. 1989 წლის აღწერის მონაცემები

ეროვნება	რაოდენობა (ათასობით)	თვლის მშობლიურ ენად			თავისუფლად ფლობს მეორე ენას		არ ფლობს მეორე ენას	
		თავისი ნაციონალობის ენას	რუსულ ენას	სხვა ენას	თავისი ეროვნების ენას	რუსულ ენას	სხვა ენებს	
აბაზები	33	94.0	4.3	1.7	0.6	78.5	3.5	17.4
ადიგელები	123	95.3	4.6	0.1	1.1	82.2	0.1	16.6
ბალყარელები	78	95.3	4.2	0.5	0.5	80.3	0.6	18.6
დარგუელები	353	98.0	1.5	0.5	0.2	68.0	1.4	30.4
თაბასარანელები	94	96.7	2.4	0.9	0.3	62.5	4.8	32.4
თათები	19	83.5	14.4	2.1	1.6	78.1	2.3	18.0
ინგუშები	215	98.2	1.6	0.2	0.3	80.3	0.5	18.9
ლაკები	106	95.1	3.9	1.0	0.4	77.8	1.4	20.4
ღეზგები	257	94.0	4.5	1.5	0.7	68.7	1.8	28.8
ნოღაელები	74	90.4	2.9	6.7	0.5	79.7	0.7	19.1
ოსები	402	93.2	6.4	0.4	1.1	83.2	0.9	14.8
ყაბარდოელები	386	97.6	2.2	0.2	0.3	78.1	0.2	21.4
ყარანაელები	150	97.8	2.1	0.1	1.4	79.8	0.2	19.6
ჩერქეზები	51	91.6	5.2	3.2	0.7	77.2	1.1	21.0
ჩენები	898	98.8	1.1	0.1	0.4	82.1	0.5	17.0
ხუნები	544	97.8	1.6	0.6	0.2	65.3	1.1	33.4

**ტაბულა 2. 1994 წლის საარჩევნო აღწერის მონაცემები
ჩრდილო კავკასიის ეთნოსების შესახებ**

როვნება	გამოკითხულ პირთა რაოდენობა	თვლიან მშობლიურ ენად			თავისუფლად ფლობს მეორე ენას (%)			არ ფლობს მეორე ენას
		თავისი ნაციონალობის ენას	რუსულ ენას	სხვა ენას	თავისი ნაციონალობის ენას	რუსულ ენას	სხვა ენას	
ბაზები	1218	93.6	4.9	1.5	0.3	82.7	7.6	9.4
ადიღეელები	7191	95.9	3.9	0.2	0.8	85.7	0.3	13.2
აღყარელები	3796	98.3	1.5	0.2	0.1	87.1	0.5	12.3
არგუშელები	17166	97.7	1.9	0.4	0.3	80.7	0.8	18.2
თაბასარანელები	6184	97.9	1.8	0.3	0.3	78.5	2.1	19.1
თათები	408	75.3	19.1	5.6	2.2	79.2	1.7	16.9
ინგუშები	12649	98.0	1.2	0.8	0.4	87.5	0.1	12.0
აკები	4673	94.3	4.8	0.9	0.4	88.2	0.8	10.6
ეზგები	14743	95.3	4.0	0.7	0.4	78.2	0.7	20.7
ნოღაელები	2896	88.3	3.9	7.8	0.3	85.7	0.7	13.3
სები	23131	93.1	6.5	0.4	1.2	83.5	3.4	11.9
აბარდოელები	20153	98.0	1.9	0.1	0.3	81.2	0.2	18.3
ყარანაელები	8659	98.4	1.6	0.0	0.2	89.1	0.2	10.5
უმიკები	14315	98.1	1.7	0.2	0.2	86.9	0.5	12.5
ჩერქეზები	3226	81.0	3.7	15.3	0.4	85.9	0.9	12.8
ჩეჩნები	4931	91.9	7.2	0.9	1.2	83.7	1.3	13.8
სუნძები	29706	97.4	1.8	0.8	0.3	77.7	0.9	21.1

ტაბულა 3. 1989 წლის აღწერის შემაჯამებელი შედეგები

ენის დასახელება	ეთნიკური ჯგუფის რაოდენობა	არსაუბრობენთა ეთნოსის ენაზე	მიცემულ ენაზე მოსაუბრეთა რაოდენობა	თავისი ეთნოსის ენას თვლის მშობლიურ ენად	მიიწვევს მონაცემულ ენას მშობლიურად ეთნიკური ჯგუფის ფარგლებს გარეთ.	თავისი ეთნოსის ენას ფლობს, როგორც მეორე ენას.	ენას ფლობს როგორც მეორე ენას მონაცემული ეთნოსის ფარგლებს გარეთ	საუბრობენ მხოლოდ თავისი ეთნოსის ენაზე (მონოლინგვები)
აბაზური	32983	1799	31184	30989	მონაცემები არაა	195	მონაცემები არაა	3931
ადიგური	122908	4482	119464	117067	341	1359	697	15892
დარგუული	353348	6558	348284	346066	598	724	896	100882
თაბასარანული	93587	2855	90732	90445	მონაცემები არ არის	287	მონაცემები არ არის	27442
ინგუშური	1215068	3301	212315	211210	194	557	354	37424
ლაკური	1106245	4724	104271	101063	1036	458	1714	16971
ლეზგიური	257270	13817	246983	241704	491	1749	3039	60176
ნოღაური	73703	6695	67008	66641	მონაცემები არ	367	მონაცემები არ	7355

					არის		არის	
ოსურ ო	402275	23138	383759	374931	811	4206	3811	36414
ყაბარ დოულ- ჩერქე ზული	386055 +5076	8100+3 946	429390	423358	1336	1415	3281	74296 +6706
ყარაჩ აულ- ბალყ არული ო	150332 +78341	2851+3 299	225756	221621	1559	902	1674	26632 +11239
ყუმის ური	277163	5630	286669	270857	6972	676	8164	61960
ჩეჩნუ რი	898999	9330	893121	888147	1447	1522	2005	218869
ხუნძუ რი	544016	11261	534901	531746	599	1009	1547	170520

ყაბარდოულ-ჩერქეზული და ყარაჩაულ-ბალყარული ენების 2, 3 და 8 გრაფებში მოცემულია ცნობები ეთნიკური ჯგუფების შესახებ ორი რიცხვით, რადგანაც ამ ენათა მატარებელნი თავიანთ თავს განიცილავენ როგორც სხვადასხვა ხალხს ან როგორც ერთი ხალხის განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს. ოფიციალურ აღწერებში ინფორმაცია მათ შესახებ ყოველთვის მოცემული იყო ცალცალკე.

ნაციონალური ენების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ერთ-ერთი ენის მასალას, კერძოდ, აბაზურის, რომელიც ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის სატიტულო ენაა (იხ. **დანართი №1** და **დანართი №2**).

აბაზური არის შესწავლის ენა, როგორც სწავლების ენა – იგი შეზღუდულია. აბაზური ენა ისწავლება, როგორც საგანი.

1992 წლიდან ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში იყო მცდელობები, გაეზარდათ მშობლიური ენის შემსწავლელთა რაოდენობა, მათ შორის, აბაზური ენისათვის. ექსპერიმენტის სახით ორ სკოლაში შემოდებულ იქნა სწავლება აბაზურ ენაზე. თუ რა ხდება სტავროპოლის მხარეში, ზუსტი მონაცემები არ გვაქვს, ეს ენა გამოიყენება კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ნაციონალურ სკოლებში, როგორც სწავლების საგანი.

აბაზური ენის გამოყენება, როგორც სწავლების ენისა, შეზღუდულია – დაწყებითი და საშუალო სკოლები სულ ორია, სადაც ეს ენა გამოიყენება. მოსწავლეთა შესახებ ცნობები არ გვაქვს. კვირაში საათების რაოდენობა განსხვავებულია. ამ ენაზე სახელმძღვანელოები შეზღუდულად გამოიცემა. 1994 წლის მონაცემებით, მხოლოდ აბაზურ ენაზე სწავლება არ არის.

აბაზური ენა, როგორც სწავლების ენა, შემოდებული იქნა 2 სკოლაში, როგორც ადვნიშნეთ, ექსპერიმენტის სახით. მშობლიურ ენაზე

ისწავლება, ჩვეულებრივ, ჰუმანიტარული საგნები. სხვა საგნები ისწავლება რუსულ ენაზე. 1998 წელს მხოლოდ ერთი სახელმწიფო სასწავლო დაწესებულება იყო, მოსწავლე – 19, საათების რაოდენობა კვირაში – სხვადასხვა.

აბაზური ენა, როგორც შესწავლის საგანი 1994 წელს იყო 15 სასწავლო დაწესებულებაში – 2884 მოსწავლით, საათების რაოდენობა კვირაში იყო 204; 1998 წელს – 33 სასწავლო დაწესებულებაში 5500 მოსწავლით, საათების რაოდენობა კვირაში 2 – ამავე წლიდან ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში აბაზური ენა ისწავლება I კლასიდან XI კლასამდე. ერთ უმაღლეს სასწავლებელში აბაზური ენა არის შესწავლის საგანი 140 სტუდენტით, 2-4 საათით კვირაში.

ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში აბაზური ენა შეისწავლება სამი სპეციალობაზე: 1. სპეციალობა „მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი“ (დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობს სულ 60 სტუდენტი); 2. სპეციალობა „დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდოკა“ (დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე, 50 სტუდენტი); 3. სპეციალობა „ნაციონალური ჟურნალისტიკა“ (სულ 30 სტუდენტი), სწავლების ვადა არის 5 წელი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

რადიომაუწყებლობა 1995	ტელემაუწყებლობა 1996	კინემატოგრაფია	გრამფირფიტები	მაგნეტოფონის ჩანაწერები	თეატრი
<p>რესპუბლიკური სადღური მაუწყებლობის დრო 162 წთ. დღეში პირველი ენა: აბაზური სხვა ენები: ყარაჩაული, ჩერქეზული, ნოღაური, რუსული. პროგრამის სახეები: საინფორმაციო-პოლიტიკური -81 წთ. სახალხო მეურნეობა - 55 წთ. ბავშვებისა და მოზარდებისათვის 11 წთ. ლიერატურული-მუსიკალური - 15 წთ.</p>	<p>რესპუბლიკური ტელევიზია ჩერქესკში მაუწყებლობის დრო 30 წთ. კვირაში პირველი ენა - აბაზური სხვა ენები: ჩერქეზული, ყარაჩაული ნოღაური რუსული პროგრამის სახეები: სოციალური პრობლემები, კულტურა, ისტორია (30 %) ხალხური სიმღერები თანამედროვე კომპოზიტორთა სიმღერები (40%) ტელეჩანახატები (20%) ადგილობრივი სიახლეები, ყოფა და ცხოვრება...</p>	<p>–</p>	<p>ცოტაა</p>	<p>+</p>	<p>შეზღუდულია გამოყენება, სპონტანური</p>

სტატისტიკური, რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ აბაზური ენის სიცოცხლისუნარიანობა საფრთხის წინაშე დგას, რადგანაც მისი გამოყენების არეები შეზღუდულია.

II. შეფასებითი (ესტიმაციური) მიდგომა გულისხმობს იდიომის შინაგან და გარეგან ნიშნებსა და თვისებებს (ძირძველი მომხმარებელი ენისა, ენის გამოყენება კომუნიკაციისათვის იმ ხალხების მიერ, რომლებიც სხვა ენაზე საუბრობენ, ესთეტიკური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა ნიშნები). ამით განისაზღვრება მშობლიური ენისადმი ერთგულება.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით ენობრივი უფლებები აქვს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა. მიუხედავად ამისა, ნაციონალური ენების წარმომადგენლები ჩრდილოელ კავკასიაში არ იყენებენ მშობლიური ენებისადმი მინიჭებულ უფლებებს. ამიტომ შეზღუდულია ამ ენათა ფუნქციონირების სფეროები და იქ, სადაც გამოიყენება, გამოიყენება მცირე მოცულობით. პერიოდული გამოცემები, მხატვრული ლიტერატურა, სასწავლო დაწესებულებები ნაციონალური ენის სწავლება, როგორც საგნისა და საათების შეზღუდული რაოდენობა (2-4 სთ.), მშობლიური ენის გამოყენება მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებში, ტელერადიო მაუწყებლობებში შეზღუდული დრო

ნაციონალურ გადაცემებისთვის, თეატრის, კინოს სიმცირე აჩქარებს ამ ენათა გაქრობის ტემპს.

ნაციონალური ენები არ გამოიყენება ცენტრალურ ხელისუფლებაში (რუსეთის დედაში), არ გამოიყენება რეგიონალურ ხელისუფლებაში, ადგილობრივ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სასამართლოში, საკანონმდებლო ორგანოში, წარმოების სფეროში, ვაჭრობაში...

ესტიმაციური მიდგომით უნდა განისაზღვროს, რამდენად მნიშვნელოვანია ენის მატარებელთათვის მშობლიური ენისადმი ერთგულება, მისი სიცოცხლისუნარიანობა, კანონით მინიჭებული უფლებების უგულებელყოფა, ენობრივი მემკვიდრეობის უწყვეტობა.

აბაზური ენის მატარებლები მშობლიური ენისადმი ავლენენ დიდ სიყვარულს. არის მცდელობა, გაზარდონ მისი ფუნქციონირების არეალი კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. მაგალითად, 1996 წლის მონაცემებით, თეატრის გამოყენების ხარისხი შეზღუდული იყო. არ არსებობდა პროფესიული აბაზური დასი, მაგრამ სამხატვრო-მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა დროდადრო განახორციელეს ცალკეული დადგმები კულტურულ-ისტორიული თემატიკით, რომლებსაც უჩვენებდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებსა და სტავროპოლის მხარეში. გარდა ამისა, არსებობს „სახალხო თეატრები“ სოფლებში, არსებობს ქორეოგრაფიული ანსამბლები. საბავშვო ანსამბლები, რომელთა რეპერტუარი

ფოლკლორული და თანამედროვე ნაციონალური ნაწარმოებებისგან შედგება.

აბაზური ენის სოციალური ფუნქციები ზოგადად ასეთ ვითარებაშია: ამ ენას აქვს სოციალური ფუნქციები, გამოიყენება იდეოლოგიისათვის, ლიტერატურაში, პერიოდიკაში, რადიოსა და ტელევიზიაში თეატრში შეზღუდულია მისი გამოყენება, შეზღუდულია აგრეთვე ადმინისტრაციულ საქმიანობაშიც – (როგორც ცენტრალურ ისე რეგიონალურ ადმინისტრაციაში, ადგილობრივ ადმინისტრაციაში ნაწილობრივ მაინც გამოიყენება; წარმომადგენლობით ორგანოებში აბაზური ენის გამოყენება შეზღუდულია, ასევე – სასამართლოში, წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში არ გამოიყენება; მაგრამ გამოიყენება ყოფა-ცხოვრებაში.

აბაზური ენის გამოყენებას ბევრ კონსტიტუციურ სფეროში აქვს არაფორმალური ხასიათი: ამ ენის მატარებელნი ერთმანეთს მიმართავენ მშობლიურ ენაზე, სიტუაციის სპონტანურად შექმნის შემთხვევაში (წარმოებაში, ტრანსპორტში, ვაჭრობაში და სხვ.). იმ შემთხვევებშიც, როცა შრომითი კოლექტივი მხოლოდ აბაზებისგან შედგება, თუ დამსწრეთა შორის არის ვინმე, სხვა ეთნოსის წარმომადგენელი, რომელიც ვერ ფლობს აბაზურ ენას, მაშინ კომუნიკაცია, როგორც წესი, რუსულ ენაზე ხდება.

რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებაში – მთავრობის ორგანოებში აბაზური ენა არ გამოიყენება; რეგიონალურ ხელისუფლებაში – ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში – შეზღუდულად, კანონების ტექსტებში – გამოიყენება, შიდა წერილობით დირექტივებში, წესებსა და ინსტრუქციებში – არა, შიდა გზავნილებში, კორესპონდენციაში – არა, შიდა საუბრებში – არა, ტელეფონზე – კი, ოფიციალურ შეხვედრებსა და სხვა ოფიციალურ თაყვრილობებზე – არა, ოფისში საუბრებისას – კი, საგარეო კორესპონდენციებში – არა, სხვა სამთავრობო დეპარტამენტებსა და სააგენტოებში – არა, ადგილობრივ ადმინისტრაციაში – არა, საქმიან და სხვა კომერციულ ორგანიზაციებში – არა, სამეცნიერო ლაბორატორიებში, ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში – არა, შიდა საუბრებში – კი, ფართო საზოგადოებაში – კი, ტელეფონზე – კი, სხვადასხვა სამთავრობო დეპარტამენტებსა და სააგენტოებში – კი, ტელეფონზე – კი, შეხვედრებზე – კი, სამეცნიერო დაწესებულებებში – კი.

ადგილობრივ (სოფლის) ადმინისტრაციაში აბაზური ენის გამოყენება შეზღუდულია. აბაზთა აულებში მოცემული ენას ადმინისტრაცია იყენებს მართვის საქმიანობაში: ზეპირ განკარგულებებში, იშვიათად – ოქმების ჩანაწერებსა და დადგენილებებში.

სასამართლოში აბაზური ენა არ გამოიყენება არც წერილობით და არც ზეპირ

გადაწყვეტილებებში, არც მოწმეთა ჩვენებებში, არც დაცვაში, არც პროცედურაში.

არადა, რუსეთის ფედერაციის ენობრივი უფლებები ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა, აძლევს გარანტიას, გამოიყენოს ნაციონალური ენა სასამართლოს ორგანოებში; გარდა ამისა, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის ენების შესახებ კანონის შესაბამისად (სტ. 19) ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქალაქეებს აქვთ გარანტირებული უფლება თარჯიმნის გამოყენებისა საპროცესო საქმეებში, აქვთ აგრეთვე უფლება, წარსდგნენ სასამართლოს წინაშე მშობლიურ ენაზე. ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, არ არის.

აბაზური ენის გამოყენება საკანონმდებლო ხელისუფლებაში (საკანონმდებლო ხელისუფლების ცენტრალური ორგანო, ანუ პარლამენტი) არ დასტურდება. აბაზური ენა პრაქტიკულად არ გამოიყენება რუსეთის ფედერაციის ფედერალურ შეკრებებზე, თუმცა „რუსეთის ფედერაციის ხალხების ენების შესახებ კანონის“ შესაბამისად, (24/07/98) ფედერაციის საბჭოს სხდომებზე და სახელმწიფო დუმაში, კომიტეტებში, პალატათა კომისიებში, საპარლამენტო მოსმენებში ფედერაციის საბჭოს წევრები და სახელმწიფო დუმის წევრები უფლებამოსილი არიან, გამოვიდნენ რესპუბლიკების სახელმწიფო ენებზე რუსეთის ფედერაციის ფედერალური შეკრების პალატის რეგლამენტის შესაბამისად (III თავი, სტატია 11.2). ოფიციალური საპარლამენტო და მართვის

საქმიანობა მიმდინარეობს რუსულ ენაზე. ერთი ნაციონალობის საზოგადოებაში კომისიებში ურთიერთობა არის მშობლიურ ენაზე. ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკის კანონები ქვეყნდება რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო ენაზე აბაზურის ჩათვლით.

აბაზური ენის გამოყენება მსხვილ წარმოებაში არ დასტურდება, ხოლო ტრადიციულ-სამეურნეო საქმიანობაში იგი შეზღუდულად გამოიყენება, მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში, კერძოდ, წერილობით რეკლამაში – არა, ზეპირ რეკლამაში – არა, ნაწარმის მარკირებაში – არა, ნაწარმის გამოყენების ინსტრუქციაში – არა, ინფორმაციის შიდა გაცვლაში – არა, განცხადებებსა და ბიულეტენებში – არა, წერილსა და შეტყობინებებში – არა, ინფორმაციის საგარეო გაცვლაში – არა, რეგიონალურ მმართველობაში – არა (1996 წლის მონაცემები). აღნიშნულ სიტუაციებში ზეპირ ურთიერთობებში აბაზურ ენაზე ამყარებენ კომუნიკაციას იმ შემთხვევაში, როცა ამ ენის მატარებელი ერთად არიან.

III. თვისობრივი (კვალიტატიური) მიდგომა
გულისხმობს განსაზღვრას იმისა, თუ როგორია:

1. ენობრივ სიტუაციაში შემავალი იდიომების ენობრივი თვისებები;

2. როგორი სტრუქტურულ-გენეტიკური ურთიერთობა არსებობს იდიომებს შორის: მსგავსი, ნათესაობრივი, არამსგავსი, არანათესაობრივი;

3. იდიომების ფუნქციონალური დატვირთვა – თანაბარია ისინი თუ არა;

4. თვისება იდიომისა, რომელიც გაბატონებულია სახელმწიფოებრივი მასშტაბით: ადგილობრივია იგი თუ მოსულთა ენა¹.

ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია შეიქმნას: ა) მონაცემთა წყაროები (ლინგვისტური დემოგრაფია) – კავკასიის სამწერლობო ენებისათვის ასეთი მონაცემები არსებობს, ხოლო უმწერლობო ენებისათვის – არა.

ბ) ენობრივი სხვაობების განსაზღვრისათვის აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ჯ. გრინბერგისა და ს. ლიბერსონის მიერ შემუშავებული მეთოდი, კერძოდ: მეთოდი, რომელიც შექმნილია მრავალენოვან საზოგადოებაში საკომუნიკაციო განსხვავებების შესასწავლი კომპლექსური მოდელების ფორმირებისათვის; კავკასია სწორედ მრავალენოვან ენობრივ სიტუაციას წარმოადგენს, განსაკუთრებით კი – ჩრდილოეთ კავკასია.

გ) მიღებული რაოდენობრივი შედეგების ინტეგრაცია განაპირობებს, განსაზღვრავს ახალ თვისობრივ მიდგომას².

აბაზური ენის ფუნქციონირების მოკლე მიმოხილვა და მისი დამწერლობის განვითარება საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

¹ Ц. Барамидзе, Комплексные модели для изучения языковой ситуации на Северном Кавказе, // Languages and Cultures in the Caucasus, München-Berlin. 2011, გვ. 363-364.

² Ц. Барамидзе, Комплексные модели для изучения языковой ситуации на Северном Кавказе, // Languages and Cultures in the Caucasus, München-Berlin. 2011 გვ. 356.

აბაზური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღური ჯგუფის აფხაზურ-აბაზურ ქვეჯგუფს. აბაზურის უახლოესი მონათესავე ენაა აფხაზური (გავრცელებულია საქართველოში); მათივე მონათესავე ენებია ადიღური (ჩერქეზული), ქართველური, ნახური და დაღესტნური ენები.

აბაზური ენა ტიპოლოგიურად განეკუთვნება აგლუტინაციური პოლისინთეტური წყობის ენებს. აქვს ორი დიალექტი: ტაპანთური და აშხარული.

აქვს დამწერლობა. საშუალო განვითარების ლიტერატურის მქონე აბაზური ენა ფორმირებას იწყებს 1920-იან წლებში, როცა მიღებულ იქნა დამწერლობა ჯერ ლათინური გრაფიკის საფუძველზე, შემდეგ კი – კირილიცაზე. საყრდენ სალიტერატურო დიალექტად აღებულია ტაპანთური დიალექტის ყუბურ-ელბურგანული თქმა.

აბაზები ისლამის მიმდევრები არიან. მათ კულტურასთან ყველაზე ახლოს დგას ადიღური (ჩერქეზული) კულტურა: ფოლკლორი, ეტიკეტი, ქცევების ნორმები და სხვ.

რუსეთში სულ 32 983 აბაზია (1989 წლის აღწერის მონაცემებით). რამდენიმე ათასი აბაზა (ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს) ცხოვრობს თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. რუსეთის ფედერაციაში აბაზები ცხოვრობენ კომპაქტურად სტავროპოლის მხარეში (30 400 ადამიანი, მათ შორის ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში – 27 500 ადამიანი). ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში

აბაზები შედიან ოთხ ძირითად ეთნოსთან ერთად (ყარაჩაელები, ჩერქეზები, აბაზები, ნოღაელები), ისინი შეადგენენ რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობის 6,6%-ს.

ყარაჩაელები, ჩერქეზები და ნოღაელები ასევე მისდევენ ისლამს. რუსული მოსახლეობის უმეტესი წილი ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში არიან ყუბანის კაზაკები.

აბაზური ენა არის სახელმწიფო ენა ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში ყარაჩაულთან, ჩერქეზეულთან, ნოღაურსა და რუსულთან ერთად, რაც დაფიქსირებულია რესპუბლიკის კონსტიტუციის კანონში ენის შესახებ (1996 წ.).

რუსეთში მცხოვრები აბაზების 94%-მა აბაზური ენა დაასახელა მშობლიურ ენად (31 000 ადამიანი). აბაზების უმეტესობა (82,6%) ორენოვანია, კერძოდ, რუსულს, როგორც მეორე ენას ფლობს 25 899 ადამიანი (78,5%), თავისუფლად ფლობს ყაბარდოულ-ჩერქეზეულს აბაზების 3%-ზე მეტი.

ჩვენ ზემოთ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განვიხილეთ აბაზური ენის ფუნქციონირების საკითხები რეგლამენტირებული სახელმწიფოებრივი კომუნიკაციების სფეროებში. ეს ცნობები აბაზური ენის გადარჩენისთვის მაინცადამაინც იმედის მომცემი არ არის.

აბაზური ენა ინტენსიურად ფუნქციონირებს სახელმწიფოს მიერ არარეგლამენტირებულ, არაოფიციალურ ურთიერთობის სფეროებში. ასეთია, მაგალითად, პიროვნებათა შორის ურთიერთობები სხვადასხვა სფეროში: ოჯახი, წარმოება,

ტრანსპორტი, მეგობრული ურთიერთობები და სხვ. ამ პირობებში კომუნიკაცია მიმდინარეობს აბაზურ ენაზე (იმ პირობით, რომ ყველა მოსაუბრე არის აბაზა).

ენის სიცოცხლისუნარიანობის (vitality) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ახალგაზრდა თაობის მიერ ენის ფლობა ანუ თაობათა შორის ენის გადაცემის ხარისხი, მისი გამოყენების ინტენსიურობა ურთიერთობის არაოფიციალურ სფეროებში; მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ენის ფუნქციონირების მხარდაჭერისაკენ ურთიერთობის ოფიციალურ სფეროებში (იხ. ზემოთ); მნიშვნელოვანია, აგრეთვე, თვითშეგნება, ეროვნული ცნობიერება, რომელიც საკმაოდ მაღალია. ამით შეიძლება განვსაზღვროთ ენის ვიტალურობის სტაბილურობა უახლოეს მომავალში, მაგრამ ზემოთ მოყვანილი რაოდენობრივი მახასიათებლები ენის ფუნქციონირების სფეროების აღსაწერად ლოგიკურად ბადებს კითხვას: რამდენად რეალურია სახელმწიფო ენის სტატუსის სიცოცხლისუნარიანობის მაღალი ხარისხი, თუ ეს ენა სწორედ სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებულ სფეროებში ფუნქციონირებს შეზღუდულად, უფრო სწორად, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებს, კანონმდებლობა კი ანიჭებს ამ უფლებებს ენის მატარებელთ.

ენობრივი სიტუაციის შესწავლისას ცხადი ხდება, რომ მნიშვნელოვანია იდიომის

ოფიციალური საკომუნიკაციო სტატუსი. ამის შესაბამისად გვხვდება ჰარმონიული ენობრივი სიტუაცია და დისჰარმონიული ენობრივი სიტუაცია. საყურადღებოა, რომ მიუხედავად ენათა იურიდიული თანაბარუფლებიანობისა, ამ ენათაგან ერთი პრაქტიკულად სარგებლობს დიდი უფლებებით.

მნიშვნელოვანია გამოვლინდეს, არსებობის როგორი ფორმებითაა წარმოდგენილი ესა თუ ის ენა, როგორია მისი ფუნქციონალური სფერო სხვა ენებთან ურთიერთობების დროს; აუცილებელია განისაზღვროს მისი გამოყენების სფეროები და შესაძლებლობები.

კომპლექსური მოდელებით განისაზღვრება, როგორ ურთიერთქმედებენ და თანაარსებობენ ენობრივ სიტუაციაში ავტოქტონური ენის ეგზისტენციალური ფორმები, ერთი მხრივ, და სხვა ენა, მეორე მხრივ. ამ ენათა თანაარსებობა არ უარყოფს მათი ურთიერთობის ჩანაცვლების შესაძლებლობას. კომპლექსური მოდელებით ენობრივი სიტუაციის შესწავლისას დგინდება, რომ ავტოქტონური ენის ეგზისტენციალური ფორმები თანაარსებობს მეორე ენასთან არა მთლიანად, არამედ ამ ენის არსებობის განსაზღვრულ ფორმებთან. ამასთან, ერთ-ერთი ენის ეგზისტენციალური ფორმები, ჩვეულებრივ, ახორციელებს სახელმწიფო ენის ფუნქციებს, რამდენადაც სწორედ „მის კისერზე“ ძირითადი საზოგადოებრივი დატვირთვა მომსახურების ყველა სფეროში. ჩრდილოეთ კავკასიაში ასეთია რუსული

ენა და არა ერთ-ერთი ავტოქტონური ნაციონალური ენა.

სოციოლინგვისტური ოპოზიციის მიდგომები საშუალებას იძლევა კონკრეტული ენობრივი სიტუაციის მაგალითზე განვიხილოთ ენის ფუნქციონირების საზღვრები სინქრონიასა და დიაქრონიასში. დიაქრონიული ანალიზი გვიჩვენებს ენობრივი სიტუაციის ცვლის მიმართულებას; მაგალითად, როგორ შეიცვალა რუსული ენის უფლებრივი მდგომარეობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. რუსული ენის უფლებები განსაზღვრულია რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ნორმებით, რომლის განათლების ნაციონალური დოქტრინა ძირითად მიზნად ისახავს “რუსეთის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შენახვასა და განვითარებას”.

როგორია მინორიტარული ენების სოციალური ფონი ამგვარი დამოკიდებულების ფონზე? როგორი სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე ენებსა და იმ ენებს შორის, რომელთაც ეს სტატუსი არ გააჩნიათ? როგორია ენობრივი უფლებები და მათი რეალური განხორციელება ცხოვრებაში? როგორია ენათა ვიტალურობის თვისება?

რელევანტური ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ენობრივი სიტუაციისათვის, ვლინდება ზემოაღნიშნული კომპლექსური მოდელების მიხედვით ჩატარებული კვლევების შედეგად. შეიძლება, ეს მოდელები არ არის სრულყოფილი, უნაკლო, მაგრამ მათი გამოყენება

რეალურ შედეგს იძლევა. ამ მოდელთა სრულყოფა
XXI საუკუნის სოციოლინგვისტიკის ამოცანა უნდა
იყოს. მინორიტარული ენების
სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივება, მათი
გადარჩენა უნდა იყოს ასევე, სოციოლინგვისტიკის
ერთ-ერთი მთავარი საკითხი.

ლიტერატურა

1. ზ. ალექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა, თბილისი, 2003.
2. ც. ბარამიძე, ლეზგიურ ენათა ფუნქციონირების საკითხები (ისტორია და თანამედროვეობა), // ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული, 1, 2010, გვ.167-178.
3. ც. ბარამიძე, ივ. ჯავახიშვილი ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ და ლინგვისტური კავკასიოლოგია // საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, თბილისი, 2012.
4. ი. გიპერტი, ზ. ალექსიძე, ე. პ. მაესი, ვ. შულცე, ალბანური პალიმფსესტები, თბილისი, 2009.
5. რ. ლოლუა, კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 2009. (ხელნაწერის უფლებით, ინახება თსუ-ს ბიბლიოთეკაში).
6. მოვსეს კალანკატუაცი, აღვანთა ქვეყნის ისტორია (ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბილისი, 1985.
7. მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი, 2005.
8. მ. ქურდიანი, ალბანური ასომთავრული (გრაფიკული სტრუქტურა და გენეზისის პრობლემა), არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების

ინსტიტუტის 52-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1993.

9. მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი, 2007.

10. არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 2008.

11. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 2008.

12. მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი, 2008.

13. А. Г. Абрамян, Дешифровка надписей кавказских агван. Ереван, 1964.

14. И. Абуладзе, Новое сведение о существовании письменности у кавказских албанцев // სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, №4, თბილისი, 1940.

15. К. З. Гаджиева, Тюркоязычные ареалы кавказа. Москва, 1979.

16. Р. Гусман Тирадо, З. М. Габуниа, Современная глобализация и проблемы малочисленных языков в лингвистике XX века // Лингвистическое кавказоведение и Тюркология: традиции и современность. Карачаевск, 2007.

17. Д. Н. Иванова, Языковая ситуация на северном кавказе: история и перспективы развития, // Научная мысль кавказа, №2, М., 2000.

18. А. Е. Кибрик, Очерки по общим и прикладным вопросам языкознания. Москва, 1992.

19. Г. А. Климов, К состоянию дешифровки агванской (кавк. алб.) письменности, Вопросы языкознания, №3, Москва, 1967.
20. Красная книга языков России. Энциклопедический словарь-справочник. Москва, 1994.
21. М. Краусс, Языки мира в кризисе, Москва, 1992.
22. Н. Кузьмин, О.И. Артеменко, Языки народов России, их статус и положение в системе образования // Лингвистическое кавказоведение и тюркология: традиции и современность. Карачаевск, 2007.
23. В. Ю. Михальченко, Проблема витальности языков малочисленных народов России // Языковая ситуация в Российской Федерации. Москва, 1992.
24. С. Н. Муравьев, Три этюда о кавк.-алб. письменность // იბეროულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, VIII, თბილისი, 1981.
25. Т. Л. Нестюк, Правовое регулирование в области образования как основа решения языковой ситуации в регионах Российской Федерации // Лингвистическое кавказоведение и тюркология: традиции и современность. Карачаевск, 2007.
26. Письменные языки мира, Языки Российской федерации, кн.1. Москва, 2000.
27. Т. Л. Пятакова, О языковой компетенции // конгресс этнологов и антропологов Росии. Москва., 2001.

28. Дж. Хахилов, Материальная культура Кавказской Албании, Баку, 1985.
29. А. Г. Шанидзе Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки // ენობის მოამბე, ტ. IV, ნაკვ. I, თბილისი, 1938.
30. А. Г. Шанидзе, Язык и письмо кавказских албанцев // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №1, თბილისი, 1960.
31. Ю. Б. Юсифов, О наименованиях «Албания» и «Арран» // Известия АН АзССР, Серия общественных наук, №10, Баку, 1961.
32. Я. Яралиев, Алуанская (кавказско-албанская) письменность и лезгинский язык, Махачкала, 1995.
33. lice C. Harris, Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax, Oxford, 2002.
34. R. Hewsen, on the alphabet of Caucasian Albanians, Revue des études armeniennes, vol. I, Paris, 1964.
35. H. Kurdian, The newly discovered alphabet of Caucasian Albanians, Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, part 1-2, London, 1956.
36. G. D. Macconell. A model of language development and vitality // Journal of Applied linguistics, 1996, (ED.) US BAhri New Delli, vol. 22, no. I, January -June.
37. W. Schulze, Toward a History of Udi, 2005.

შინაარსი

შესავალი -----	5
1. ენათა ფუნქციონირება და ჩრდილოეთ კავკასიის ენები -----	10
2. კავკასიის ენები, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჩრდილოკავკასიური ენები -----	31
3. რუსეთის ფედერაციის თანამედროვე ენობრივი სიტუაცია და ჩრდილოეთ კავკასიის ენები -----	58
4. გლობალიზაცია და ჩრდილოეთ კავკასიის მცირერიცოვან ხალხთა ენების პრობლემები -----	78
5. ბილინგვიზმი და მულტილინგვიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში -----	90
6. რუსეთის ფედერაციის განათლების სისტემა და ჩრდილოეთ კავკასიის ენების სტატუსი და მდგომარეობა -----	109
7. განათლების სისტემის სამართლებრივი რეგულირება ჩრდილოეთ კავკასიაში -----	122
8. კომპლექსური მოდელები ჩრდილოეთ კავკასიის ენობრივი სიტუაციის შესასწავლად -----	129
9. ლიტერატურა -----	151

ტექნიკური რედაქტორი და კომპიუტერული
უზრუნველყოფა **მაკა თეთრაძე**